

**გლობალიზაციის
ახალი გამოწვევები
ეგვარცხეობისთვის:
ზოგადი ტექნიკობისა და
საქართველო**

თბილისი 2007



ჟან ჟორჟსის ფონდი (საფრანგეთი)
საზოგადოების კვლევის ცენტრი

გლობალიზაციის ახალი გამოწვევები მემარცხენეობისთვის:
ზოგადი ტენდენციები და საქართველო

2006 წლის 9 დეკემბრის
კონფერენციის მასალები

თბილისი 2007

შესავალი

კომუნისტური სამყაროს დაცემის შემდეგ ზოგადად მემარცხენეობა, და არა მარტო მისი საბჭოთა ვერსია, გარკვეულწილად კრიზისში აღმოჩნდა. გლობალიზაციის პროცესმა და XXI საუკუნის რეალიებმა მემარცხენეობის ტრადიციული ორიენტირები ასევე ახალი გამოწვევების წინაშე დააყენეს. ამავე დროს იგრძნობა პოლიტიკურ სივრცეში ერთი მიმართულების, კერძოდ, ნეოლიბერალიზმის, დომინირება. პოლიტიკური სივრცის ამგარმა „დახურვაში“ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ზოგადად საზოგადოების განვითარებასა და კერძოდ ტრადიციული გეროპული ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიის მდგრადობასა და განვითარებას.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დებატებში მემარცხენე პრობლემატიკა თითქმის არ პოულობს სათანადო ასახვას, მიუხედავად იმისა, რომ რეალური ცხოვრება მწვავედ აყენებს კითხვებს, რომლებზედაც დომინანტური შეზღულებების ფარგლებში პასუხები არ მოიძებნება.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს მცდელობას მოცემული პრობლემატიკის განხილვისა და საზოგადოებრივი დისკურსის დღის წესრიგში განსხვავებული ხედვების აქტუალიზებისა. ამასთანავე, კრებულში წარმოდგენილი ხედვები და მოსაზრებები მრავალფეროვანია და ხშირ შემთხვევაში წინაარმდევნობრივიც, რაც დისკუსიის შემდგომი განვითარების საფუძვლს იძლევა.

კრებულში წარმოდგენილია საქართველოში თბილისში 2006 წლის 9 დეკემბერს გამართულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საზოგადოების კვლევის ცენტრი (საქართველო) და ჟან ჟორჟსის ფონდი (საფრანგეთი).

უტორების შესახებ

ლორან ბომელი (Laurent Baumel) საფრანგეთის სოციალ-ისტური პარტიის ეროვნული კვლებითი ჯგუფის ხელმძღვანელი

ევლინ ბაუმანი (Eveline Baumann) არის მკვლევარი, სოციო-ეკონომისტი, საფრანგეტის განვითარების კვლევის ინსტიტუტში (IRD), კვლებითი ჯგუფი „შრომა და გლობალიზაცია“.

ირაკლი ჰეტრიაშვილი – საქართველოს გაერთიანებული პროფესიონელის თავმჯდომარე

ციური ანთაძე – ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გია უორჯოლიანი – საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

მარინა მუსხელიშვილი – საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გია თარხან-მოურავი – საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი

გია არეშიძე – სულხან-საბა ორბელიანის სახ. მოწინავე სტრატეგიებისა და ნაციონალური უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევის ცენტრის დირექტორი

სარჩევი

ლორან ბომელი. გლობალიზაციის გამოწვევები ფრანგული მემარცხენეობისთვის

ევლინ ბაუმანი. დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და პიროვნული კავშირები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. საქართველოს მაგალითი

ირაკლი ჰეტრიაშვილი. სოციალური უთანასწორობა საქართველოს პროფესიონელის ხედვაში

ციური ანთაძე. უთანასწორობა შრომის სფეროში (საქართველო)

გია უორჯოლიანი. თანასწორობის იდეა და თანამედროვე ქართული საზოგადოება

მარინა მუსხელიშვილი. განვითარება, გლობალიზაცია და ახალი უთანასწორობები საქართველოში

გია თარხან-მოურავი. გლობალიზაციის მანტრა

გია არეშიძე. მემარცხენები, გლობალიზაცია და გამოწვევები

გლობალიზაციის გამოწვევები ურანიული მემკვიდრეობისთვის

ლორან ბომელი

დიდი მაღლობა ყველას მოპრანებისთვის და დიდი მაღლობა გაის და მარინას ამ შეკრების ორგანიზებისთვის! მე გახლავართ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრი, მაგრამ ამ კონფერენციაზე წარმოადგენ უან უორესის ფონდს. ანუ დღეს მე არ ვარ სოციალისტური პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი და მისი სახელით არ ვსაუბრობ.

მე არ ვისაუბრებ ზოგად თეორიულ მიღების გლობალიზაციისადმი, იმიტომ რომ აქ არიან მეცნიერები, მკვლევარები. მე წარმოგიდგინთ უბრალოდ იმ ხედას, რომელიც აქვთ გლობალიზაციის მიმართ მემარცხენებს.

რამოდენიმე მომენტი, რომლითაც მე მინდა დავიწყო საუბარი გლობალიზაციაზე: ხშირად საუბრობენ ამ ტერმინის განსაზღვრებასა და მნიშვნელობაზე. მე მას განვსაზღვრავ როგორც ახალი დონის ურთიერთობებს, რომლებიც სხვანაირად წარმოაჩენენ საერთაშორისო ურთიერთობებს. გლობალიზაცია იძლევა საშუალებას, რომ უფრო შემცირდეს ის დისტანცია, რომელიც ადრე არსებობდა ქვეყნებს შორის. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს გლობალიზაცია, როგორც კულტურული მოვლენა. ეს ის მოვლენაა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს გლობალურ სოფელს. ზოგჯერ ჩვენ გლობალიზაცია გვესძის ისე, როგორც ამერიკანიზაცია. აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალიზაციის პირობებში ეროვნული კულტურა ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი რჩება, დღესდღეობით, ერები რჩებიან კვლავ ძალიან ძლიერები. გლობალიზაცია, ჩემი აზრით, ესაა პირველ რიგში ეკონომიკური გლობალიზაცია. ამ ტერმინს აქვს სამი შემადგენელი ნაწილი. ესაა საერთაშორისო კომერციის გავრცელება; ესაა კაპიტალის კონცენტრირება; და პროდუქციის ინტერნაციონალიზაცია. ანუ შეიძლება პროდუქცია იწარმოებოდეს ნებისმიერ ადგილას და იყიდებოდეს ნებისმიერ ადგილას. ეს ვრცელდება წარმოებაზეც. ამიტომ გლობალიზაციას აქვს სამი შედეგი: ესაა საერთაშორისო კონკურენციის გამწვევება;

ეს კონკურენცია გავლენას ახდენს, როგორც მომხმარებელზე, ასევე მწარმოებელზე; ესაა ახალი ქვეყნების ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში. მაგრამ იგი აგრეთვე ქმნის გარკვეულ პრობლემებს: ესაა ის, რომ ნაწილი ქვეყნებისა რჩებიან ამ კონკურენციის გარეთ. გლობალიზაციას აგერეთვე მოაქვს ანაზღაურებათა შორის განსხვებათა ზრდა, რაც მაღიან მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებული ქვეყნებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი. გლობალიზაციის შედეგად კაპიტალიზმის ხელშეწყობა და განვითარება არის კიდევ უფრო მძლავრი. ეს კიცვლის ძალების განაწილებას კაპიტალსა და შრომას შორის. ეკონომიკური გლობალიზაციის შეორე ნეგატიური შედეგია გლობალური ფინანსური არასტაბილურობა, რაც გამოიხატება სავალუტო კრიზისში და სპეციულაციაში. გლობალიზაციის მესამე უარყოფითი შედეგია ცაკლული ქვეყნების შესაძლებლობის შემცირება ეკონომიკური მობილიზების მოსახლეობად.

შემარცხენეობამ 80-იან წლებში, მიტერანის არჩევის შემდეგ, გარკვეული ცვლილებები განიცადა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საფრანგეთმა სცადა კეინსიანისტური პოლიტიკა ქარმომობინა. ამ დროს გერმანიას, რომელიც საფრანგეთის მთავარი პარტნიორი იყო, არ ქონდა ამგარი პოლიტიკა. ამან გამოიწვია ძალიან დიდი ეკონომიკური პრობლემები. ეს იყო პირველი შედეგი, რომელიც საფრანგეთმა გლობალიზაციის შედეგები იწვნია. ახლა მინდა ვისაუბრო, თუ რა შედეგები მოიტანა ამ გამოცდილებამ საფრანგეთის მემარცხენეობისათვის. საფრანგეთის მემარცხენეობა იძულებული გახდა შეთაუსებინა გლობალიზაციის პირველი შედეგი შეძლევი პრინციპისათვის: ჩენთვის ფრანგული მემარცხენეობა შეიძლება განსაზღვრული იყოს ორი იდეის მიხედვით. ეს ორი იდეა ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივია, მაგრამ ამავე დროს გაწონასწორებულია. პირველი: ესაა საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა, იმისათვის, რომ შეიქმნას გარკვეული სიმდიდრე. ესაა ის გაკვეთილი, რომელიც ჩვენ მზიდეთ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ეს გამოცდილება მემარცხენეობას ეკონომიკური წესრიგისათვის სჭირდება. მეორე იდეა ისაა, რომ მხოლოდ თავის თავს მინდობილ ეკონომიკას აუცილებლად მოაქვს უსიამოვნებები და პრობლემები. პრობლემები, რომლებიც ქვება სოციალურ სფ-

ეროს და გარემოს დაცვას. ასეთი ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს არის მინდობილი, ქმნის ძალიან დიდ სოციალურ უთანასწორობას და წინააღმდევობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მარქესიზმი დასკვნებში შეიძლება მცდარი იყო, მაგრამ თავის ანალიზში სწორია. ამ ორ მომენტს, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მივყავართ იქამდე, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა სოციალური პრობლემები და კეთილდღეობის სახელმწიფო. სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო არაა მხოლოდ მემარცხენების იდეა, მაგრამ მემარცხენები ძირითადად სწორედ ამ იდეით წარმოაჩენენ თავიანთ თავს. სოციალურმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კომპრომისი და დიდწილად უნდა იყოს ჩართული სოციალური კეთილდღეობის შექმნაში. სოციალურ კეთილდღეობას ხუთი ინსტრუმენტი აქვს: ესაა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა; მეორეა შრომის უფლება და მინიმალური ხელფასი; მესამეა სოციალური დაცვა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ჯანდაცვას და პენსიებით უზრუნველყოფას; მეოთხე ესაა რასაც საფრანგეთში სახოგადოებრივ მომსახურეობას ეძახან, მაგალითად, საჯარო განათლება; მეხუთეა მოქალაქეებს შორის შემოსავლების სოციალური გადანაწილება და დახმარებები კველაზე ღარიბებისათვის. საფრანგეთში შემოსავლების 50 პროცენტის გადანაწილება ხდება ამ პრინციპის მიხედვით დიდ ბრიტანეთში ესაა დაახლოებით 40 პროცენტი. სკანდინავიის ქვეყნებში კი უფრო მეტი ვიდრე 50 პროცენტი. ანუ შესაძლოა ეს მოხდეს სხვადასხვანაირად, მაგრამ ყველანა სოციალური სახელმწიფოს თვითგამოვლენის გარკვეული დონე.

გლობალიზაციის ის პრობლემები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ, სოციალური სახელმწიფოს ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მემარცხენება და კერძოდ საფრანგეთის მემარცხენება თვლის, რომ გლობალიზაციის ამ პრობლემების წარმოქნა ნიშნავს იმას, რომ სოციალური სახელმწიფო კარგად არ მუშაობს. ამას ჩვენ ორ სტრატეგიულ შედეგამდე მივყავართ. პირველია ის, რომ მემარცხენებამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ამ ზეწოლას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა

გარდავქმნათ ის რაც დღემდე ვაშენეთ ისე, რომ გავიაზროთ, თუ რა არის გლობალიზაცია. მეორე სტრატეგიული მიმართულებაა კაპიტალიზმისათვის ახალი სივრცის შექმნა. ანუ ეკონომიკური გლობალიზაციის მიმართ ერთადერთი პასუხია პოლიტიკური გლობალიზაცია. ვეროპელებისათვის ეს საკითხი ძირითადად გადის ვეროპულ კონსტიტუციასა და გაერთიანებაზე. მიტერანის აზრით, მემარცხენების მეშვეობით მოხდა ვეროსაბჭოსა და ვეროპის კონსტიტუციის ახლებურად გააზრება. ეს იყო მცდელობა გაერთიანებინათ სხვადასხვა პრობლემები საერთო ვეროპულ ერთიანობაში, კერძოდ კი გერმანიასთან ერთიანობაში. ჩვენი მიზანი იყო გლობალიზაციის ახალ დონეზე გასვლა. და ეს საკითხები დღესაც ფრანგი სოციალისტების დღის წესრიგში რჩება. ჩვენ ვემხრობით სოციალურ პოლიტიკას და ვეროპის ერთსულოვნებას, მაგრამ შემოსავლების ერთგვარი რეგულირებით. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ მსჯელობასა და დისპუტებს, რომლებიც დღეს საფრანგეთში მიდის. 2003 წელს საფრანგეთმა უარი თქვა ვეროპის საერთო კონსტიტუციაზე. მაგრამ სოციალისტების უმცირესობა ჯიუტად მხარს უჭრდა ამ კონსტიტუციას. ამავე დროს ყველა სოციალისტი იმის მომხრევა, რომ ვეროპა იყოს უფრო სოციალური. ესაა ერთადერთი პასუხი იმ გამოწვევის მიმართ, რომელსაც ჩვენ გლობალიზაცია გვიყენებს.

მე მინდა დაგასკვნა შემდეგი სიტყვებით. ის ბრძოლა, რომელიც მიდის ვეროპის მშენებლობისთვის, არის გლობალური პრობლემა. ვთიქრობ, რომ ჩვენ ამის განახლისების ძალიან კარგი საშუალება გვაქვს, ვინაიდან სოციალისტები, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ყოველთვის ფიქრობდნენ, არა მარტო ეროვნულ პრობლემებზე, არამედ საერთაშორისო პრობლემებზეც. ამ ბრძოლაში, თქვენმა ქვეყანამ, რომელიც საბჭოთა რეჟიმიდან გამოვიდა, შეიძლება დიდი როლი შეასრულოს. ძალიან გასაგები და ნორმალურია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თქვენ ნეოლიტერალური ეკონომიკის გზა აირჩიეთ. მაგრამ 15 წლის შემდეგ, თქვენ ალბათ უფრო მეტი იცით იმ უარყოფითი შედეგებისა და პრობლემების შესახებ, რომლებსაც ასეთი ეკონომიკა იწვევს. თქვენთან საზოგადოებაში არსებობს მიმართულება მოქალაქეთა სოციალური დაცვისაკენ.

და ამ მიმართულებით თქვენი მოძრაობა ალპათ შეღეგიანი უნდა აღმოჩნდეს, რადგან ევროპის ერთიანობა სწორედ იმისთვისაა, რომ მოხდეს კაპიტალის რეგულირება. ამიტომ რაც უფრო ჩქარა წარიმართება თქვენთან ამგვარი მოძრაობა, მით უფრო მშვიდად და დადებითად მოხდება ევროპის გაფართოება. აი ესაა, რისი თქმაც მინდოდა დღეს.

**დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და
პიროვნული კავშირები პოსტსაბჭოთა
ქვეყნებში**
საქართველოს მაგალითი

ჯულინ ბაუმანი¹

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომელიც მოწოდებული იყო იმისათვის, რათა გარდა ექმნათ გეგმური ეკონომიკა ნეო-ლიბერალურად, გამოიწვიეს ღრმა ცვლილებები შრომის ბაზარზე. საბჭოთა რეჟიმის დროს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის, დასაქმების გარანტიამ, რომელიც ალიქმებოდა როგორც უფლება, და რომელიც გულისხმობდა, აგრეთვე, უსაფრთხოებას ისეთი ცხოვრებისეული უბედურებისას, როგორიცაა აგადმყოფობა, შრომის უუნარობა, სიქვრივე, და ა.შ., ადგილი დაუთმო სტატუსური მდგრამარეობის სიმყიფეს, გაღარიბებას და სოციალურ გარიყებას. საქართველო, რომელზეც აქ იქნება ლაპარაკი, Doing business სააგენტოს კლასიფიკაციის მიხედვით განთავსებულია ისეთი „სამაგალითო“ ქვეყნების რიგში, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებით მოქნილი კანონმდებლობა დასაქმების სფეროში, კანონმდებლობა, რომელიც მიჩნეულია მიმზიდველად ბიზნესის ხელმძღვანელებისთვის და ხელშეწყობად სამუშაო ადგილების შექმნისთვის. მაგრამ ნეო-ლიბერალური რეფორმები აფერხებენ ამას. მშრომელთა ძალას მცირე ნაწილს აქვს სამუშაო, რომელიც შედარებით მყარია და რეგულარული ხელფასის მომცემი. ყველა დანარჩენი ცხოვრობს შემთხვევითი დასაქმებით და ეს სამსახური დიდწილად არასტაბილურია. 2006 წელს დაახლოებით ათიდან ოთხი ქართველი ითვლებოდა დარიბად იმ განსაზღვრულებით, რომელიც მიღებულია პოლიტიკური წრეების მიერ.² სოლიდარობა და გადანაწილება (რედისტრიბუცია), რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მინიმალურია, სოციალური დახმარება მიეცემა მარტოდენ სრულიად უსახსროებს. იმისთვის, რომ მოხდეს ლირსეული ცხოვრების დონის

უზრუნველყოფა დღეგანდელ საქართველოში, ხშირად გამოიყენება ისეთივე ტიპის მიღვომები, რომლებიც გამართლებული იყო საბჭოთა რეჟიმში. მაგრამ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წარსულში, ცენტრალურ როლს აქტორთა სტრატეგიებში თამაშობენ პიროვნული კავშირები.

1. დასაქმება ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდში

საბჭოთა კავშირში დასაქმების სფეროს კოორდინაცია ხორციელდებოდა, გარკვეული თვალსაზრისით, იმგვარადვე, როგორც კაპიტალისტურ ეკონომიკური (Simon 1999). მიუხედავედ მთავრობის მცდელობისა და ეგვენტურება, მშრომელები მეტანაკლებად თავისუფალნი იყვნენ იმ მხრივ, რომ შეეძლოთ სამსახურის შეცვლა, ხოლო რაც შექება დამქირავებლებს, მათ თავისუფლად შეეძლოთ ამოერჩიათ ის მოსამსახურე, რომელიც სჭირდებოდათ. მიუხედავდ მცირე ანაზღაურებისა, შრომა იყო სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის ძირითადი საშუალება და გარდა ამისა, სამუშაო ადგილზე ხდებოდა სწორედ სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბება. ასრულებდნენ რა აღიარებულ სოციალურ როლს, საწარმოები მონაწილეობდნენ ერთმანეთთან შეჯიბრებაში და ამით იზიდავდნენ და ერთგულების გრძნობას უნერგავდნენ შერომელებს მატერიალური უპირატესობების მინიჭებისა, თუ სიმბოლური წახალისების გზით. აქედან გამომდინარე, დასაქმების მობილურობა იყო ძალიან მსგავსი იმისა, რაც ოდესლაც არსებობდა ევროპულ ქვეყნებში. მაგრამ მიუხედავდ ამისა „შრომის ბაზარი“ ხასიათდება თავისი ინსტიტუტების სისტემით. პისტისაბჭოთა პერიოდში მარეგულირებელი ინსტიტუტების შექმნა, ამდენად, წარმოადგენს უპრეცედენტო გამოწვევას, რომელიც პრინციპული ფორმით წამოიჭრება გადაწყვეტილების მიმღებთა წინაშე.

სტანდარტული ეკონომიკური თეორია დიდი წნის მანძილზე ამტკიცებდა, რომ ნეო-ლიბერალური ეკონომიკის შემოღების გამო, რესურსების აზალი განთავსება აისახება პირველ ხანებში

დასაქმების შემცირებაზე, რასაც თან ახლავს უმუშევრობის ზრდა, რის გამოც ხდება თვითდასაქმება მუშახელისა ახლად გახსნილი კერძო საწარმოების მეშვეობით. ამ პროცესში რეფორმების გატარების სისწავეები, ისევ როგორც ფისკალური ზემოქმედება, როგორც განიცდის ეს წარმოება, გადამწყვეტი როლს ასრულებს (Aghien et Blanchard 1994, Andreff 2003). აღმოჩნდა, რომ სამუშაო ადგილების შექმნა ძირითადად რჩება იმედად: დასაქმების შემცირების შემცირების შემცირების შემცირების „სამუშაო ადგილების ზრდა და გარდამავალი დროის უმუშევრობამ³ მუდმივი ხასიათი მიიღო, და გაგრძელდა ეკონომიკის აღდგენის შემდეგაც, თუნაც ეს ზრდა უმნიშვნელო იყოს. ამ უმუშევრობას აქვს „დამდგარი წელის“ გველა თვისება (Boeri 2001). უმუშევრობის განსაკუთრებით მკაცრი განსაზღვრება, რიმელიც მიღებულია საქართველოში⁴ ცხადად ავლენს ამ ფენომენის ენდემურ ხასიათს. სამაგიეროდ „არაფორმალური ეკონომიკა“⁵ იზრდება, ეკონომიკა, რომელიც არის „unregulated by institutions of society, in a legal and social environment where similar activities are regulated“ (არ რეგულირდება საზოგადოებრივი ინსტიტუტებით, ისეთ სამართლებრივ და სოციალურ გარემოში სადაც მსგავსი აქტივობები რეგულირებადია) (Portes et al. 1991:12). ეს ასპექტი, რომელიც ძირითადია შრომის სამყაროში, არასაკმარისად არის შეფასებული „კლასილურ“ ეკონომიკურ მოდელებში (Bouev 2004).

მცირე საყაჭრო აქტივობები – (სწორედ ასეთი საქმიანობა იგულისხმება, როდესაც საკითხი ეხება არაფორმალურ ეკონომიკას) შექმნა ძირითადად არარეგისტრირებულ მიკროსაწარმოებს, რომელიც გაურბიან ნებისმიერ ნორმებს და მოვალეობებს, განსაკუთრებით ფისკალურ სფეროში. საქართველოში ეს ქება ექვს - შვიდ სამურნეო აქტივობას ათიდან, სულერთია, იქნება ეს კომერცია, მომსახურება, სახელოსნო წარმოება, თუ სოფლის მეურნეობა. საქართველოს მოსახლეობის 48% არის სოფლის მოსახლეობა. მცირე სასოფლო-სამურნეო მეურნეობები იქცევან ერთგვარ თავშესაფრად არა მხოლოდ იმათვეის, ვინც გამოვიდა კოლმეურნეობებიდან უშუალოდ საქართველოს დამოუკიცებლობის დამფარებისთანავე 1991 წელს, როდესაც თითოეულ გლეხს საკუთრებაში მიეცა

1,25 ჰექტარის ოდენობის მიწის ნაკვეთი (სუმბაძე 2003), არამედ ეს გახდა ერთგვარი გადაწყვეტა პრობლემისა ყოფილი მაღაროების მუშაბისთვის და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დანგრეული სამრეწველო კომპლექსების თანამშრომლებისთვის. საქმე ქვება არსებითად თვითგადარჩენის სასოფლო მეურნეობას, რისი წყალობითაც ხდება ოჯახის სასურსათო რაციონის შევსება, მაშინ როცა ძირითადი ფულადი შემოსავლების მიღება ხდება არა სასოფლო-სამეურნეო აქტივობით (Bezemer & Davis 2003). მთლიანობაში ამ მეურნეობების უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს უფრო მეტად თვითგადარჩენისკენ მიმართულ აქტივობას, ვიდრე სამწარმეოს, თუ შემპეტერის მიღობას დავესესხებით. ამდენად, როგორც ჩანს, შეცდომა იქნებოდა დროში მის მომავალ განვითარებაზე საუბარი, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ნაკლებად დამაიმედებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტებს. აქვე აღსანიშნავია, რომ შედარებით დიდი საწარმოებიც ხშირად ფუნქციონირებენ ლეგალურობის ზღვარზე, ანუ ისე, რომ არა აქვთ განცხადებული თავის საქმიანობასა და პერსონალზე. სარწყენო მონაცემების მიხედვით, არაფორმალურმა ეკონომიკამ მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს – შიდა ეროვნული პროდუქტის 67%-ს (Schneider 2002), და ამ თვალსაზრისით, საქართველო უახლოვდება ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანას.

არსებობს მთელი რიგი საქმიანობები, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ფასდება როგორც უმუშევრობა. ეკონომიკური მეცნიერება ჩევეულებრივ აცხადებს, რომ ეკონომიკური ზრდის კონტექსტში, თანდათანობით ეს საქმიანობები გარდაიქმნება საწარმოებად, მოხდება მათი რეგისტრაცია და ამის შემდეგ ისინი შეასრულებენ თავის მოვალეობებს კანონის შესაბამისად. თუმცა, ამასთან, სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც „კლასიკურად“ “სამხრეთს“ ქვეწებად მიიჩნევა, დიდწილად წინააღმდეგება ასეთი ევოლუციის კვაზი-ავტომატურობის იდეას (Lautier 1994). სინამდვილეში, არაფორმალური პრაქტიკა ნარჩუნდება და არარეგისტრირებული მცირე საწარმოები კვლავ განაგრძობენ ძველებურ არსებობას ეკონომიკური ზრდის პერიოდშიც. იღებენ რა თავისუფლებას განსაზღვრულ მოვალეობებთან ერთად, რაც გულისხ-

მობს საგადასახადო ნორმების, შრომითი კანონმდებლობის, უსაფრთხოების და ხარისხის ნორმების დაცვას, ამავე დროს მცირე მწარმები უპირველეს ყოვლისა ცდილობენ „თავი გადაირჩინონ“, შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა და, შესაძლებლობისდაგვარად, ჩაერთონ მარტოოდენ ეკონომიკური აკუმულაციის (დაგროვების) მარტივ პროცესში. ამისათვის ისინი მოქმედებენ ლეგალურიბის ზღვარზე, ამართლებენ რათავის ქცევას გეგმური ეკონომიკის დროინდელი პრინციპებით. (Shlapentokh 1989), ოღონდ უკეთებენ ამას სხვა ინტერპრეტაციას, იმისდა მიზედვით, როგორია ახალი კონტექსტი. თავის მხრივ, წარმოადგენენ რა თავს, როგორც არარეგისტრირებული მიკრო-ერთეულები, საწარმოებს, რომლებიც გახსნილია ქუჩაში, შეუძლიათ შეამცირონ თავისი პროდუქციის დირექტულება. მიეცემა რა განსაზღვრულ და განირჩევა რა ფორმალური ტიპის საწარმოები პატარა ერთეულებისგან, რომლებიც ყიდიან პროდუქციას, საზღვრული ფორმალურად წოდებულ ეკონომიკასა და არაფორმალურად წოდებულ ეკონომიკას შორის ქრება, თუმცა ეს საზღვრები განიხილება ზოგიერთ ნაშრომში, რათა უფრო მოხერხებული იყოს ანალიზი; ეს ფენომენი საზღვრების გაქრობისა აგრეთვე ცნობილია სხვა ეკონომიკურ კონტექსტებში.

რაც შევება მმართველებს, ისინი ამრავლებენ ინიციატივებს, რათა ქვეყანა უზრუნველყონ კანონმდებლობით, რომელიც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის ნორმებს. ეს მცდელობა მით უფრო ლეგიტიმურია, რომ ვარდების რეესტრი შემდეგ (ნოემბერი, 2003), საქართველო უშუალოდ შეუერთდა ევროპის სამეცნიერო პოლიტიკას (ENP). ამ პოლიტიკის თანახმად, უნდა შეიქმნას ევროკავშირის მექონიზმები ერთგანობანი ეკონომიკური სივრცე, სადაც დაცული იქნება საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ნორმები. რასაკვირველია, პასუხისმგებელი პირები ბრიუსელში ამ ქვეწების მიმართ გამსჭვალული არიან გარკვეულწილად, პუმანური გრძნობებით, მაგრამ კარგი იქნება და ლეგიტიმურიც, რომ ისინი დაინტერესდნენ იმ შესაძლო შედეგებითაც, რომელსაც იწვევს ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული ამ წესების დამკვიდრება იმ მოსაზღვრულ ქვეწებში, სადაც დაუცველობის მეტის-

მეტად მაღალი დონეა. რაც შექება კერძოდ შრომის სფეროს, ლგიტიმურია აგრეთვე ისინი დაინტერესდნენ ასეთი გადატანის უაუეფეტით ვეროპისთვის, როდესაც მის გარშემო არსებულ ქვეწებში ისეთი შრომის პირობებია, რომლებიც არ ექვემდებარებიან არანაირ რეგულირებას.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ ულტრა-ლიბერალური შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2006 წელს (Antadze 2007a, International Center for Human Developmant et al. 2006), რითაც თბილისმა საერთაშორისო სააგნეტოების მოწონება დაიმსახურა.⁶ ამავე დროს პარადოქსულია, რომ, ანიჭებს რა ყველაზე დიდ უპირატესობას შრომის უფლებების უსაფრთხოებას, კანონი ასახავს მხოლოდ ისეთი ტიპის ზომებს, რომლებიც ნაკლებად ემსახურება შშრომელთა ყველაზე ელემენტარული უფლებების უზრუნველყოფას, როგორიცაა მაგალითად, შესაძლებლობა კონტრაქტის შედგენისა სამსახურზე ჟეპირი მოლაპარაკების შედეგად. (თავი 2. მუხლი 6). წარმოადგენს რა ინტეგრირებულ ნაწილს იმ აქტიური საკანონმდებლო საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება ვარდების რევოლუციის შემდგომ, ეს შრომის კოდექსი ძალიან ცოტა ხანია, რაც არსებობს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ დავგმოთ მისი მოქმედების შესაძლო შედეგი ეკონომიკისთვის, თუმცა ცხადია რომ მთლიანობაში ის მეტად მკაცრია.⁷ სამართლიანია ითქვას, აგრეთვე, რომ შრომის კოდექსი გარდა, დასაქმების პოლიტიკაც აკეთებს მეტად ცოტას, რათა მასზე ვილაპარაკოთ. შრომის ინსპექცია თითქმის აღარ არსებობს, და შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროში თანამშრომელთა რაოდენობა, რომელთაც ვალება საკუთრივ შრომის საკითხები, თავმოყრილია ერთ ხელში.⁸ თუ შეაჯამებთ დაწვრილებით ზომებს სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ზომებს, რომელთა დაკანონება მოხდა ადგილობრივი არჩევნების წინ 2006 წლის მესამე კვარტალში, ჩვენ ვერ ვსაუბრებთ დასაქმების ნამდვილ პოლიტიკაზე, საკუთარი ოპერაციონალური ინსტიტუტებით, თავისი პრიორიტეტებითა და თავისი კალენდრით.

2. „სოციალისტური უსაფრთხოების კვალდაკვალ“...

უოლუცია, რომელიც გაიარა შრომის სფერომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აი უკვე თხუთმეტი წელზე მეტია, ხასიათდება უპირველეს შოვლისა შრომითი შემოსავლების შექიდროვებით – საშუალო თვიური ხელფასი აღწევს დაახლოებით 200 ლარს, თითქმის 90⁺ – და მეტისმეტად არასაიმდებო სტატუსით. ასეთი ვითარების გადასალაზად ქართველები არა მარტო იძულებული გახდნენ შეექმნათ თავისთვის დასაქმების ადგილები, საქმიანობის სფერო, სადაც მიკორფინანსირება შეიძლება აღწევდეს დასახულ მიზანს, არამედ თავად იზრუნონ თავის სოციალურ დაცვზეც. ჩვენ დაგინახავთ უფრო მოგვიანებით, რომ იმისთვის რომ უპასუხონ ამ ორმაგ მოთხოვნას, ისინი ახდენენ თავისი პიროვნული კაგშირების მობილიზაციას.

საბჭოთა რეჟიმის დროს სოციალური დაცვა *lato sensu*, უზრუნველყოფილი დაგეგმარების პროცესებით (Andrews & Ringold 1999), განიცდებოდა როგორც უფლება. თეორიულად თითოეული მოქალაქე როგორც მინიჭებული, სარგებლობდა ერთი მხრივ, ერთგვარი მატერიალური უსაფრთხოებით დასაქმების წყალობით, და მეორე მხრივ, მას უზრუნველყოფილი ჰქონდა ჯანდაცვა, პენსია და დახმარებები შრომის უუნარობის შემთხვევაში. ამგვარად, უსაფრთხოების ქსელი მიმართული იყო მარტოდენ სპეციფიურ ჯაუზებზე, როგორიცაა მაგალითად, ოჯახები, რომელთა შემადგენლობაშია ხეიბრები, ომის ვეტერანები და ა.შ. სხვა სიტყვებით, რისკი იყო შემცირებული და შენელებული გარანტირებული დასაქმების პოლიტიკისა და საგანგებო დახმარებების წყალობით, რომლებიც ეძლეოდა ადამიანებს შრომის უუნარობის შემთხვევაში. რამდენადაც ხელისუფლება ძირითადად მისდევდა პოლიტიკას, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება *ex ante*, არ ხდებოდა რისკების პრევენციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. თეორიულად ოჯახებს მით უფრო ნაკლებად შეეძლოთ სიღარიბეში ჩვარდნილიყვნენ, რომ ფასები კვების პროდუქტებზე, საწვეზე, ისევე როგორც ბინის ქირა დიდწილად ანაზღაურებული იყო სახლმწიფოს მიერ მეტიც, ყელა და თითოეული ცდილობდა გაქცეოდა დარიბის სტატუსს, რაც გარევულ დაღს ასვამს

ადამიანს: სრული დასაქმების პოლიტიკის მაღალ დაფასებასთან სდევდა ასიმილირება სპეციფიურ „სოციალურ შემთხვებთან“ იმ ადამიანებისა, ვისაც არ შეეძლო მუშაობა.

ამგვარი პოლიტიკა იწვევდა ფასების შეუსაბამობას, რაც წინააღმდეგებოდა საბაზო ეკონომიკას, რომელიც აღიარებულ იქნა ხელისუფლებაში მოსული ადამიანების მიერ დამოუკიდებლობის მიღების მეორე დღესვე. მართლაც, იმ მომენტში, როდესაც აღმინისტრირებული ეკონომიკა იძულებით დაინგრა, არადამაკმაყოფილებელი ფულადი უზრუნველყოფა, რაც გამოიხატებოდა მათ შორის არასაქმარის დასაქმებაში, ხდებოდა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო, რაც იწვევდა მუშახელის ნებაყოფლობით გადენას, და განსაკუთრებით სამუშაოდან დათხოვნის ტალღებს. არსებობდა რა ძლიერად გამოხატული კაფირი დასაქმებას, სოციალურ დაცვას და სოციალურ ჩართულობას შორის, სამსახურის დაკარგვა დამოუკიდებლობის მეორე დღეს გახდა მით უფრო მძიმე და ჰქონდა იმდენად მძიმე შედეგები, რომ შშრომელები არც მატერიალურად და არც ფსიქოლოგიურად მზად არ იყვნენ ამისთვის. ფაქტობრივად საქმე ეხებოდა გადასვლას შედარებით ეგალიტარული (თანასწორი) სისტემიდან – რაც, რასაკვირველია სრულებითაც არ გამორიცხავდა პრივილეგიებს, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მოსახლეობის ზოგიერთ კატეგორიას – სისტემიდან, რომელიც ხასიათდებოდა ქალთა აქტივობის მაღალი ხარისხით და ცხოვრების განსაზღვრული დონით, რომელიც საბოლოო ჯამში, რასაკვირველია, საკმაოდ მოკრძალებულიც იყო, ისეთ სისტემაზე, სადაც ძალიან მაღალია რისკის შესაძლებლობა: რისკი ავადმყოფობისა და შრომის უუნარობისა, რისკი სამუშაოს დაკარგვისა და უმუშევრობის, რისკი იმისა, რომ ოჯახმა დაკარგოს ფინანსური დახმარება და ა.შ. მეორე მხრივ – და, უჟკველია, სწორედ ამაში მდგომარეობს განსაკუთრებული ცხოვრებისეული სიმძიმე – საბაზო ეკონომიკაში სამსახურის დაკარგვა ხშირად ტოლფასია სოციალური სტატუსის დაკარგვის, მეტიც, ტოლფასია სოციალური გარიყელობის რისკისა. ასეთი ვითარება დაატყდა თავს განსაკუთრებით მათ, ვინც შეადგენს ნომენკლატურის

ნაწილს, მაგალითად მკგლევარებს, მაღალ ფუნქციონერებს (ჩინონიკებს), სამხედროებს.

ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, საქართველოს ეროვნული მრწველობა დაინგრა – ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 75%-ით, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცენტი გადაჭარბებულია⁹ – ინფლაცია ყოველთვიურად შეადგენდა 60%-ს, ხელფასები გაიცემოდა რამდენიმე თვის დაგვიანებით და ამავე დროს სამოქალაქო ოშმაც მოახდინა ქვეყნის დესტაბილითაცია. სწორედ ამ პირობებში შემოღებულ იქნა ერთგვარი დახმარებები, რომელთაც ძირითადად ჰქონდათ სიმბოლური დირექტორება. შოკს, რომელიც დაკავშირებული იყო „კლასიკური“ დაცვის სისტემის დანერგვასთან, დაქმატა რისკები, რომელიც აუცილებლობით თან სდევს საბაზო ეკონომიკას, სადაც ინდივიდებს ძირითადად ეძლევათ იმდენი, რამდენსაც ისინი აწარმოებენ. სწორედ ამ დროიდან საქართველომ იწვია დატაკ მომუშავეთა ფენომენი (working poor), საიდანაც წამოვიდა სიღარიბესთან ბრძოლის რამდენიმე პოლიტიკის შემუშავება, რაც სოციალური პოლიტიკის ცენტრალური საყრდენია.

3. ... ინდივიდის პასუხისმგებლურობის ზრდის მცდელობა

პოლიტიკა, რომელიც იწარმოება სოციალური დაცვის სფეროში ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, და რომელიც მოწოდებულია შეამციროს სოციალური დაუცველობა, შეიძლება ასე შევაჯამოთ¹⁰: ჯანდაცვის სტრუქტურების გაჯანსაღება, მედიცინის ლიბერალიზაცია და სამედიცინო დახმარების დაფინანსებაზე გადასვლა, ინიცირება ნებაყოფლობითი დაზღვევისა და პენსიის კაპიტალიზაციის (დაგროვითი) ფორმულებისა, დახმარება სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე უმწეოებისთვის. მაშინ როცა ასეთ კონტექსტში სწორედ ინდივიდმა უნდა დაიცვას თავი ცხოვრებისეული შემთხვევითობებისგან, სოციალური უზრუნველყოფა თანდათანობით გადაიქცევა ერთგარად ეროვნული სოლიდარობის გამოვლინებად და ნაკლებად არის განხილული, როგორც უფლება.

საზოგადოდ მიღებულია, რომ დამოუკიდებლობამდე ჯანდაცვის მომსახურება საქართველოში იყო საუკეთესო ხარისხის, უკეთესი, ვიდრე სხვაგან საბჭოთა კავშირში (ლომაშვილი 2003). მაგრამ როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვემნებში, სოციალური უსაფრთხოების ძველი მოდელი არ აღმოჩნდა მისაღები ნეოლიბიზაციურ კონტექსტში, და უპირველეს ყოვლისა, სისტემური რიგის მიზეზების გამო. დამოუკიდებლობის მიღებისთანავე და შემდგომ უახლოეს პერიოდში, ჯანდაცვის სამსახურებმა იწვიეს ეკონომიკის დანგრევის და სამოქალაქო ომის შედეგების მთელი სიმწარე. დევნილები შეფარებულ იყვნენ საავადმყოფოებში, რომლებშიც ისინი იკავებდნენ შენობის დაახლოებით 90%-ს. ეს პირობები, ისევე როგორც სახალხო რესურსების მკვეთრი შემცირება, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო ომთან, და კიდევ უფრო მეტად, ეროვნული ეკონომიკის ნგრევასთან, რაც გამოწვეული იყო ტრადიციული ბაზრების დაკარგვით, უნდა მისულიყო ძველი სისტემის დაშლასთან.¹¹ ჯანმრთელობის ინდიკატორებზე ეს ვითარება განსაკუთრებით დრამატულად აისახა. გადაწყვეტილების მიმღებებმა, განსაზღვრეს რა ეკონომიკური პოლიტიკა როგორც პრიორიტეტული, ჯანმრთელობაზე ზრუნვა სულ უფრო და უფრო დამოკიდებული გახადეს გადახდაზე, რასაც შედეგად მოჰყვა მოთხოვნის დაცემაც. შედეგები ნათლად თავს იხეხდებ ჯანდაცვის სფეროში, და ეს სულ უფრო ცხადი ხდებოდა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო პერსონალის შემცირების თაობაზე¹². მაგრამ ეს ზომები უნდა შეჯახებოდნენ უპირველეს ყოვლისა იმ დიდ პრესტიჟს, რითაც სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში ექიმის პროფესია. ამის გამო შემდევ მოხდა ისე, რომ შრომის ბაზარზე მასობრივად გამოვიდნენ ჯანდაცვის ახალგაზრდა პროფესიონალები, რომელთა მომრავლება დაკავშირებული იყო მთელი რიგი მრავალრიცხოვნი კერძო სასწავლო ინსტიტუტების გახსნასთან რაც იყო შედეგი იმისა, რომ მოხდა განათლების ლიბერალიზაცია¹³. და ბოლოს, კლიენტელიზმი არ აძლევდა საშუალებას პოლიტიკურ წრეებს მიეღოთ მეტისმეტად მეტი ზომები ამ სოციო-პროფესიული კატეგორიის მიმართ, რომელიც შეადგენდა ქვეყნის ელიტას.

თუ გავითვალისწინებთ ძალიან მწირ მომსახურებას, რომელიც ამიერიდან ხორციელდებოდა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, მოსახლეობა სულ უფრო მეტად მიმართავდა კერძო მედიცინას¹⁴. დღეს-დღეობით, ითვლება, რომ საქართველოში სამედიცინო მომსახურების 80% ხორციელდება კერძო სექტორში და ამ მომსახურების გადახდას აწარმოებენ უშუალოდ პაციენტები. დახმარებები, რომლებიც *a priori* უფასოს ხდის მკურნალობას, რითაც სარგებლობენ ზოგიერთი განსაკუთრებით მძიმედ დაავადებული ადამიანები, ხდება საკამათო, რამდენადაც შესაბამისი განკარგულებები (რეგლამენტაციები) არის ძალიან ბუნდოვანი, მათ შორის ხშირად თვით ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის, და ამდენად ქართველები სავსებით „ნორმალურად“ მიიჩნევენ, რომ გადახდა მოხდეს პირდაპირ მათ მკურნალ პერსონალთან. (Belli et al. 2002).

სადაზღვევო სისტემა სულ ახლახან თუ დგამს პირველ ნაბიჯებს. მართლაც, 2004 წ. საქართველოს მთავრობამ ხმის მისაცემად გამოიტანა რამდენიმე კანონი ამ მიმართულებით, მაგრამ ეს კანონები უკან იქნა გამომახსებული. ამდენად აღმოჩნდა, რომ წლების მანძილზე სადაზღვევო სისტემის დამკიდრებაზე ზრუნვა ატარებდა შემთხვევით ხასიათს¹⁵: ამ ვითარებას თუ უშლიდა რამე, ეს პირველ რიგში იყო ფინანსური საშუალებების ნაკლებობა და, განსაკუთრებით, პოლიტიკური ნების სიმტკიცე არ მიღებულიყო ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება შეჯახებოდნენ მწვავე უკმაყოფილებას მოსახლეობის მხრიდან. ამისდა მიუხედავად, სოციალური უსაფრთხოების სფეროში გამოცდილება გროვდება. ეს გამოცდილება ხელს უწყობს შერომელთა პროფესიონების შექმნას, რომლებიც ზელს შეუწყობს ნებაყოფლობითი დაზღვევის მსურველებს კერძო პოლიტიკების გზით. ეს გამოცდილება მიმართულია აგრეთვე მთელ რიგ სასოფლო ერთობებზე (კავშირებზე), გამგეობებზე, და მხარდაჭერილია USAID-ის მიერ. დაბოლოს, ზოგიერთი მიკროფინანსური ინსტიტუტი უკვე ცდილობს დააარსოს მიკროდაზღვება არსებულ ქონებაზე დაყრდნობით (Matul 2005).

თანხის პრობლემები დგება განსაკუთრებით პენსიების სფეროში. 2006 წელს 950000 ქართველი, რაც მეტია, ვიდრე მოსახლეობის მეტულები, და ეს ტენდენცია მატულობს, დებუ-

ლობდა პენსიებს, რომელთა 58% წარმოადგენს პენსიას ხან-დაზმულობის გამო. ხანდაზმულობის პენსია დაბალია: 38 ლარი (დაახლოებით 17⁷), რაც სხვანაირად შეიძლება წარმოვადგი-ნოთ როგორც საშუალო ხელფასის 13%. პენსიონერთა მესამე-დი, რომელსაც ქვება ზემოთქმული, ცხოვრობს უკადურეს სიღ-არიბეში. გარდა ამისა, დიდია ისეთ ადამიანთა რიცხვი, ვინც მიაღწია რა საპენსიო ასაკს, კვლავ განაგრძობს აქტივობას, რათა მოიპოვოს რაიმე შემოსავალი. მთელს მოსახლეობაში, რომელიც დასაქმებულია, 16%-ს შეადგენს ადამიანები, რომ-ლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს (GEPLAC 2006). თუ გავიხ-სენებოთ, რომ საბჭოთა დროს პენსიაზე გასცლისას ხანდაზმუ-ლობის პენსია შეესაბამებოდა განსაზღვრულ ოდენობას — ანუ იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ადამიანის პროფესიული საქმიანობა და როგორი იყო მისი ხელფასი — ამდენად თანამედროვე პენსიები სავსებით შეესა-ბამება წინა რეჯიმის ეგალიტარულ ხედვას. ძალიან ფრთხ-ილად ხდება კარის გამოღება პროფესიული კარიერის ხანგრ-ძლივობის გასათვალისწინებლად, მაგრამ ამ მცდელობებს ად-გილი აქვს მარტოლენ დედაქალაქის პენსიონერების მიმართ. მაგრამ მთლიანობაში, ხანდაზმულობის პენსიები კვლავ რჩე-ბა ნორმირებული და ამით წინადამდევობაში მოდის ნეო-ლიბ-ერალურ ეკონომიკურ სისტემასთან, რომელიც ეფუძნება მერ-იტოკრატიის პრინციპებს. მაშასადამე, ამჟამად, სახელმწიფო, როგორც ჩანს, უარს ამბობს საპენსიო სისტემის ნებისმიერ სიღრმისეულ რეფორმაზე, რეფორმაზე, რომელიც გახდებოდა მეტი, ვიღრე მარტო სოციალური რეფორმა და შექებოდა თვით სოციალურ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ხორმირებული იყო აგრეთვე უმცურვლის დახმარება, რომელიც მოიხსნა 2006 წლის ივნისში. ამჟამად სხვა კატე-გორია განაგრძობს ნორმირებული დახმარებით სარგებლობას, ესენია დავნილები, რომლებიც შეადგენს ქვეყნის მოსახლეო-ბის მეათედს. მიუხედავად ამისა, თანდათანობით ქართული სახ-ელმწიფო სცილდება სპეციფიური კატეგორიების მოხაზვას, და უპირატესობას ანიჭებს სიღარიბის განსაზღვრას ინდივიდუალურ დონეზე სიღარიბის დონის მხედვით — არსებობს სამი დონე, რომელთა თვითან განსაზღვრა სისტემატურად ხდება

სახელმწიფოს რესურსებისდა მიხედვით — ინდივიდუალის სარგე-ბლობები უფასო სამედიცინო მომსახურებით, შეღავათიანი საწვავით, ფულადი დახმარებებით.

სახელმწიფო დახმარებები შეადგენს, თუ სამართლიანი ვაქებით, მეტად მცირე ნამატეს საოჯახო ბიუჯეტისთვის და, ამავე დროს, თანდათანობით ზრდება სტიგმატიზირებული გან-წყობების განმტკიცება დარიბთა მიმართ¹⁷. იმისთვის, რომ მოხდეს გაღატაკების რისკის და სოციალური გარიყელობის აცილება, მეტიც, იმისთვის რომ ებრძოლონ სიღარიბეს, ქართველები იშველიერებული ძალიან უხვად თავის დიდსულოვნებას, თანაცხოვრობენ რამდენიმე თაობით ერთ ბინაში, რომელიც „გადაურჩა“ საბჭოთა ეპოქას, მათ აგრეთვე შეუძლიათ სასარგე-ბლო კავშირების განმტკიცება და ხაზგასასმელია, რომ ასეთი კუშირების შექმნა მათ ხელშეწიფებათ მთელი თავისი ცხოვრე-ბის მანძილზე.

4. „პარალელური ეკონომიკიდან“ „არაფორმალური ეკონომიკისკნ“

ქართული ეკონომიკის დანგრევა და მასობრივი გათავისუ-ფლება სამსახურიდან დამოუკიდებლობის მიღებისთანავე აი-ძულა მოსახლეობა მიემართა საგარეო აქტივობისკენ, რათა გადარჩენილიყო უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო ომის წლებ-ში (1991 - 1995) და შემდეგ, რათა შეენარჩუნებინათ ცხოვრების განსაზღვრული დონე. მომხმარებლებს, რასაკვირველია, სთავა-ზობდნენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, მაგრამ ეს პროდუ-ქცია მისაწვდომი იყო შეზღუდული მსყიდველობითუნარიანო-ბის მქონე ხალხისთვის. მცირე მეტარმებობა წახლისებულ იქნა ინსტიტუციონალური რეფორმების გარკვეული მცდელობებით, როგორიც იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის დე-პარტამენტის შექმნა ეკონომიკის სამინისტროსთან, და პოლი-ტიკური დისკურსის მეშვეობით, რომელიც ქადაგებდა საწარ-მოების და სამუშაო ადგილების შექმნას, ხელს უწყობდა გამხ-ნევებას, რაც მოგვიანებითაც უარყოფილა:

„ … ეფუძლი საწარმო, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოსგან. ჩვენ გვჭირდება ის ხალხი, ვინც ქმნის სამუშაო ადგილებს – ისინი არიან ჩვენი და ქვეყნის მეცნიერები. და მე მსურს შემოვიდო ახალი ჯილდო, რომელითაც დაჯილდოვდებიან ისინი, ვინც დაასაქმებს ყველაზე მეტ ადამიანს …“¹⁸

მცირე მოვაჭრების საქმიანობის გავრცელება თანამედროვე საქართველოში უცხო და განსაკუთრებული რამ არ იყო მოქლი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. მათი არსებობა არ წარმოადგენს რაღაც ხელოვნურ გამოგონებას. პირიქით, ეს საქმიანობები თავის სიცოცხლისუნარიანობას იმტკიცებდნენ იმ ცნობიერებით, რომ საბჭოთა ოკუპაციამ ხელი შეუწყო მათ არსებობას. მთელს საბჭოთა კავშირში გავრცელებული იყო „პარალელური“ პრაქტიკა:

„'Black' and „'grey' economies were significant parts of the economy of shortage of Soviet systems. Popular images still prevail of the illegal street selling in the Soviet union, or the black market exchange of foreign currency.“ (Smith & Stenning 2006 :8) („„შავი“ და რუხი“ ეკონომიკა იყო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი საბჭოთა დეფიციტური სისტემისა. დღესაც ძლიერია პოპულარული წარმოდგენები საბჭოთა პერიოდში არალეგალური ქუჩის ვაჭრობისა და უცხოური ვალუტის შევი ბაზის შესახებ“)

ზოგიერთ შემთხვევაში, სახელდობრ პენსიონერების შემთხვევაში, ასეთი საქმიანობა იძლეოდა საშუალებას საგრმობლად გაზრდილიყო ცხოვრების დონე (Grossman 1991). აგრეთვე, კორუფცია, სხვადასხვა დონეზე წარმოადგენდა სახელმწიფო სისტემის ნაწილს, მაგალითად, პერსონალური წრის, ქსელის გამოყენება ძალაუფლების მიღწევის მიზნით, სხვადასხვა „საჩუქრების“ მირთმევა განსაზღვრული უპირატესობის მისაღებად და სხვა. რაც შეეხება საქართველოს, რომლის სასოფლო-სამეურნეო რესურსები ოდესდაც მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა იმდროინდელი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, ის ახორციელებდა ღვინისა და სასურსათო პროდუქტის მნიშვნელოვან კომერციას სახელმწიფოს გარეთ. მაგრამ პარალელური ეკონომიკა (shadow economy, second economy) დამახ-

ასიათუბელი იყო აგრეთვე ეკონომიკის სხვა განხრებისთვისაც, როგორიცაა გაჭრობა და ტრანსპორტი. ამ მხრივ ის პასუხობდა დაუკმაყოფილებელ მოთხოვნას პროდუქციაზე და კარგი ხარისხის მომსახურეობაზე (Mars & Altman 1987 a et b). ცხოვრების დონე, უფრო მაღალი საქართველოში იმ დროს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ზოგადად უკავშირდება ქართული shadow economy-ს სიცოცხლისუნარიანობას საბჭოთა ეპოქაში.

საბჭოთა ეპოქაში პარალელური აქტივობები და პრაქტიკები გახდა განსაკუთრებით დაუძლეველი სიღარიბის ეკონომიკისთვის. ეს იყო, ერთგვრად, პოლიტიკურად არასწორი პასუხი, მაგრამ ამასთან ტოლერანტული იმ წინააღმდეგობების მიმართ, რომელიც წარმოიშვა ქონების ბიუროკრატიული გადანაწილებისას და ხელს უწყობდა საბაზრო ურთიერთობების დამკაიდრებასა და საკუთრების უფლებების ექსპანსიას სოციალისტური საწარმოს წიაღში (Stark 1989).

შედეგად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკში ხდება გადასვლა პარალელური ეკონომიკიდან არაფორმალური ტიპის ეკონომიკაზე. ეკონომიკის ეს ორი ტიპი ერთმანეთისგან განსხვავდება თვისებრივი თვალსაზრისით, რაც აიხსნება იმ პრინციპების განსხვავებით, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ (Campos 2006, Sik, 1992, Turmanidze 2000). ჩნდება რა საქონელზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის არსებობის შედეგს, თანამედროვე არაფორმალური ეკონომიკა გვერდს უვლის კანონმდებლობას, რათა შესთაგაზოს საქონელი და მომსახურება, რომელიც პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და მსყიდველუნარიანობას, თუმცა მუდმივად ბაზრის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, არამყარმა აქტივობებმა შეიძლება მოახდინონ ზემოლა ქვეიდან იმ აქტივობებზე, რომელიც რეგისტრირებულა¹⁹. იმ პირობებში, როდესაც საკუთრების უფლებები არ არის საკმარისად დაცული, ეკონომიკურ აქტორებს არასაკმარისი ნდობა აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. (სუმბაძე 2006) — ორი მომენტი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეგანდელ საქართველოში. და მაგალითის სახით - ჯანდაცვის სამსახურების მოშპარებლები არ იცნობენ საკმარისად თავის უფლებებს, და პრაქტიკები,

რომელიც ლეგალურობის ზღვარზეა, შშენიერად ხორციელდება კანონის არსებობის პირობებში. არსებობს რისკი, რომ გამწვავდეს „უთანასწორობა და დაიწყოს „ექონომიკური ინგოლუციის“ პროცესი (Burawoy 1996). აქედან კი გმომდინარეობს სოციალური კავშირების მნიშვნელობა, რომელთა მობილიზება შეიძლება აუცილებლობის შემთხვევაში.

5. სოციალური კავშირების მნიშვნელობა

როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში, არაფორმალური ტიპის პრაქტიკები თანამედროვე საქართველოში იკვებება მათ მიერ საკუთარი ადგილის პოვნით საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, თუ პრაქტიკები, რომელიც *a priori* წინააღმდეგება „ოფიციალურ“ ეკონომიკას, შეიძლება შენარჩუნდნენ, ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი ეყრდნობა სოციალურ ქსელებს, კავშირებს, რომელიც პოტენციურად მომტანია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური უპირატესობებისა. ეს ქსელები იხლართება ვითარების მიხედვით და წუთიერი მოთხოვნის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ადამიანები მიყვებიან ტრადიციას, რომლის ბევრი მაგალითა საბჭოთა წარსულში.

ცნობილია სოციალური ქსელების მნიშვნელობა საბჭოთა რეჟიმისთვის, როგორც ინსტრუმეტებისა, რომელიც ანელებდნენ ეკონომიკურ და სოციალურ დაძაბულობებს. ამავე დროს ეს იყო იმდროინდელი რეჟიმის ოპოზიციის კერძები²⁰. და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს საბჭოთა საქართველოსთვის, სადაც სოციალური სტრუქტურები, რომელიც დადალული არიან ერთგვარი ღირსების კოდით, რომელიც აიძულებს მათ გამუდმებით ამტკიცონ თავისი დირექტულება. ასეთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა, რაც ვლინდება სუფრაზე²¹. საბჭოთა სისტემა თავისი ცენტრალიზებულად მოწყობილი იერარქიით იწვევდა წინააღმდეგობებს საზოგადოებაში, რომელიც ნათესაურობას (ახლობლობას) განიხილავს როგორც მორალურ მოვალეობას, საზოგადოებაში, სადაც ურთიერთობები პერსონალიზებულია და სადაც ფორმალური სტრუქტურები „ადაპტირებულია“, რათა

შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება პიროვნული და ოჯახური მიზნით (Mars & Altman 1987 a et b). დანახული ამ კუთხით, „სასარგებლო“ კავშირების ქსელი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანების რესურსს.

ეს კავშირები კიდევ უფრო აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაში, სადაც კოლექტივი სულ უფრო და უფრო ნაკლებად იცავს ინდივიდს, სადაც ამ უკანასკნელს მით უფრო ადვილად ემუქრება გარიყელობა, რადგან საბანკი ანგარიში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსული. ასეთი კავშირების სიკეთე უფრო წარმოჩნდა საქართველოში ოთხმოცდათან წლებში: ასეთი კავშირები მნიშვნელოვანად ამცირებებს ოჯახების მოწყველადობას, ხელს უწყობენ მომარაგებას საკვებით, საშუალებას იძლევიან გაუმჯობესდეს საბინაო პირობები და უზრუნველყოფენ, უფრო ზოგადად, გარკვეულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას (Dershem 1998). ისინი განსაკუთრებით სასარგებლო მარტოხელა პენსიონერისთვის ან მარქენალს მოკლებული ოჯახებისთვის. ამ ჯგუფებისთვის, სოციალური კავშირები წარმოადგენს სოციალურ კაბიტალს, რომელიც საშუალებას იძლევა დაცულ იქნას კაბიტალის სხვა ფორმები — მუშა ხელი მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად, სამუშაო იარაღები, ფინანსური სუბსიდიები — და მოპოვებულ იქნას ესა თუ ის სასარგებლო ინფორმაცია.

ზოგადად შეიძლება ვითიქროთ, რომ პატარ-პატარა საქმიანობები თანამედროვე საქართველოში თავის სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ ძლიერი პერსონალური კავშირების წყალობით, რომელიც საშუალებას იძლევა, მაგალითად, შეგროვდეს სასტარტო კაბიტალი პატარა კომერციისთვის, მოინახონ მომმარაგებლები, რომლებიც ნდობას იმსახურებენ და მომხმარებლები, რომლებიც მზად არიან დაიცვან სავაჭრო თამაშის წესები. ეს კავშირები, ამასთანავე, შეიძლება გახდეს სასარგებლო, როდესაც საქმე ქება პროდუქტებით მომარაგებას, ფულის უკმარისობისას, გასათბობად გაზის დირექტულების შემცირებას²², ბავშვების მიბარებას ისეთ სკოლაში, რომელიც *a priori* განკუთვნილია შედარებით დახურული წრისთვის, და ბოლოს, უბრალოდ მათი შეშვეობით შესაძლებელი გახდეს მკურნალობა.

მართლაც, ჯანდაცვის სფეროში, თუ ადამიანს სურს თვითდან აიცილოს თვითძურნალობა, გადაწყვეტილება ხორციელდება ისე, რომ ტელეფონით ეკითხებიან კონსულტაციას ექიმს, რომელიც სარგებლობს ოჯახის ნდობით²³; განსაკუთრებულ შემთხვევებში ცდილობდნენ საკითხის მოგვარებას ასე: აყალბებენ პათოლოგიის დიაგნოსტიკას, დაავადებას აფორმებენ ისეთი სახელწოდებით, რისთვისაც პაციენტს მკურნალობისთვის მინიმალური ფასის გადახდა მოუწევს.

გლობალიზაციის კონტექსტში, იმ კაგშირების ბუნება, რომელთა მობილიზება შეიძლება აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე იცვლება. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ღირსეული ცხოვრების შენარჩუნება, კველაზე დიდი მნიშვნელობა დღეს შეიძინა საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ინფორმაციის მისაწვდომობამ და ახალმა ცოდნამ. ძალაუფლების წყაროები, პრესტიჟი, სიმძიდრე და პრივილეგიები თანდათანობით დამოკიდებული ხდება სახლოვეზე პოლიტიკური გადაწყვეტილების ცენტრებთან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი საბჭოთა რეჟიმის დროს. იმისთვის, რომ გახდე „მომპოვებელთა“ ნაწილი იმ სანამდვილეში, რომელიც ხასათდება დღემდე არა ნახული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით, ძალიან მომგებიანია ფლობდე ცოდნას, კომპეტენციას, რომელიც შეუსაბამება საბაზრო ეკონომიკას და ცოდნის საზოგადოებას (Eyal და al. 2000). მაშასადამე, მაშინ, როდესაც ეკონომიკური კაპიტალის ფლობა იძლევა შესაძლებლობას მოხვდე სოციალური იერარქიის შუაგულში, საქართველოში თხუთმეტი წლის შემდეგ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სპეციფიური კულტურული კაპიტალი, სასარგებლო თანამედროვე საზოგადოებაში.

ეს გამოიხატება იმაში, რომ სწავლობენ ინგლისურს და ინფორმატიკულ ხელსაწყოს — კომპიუტერს, ეს ორივე იძლევა საშუალებას შეაღწიო ახალ ინფორმაციულ სფრცეში (მუსხელიშვილი 2007). რათა გამოიყენო ეს კულტურული კაპიტალი, აუცილებელია იცნობდე პიროვნებებს, რომელთაც შეუძლიათ გააღონ ისეთი საწარმოების (დაწესებულებების) კარგი, რომელთაც კონტაქტი აქვთ უცხოეთთან, უცხოური ფონდების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო გაქანების NGO-

თან. თუ შევხედავთ ამ კუთხით, იხატება განაწილების ახალი საზი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს მათ, ვისაც აქვს გასავალი გარე სამყაროში, იმათგან, ვინც ამას მოკლებულია. ინტერესი, რომელსაც იწვევს მსჯელობა ვეროპის სამეზობლო პოლიტიკაზე მომდინარეობს აგრეთვე აქედან.

* * *

წლებმა, რომელიც საქართველომ გაიარა დამოუკიდებლობის შემდეგ, ღრმად შეცვალეს შრომის სფერო, და ამასთანავე სოციალური ზომები შერომელებსა და უმუშევართა მიმართ. საბჭოთა რეჟიმის დროს სამუშაო იძლეოდა ცხოვრების განსაზღვრულ დონეს, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იყო, თანაც არც იმდენად უშლიდა ხელს მისწრაფებებს მატერიალური კეთილდღეობისკენ, მისწრაფებებს, რომლებსაც შეიძლება ხელი შეეწყოთ „პარალელური“ ეკონომიკისთვის, იმ პროპორციით, რომელიც მჭიდროდ ეფარდებოდა არსებულ სასარგებლო კავშირებს. სოციალურ პლანში, სამუშაო სამუალებას იძლეოდა იდენტურობის ჩამოყალიბებისა, ის იყო ერთგარი თანაცხოვრების კერა (რასაკვირველია ორგანიზებული იერარქიის მიხედვით!), იძლეოდა დაწმუნებულობის განცდას დროსთან მიმართებაში — სამუშაოს „შემდეგ“ და „უიმისოღ“. მოკლედ, საბოლოო ჯამში, სამუშაო (შრომა) იყო გარანტი ერთგვარი სოციალური ჩართულობისა, მაშინაც კი, თუ მოქმედებდნენ ცენტრიდანული ძალები, რომლებიც ინდივიდებს აიძულებდნენ სულ უფრო და უფრო მოქმედინათ საკუთარი თავის რეალიზაცია პირად ცხოვრებაში (Shlapentokh 1989).

გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე გაქარწყლა ყოველივე ის, რასაც შეიძლება ერთგვარი დაწმუნებულობის იერი ჰქონდა. იმ სამყაროში, რომელიც იმართება საბაზრო კანონებით, უთანასწორობის შექმნით და გარიყელობით, უნდა ამოქმედდეს სხვა მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღირსეული ცხოვრების დონე, რათა თავიდან იქნას აცილებული სოციალური დეკლასირება. ეს არის საბაზრო ლოგიკა, რომელიც დომინირებს, ლოგიკა, რომელიც გულისხმობს ინდივიდუ-

ალური აქტორების ჩართვას, რომელთაც ძალუბი შექმნან თვითი საკუთარი საქმე და შეუძლიათ თვითონ დაიცვან თვი მთლიანად იმ რისკებისგან, რომელიც შეიძლება თავს დაატყ-დეს როგორც მას, ისე მის ახლობლებს.

სახელმწიფომაც იწვნია თავისი კომპეტენციების შეცვლა. ის ზრუნავს იმაზე, რომ ნეო-ლიბერალური თამაშის წესები კიდევ უფრო დამკვიდრდეს ეკონომიკურ სფეროში და ამის-ათვის ახორციელებს უპრეცედენტო საკანონმდებლო აქტოების. რაც შექება სოციალურ პრობლემებს, ის სულ უფრო და უფრო თავიდან იცილებს მხრუნველობის მოვალეობებს და ამით ამწვევებს დაპირისპირებას ერთი მხრივ, საბაზრო ლოგიკასა და მეორე მხრივ, მხრუნველობით ლოგიკას შორის (Althabe 2003). რაც შექება ეროვნულ სოლიდარობას, რომლის ერთადერთი გარანტი შეიძლება იყოს სახელმწიფო, მას ის ახორციელებს მხოლოდ „მორჩენის პრინციპით“: უნდა იცხოვო უკიდურეს სიღარიბეში, რათა რაიმე დახმარება მიიღო, ამასთან ეს დახმარება აღიქვა როგორც საჩუქარი. და, თუ გავთვალისწინებთ დღვენდელ მოცემულობას, ექვსიდან ერთი ქართველი ამ მდგომარეობაშია და ხშირად ეს ეხება პიროვნებას, რომელმაც მიაღწია პენსიის თეორიულ ასაკს! მაშინ, როცა სახელმწიფო მოქმედებს არაეფექტურად გადანაწილებაში, ის ამკვიდრებს უთანასწორობას, იმდენად, რამდენადაც ის გამოიდის ნეო-ლიბერალური პოლიტიკის გატარებიდან. გამორიცხა რა სოლიდარობა თავისი მოქმედების ველიდან, სახელმწიფო თანდათანობით კარგავს თავის ლეგიტიმურობას მოსახლეობის თვალში და მასთან ერთად ლეგიტიმურობას კარგავს მისდამი დაქვემდებარებული ფველა ინსტიტუტი.

ასეთი ვითარება დღეს იწვევს ინდივიდის მხრიდან ჩაკეტვას კრძო სფეროში, რელიგიაში, „ახლადშექმნილ ტრადიციაში“ ან გასვლას ქვეყნის „გარეთ“, რომელსაც გადაჭრებული ღირებულება ენიჭება და რომელზედაც ოცნებობს ბევრი ახალგაზრდა.

შენიშვნები:

1. სოციო-ეკონომისტი IRD-ში, კვლევით ჯგუფი „შრომა და გლობალიზაცია“. ქვემოთმოყვანილი ტექსტი ეფუძნება კვლევას, რომელიც საქართველოში ჩატარდა 2005 წლის ივნისში და 2006 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. მე მაღლობას ვუხდი საზოგადოების კვლევის ცენტრის (თბილისი) თანამშრომლებს დიდსულოვანი დახმარებისთვის კვლევის ჩატარებისა და მონაცემების დამუშავებისას; მაღლობას ვუხდი აგრეთვე უა უორჯის ფონდს (პარიზი) და კავკასიური კვლევების საერთაშორისო ცენტრის (თბილისი) მათი დახმარებისთვის კომპიუტერული დამუშავებისას. დიდი მაღლობა აგრეთვე ველინ ვოლპს კონსტრუქტიული კომენტარებისთვის. ამასთან მე ერთადერთი ვარ პასუხისმგებელი ამ ნაშრომის არასრულყოფილებაზე.
2. სიღარიბით სიკვდილი შემცირდა თვალსაჩინოდ, სიღარიბის სწორის „გამართვის“ წყალობით . . . 2003 წ. ჯერ კიდევ ქართველების 54% იყო ღარიბი.
3. მე უარი ვთქვი ამ ტექსტში ორაზრივან ტერმინზე „გარდამავლობა“ (Bazin & Selim 2002) ამ საკითხზე დისკუსიის თაობაზე იხილეთ Andreff (2003: 137 და მომდევნო).
4. ამ ქვეყანაში არ შეიძლება ჩაითვალოს უმუშევრად ნებისმიერი წევრი ოჯახისა, რომელიც ფლობს როგორც მინიმუმ ერთ ჰექტარ მიწას. ამავე დროს ერთი ქართული ოჯახი ორიდან ამუშავებს მიწას.
5. ტერმინი „არაფორმალური“, როგორც ჩანს, კარგავს თავის ნებატიურ კონტაციას (Désert 2006). ამაზე დებატები ჯერ კიდევ გასამართა.
6. შეიძლება ინახოს <http://www.doingbusiness.org/default.aspx> (accès février 2007).
7. შედარებით დამატავოფილებელ ეკონომიკურ ზრდას საქართველოში (9,3% 2005) არ ახლავს უთანასწორობის შემცირება. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეულია ტრანსპორტით და BTP (GEPLAC 2006).
8. სამაგიროდ ოცდათამდე პიროვნება დაკავებულია სოციალური საკითხებით.
9. International Center for Human Development et al. 2003, BERD-ის მონაცემებზე დაყრდნობით (Transition Report 1999).
10. აქ არ იქნება ლაპარაკი სოციალური სახელმწიფოს სხვა პრინციპებზე.
11. 1990 და 1994 წლებში რეალური დანახარჯები ჯანდაცვაში ერთ აღამანჩე შემცირდა 13%-ით და გახდა დოლარზე ნაკლები (Belli et al. 2002).

12. სამოქალაქო სისტემის ექიმთა რაოდენობა 32000-დან 1989 წ. შემცირდა 21000-მდე 2003 წ. ამავე დროს ამავე პერიოდში საწოლთა რაოდენობა საავალმყოფოში შემცირდა 60000-დან 18000-მდე (ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 2004 : 76).
13. ოთხოცდათანი წლების ბოლოს 2500 ახალგაზრდა მომავალი ექიმი წლიურად გადიოდა შრომის ბაზარზე. ბოლო აღწერის მიხედვით, ქვეყნაში 48000 ექიმია. იხილეთ „Doctors talk about their world, and what needs to change“, Georgia Today, n° 289, 20.1.2006.
14. უფრო დაწერილებით იხ. Baumann 2006.
15. Law on Mandatory Social Insurance et Law on Mandatory Insurance Pensions. Voir GEPLAC (2004) et Georgia Law Brief, Junu-September 2003 (www.evlaw.com/cis, consultation février 2006).
16. „100 Modern Hospitals in Three Years“, Georgia Today, n° 340, 19.-25.1.2007.
17. კანონპროექტში სოციალური დახმარების შესახებ, ის იქნება განსაზღვრული როგორც „სახელმწიფოს მიერ გაცემული საჩუქარი“ (ანაძე 2007b : 3).
18. სიტყვა წარმოთქმული პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ („Saakashvili hails state-funded program to tackle unemployment“ Georgian Times, 11.12.2006).
19. მაშინ როცა საბჭოთა რეჟიმის პარალელური ეკონომიკა ზელს უწყობდა ზოგჯერ დაგვგმილი ამოცანების შესრულებას.
20. შეიძლება იხილოთ კიდევ Allessandrini & Dallago (1987) და Shlapentokh (1989).
21. „სუფრასთან“ დაკავშირებით (supra) შეიძლება წაიკითხით დიდი ინტერესით Mühlfried (2006).
22. რამდენიმე წლის მანძილზე ფასები საწაგებ მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაოთხმავდა რუსული გაზის ფასი. ამდენად საჭიროა ამ საკითხის „მოგვარება“, რათა რაც შეიძლება მეტად შემცირდეს გადასახადი.
23. . . მოუწყდავდ „საოჯახო მედიცინის“ პაპულარიზაციისა, რაც არის ბოლოდროინდელი ინოვაცია, რათა შემცირდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღირებულება.

ბიბლიოგრაფია

AGHION Philippe, BLANCHARD Olivier [1994], « On the Speed of Transition in Central and Eastern Europe », *NBER Macroeconomic Annual*, 9, pp. 283-320.

- ALLESSANDRINI Sergio, DALLAGO Bruno (eds) [1987], *The Unofficial Economy. Consequences and Perspectives in Different Economic Systems*. Aldershot, Gower Publishing Company, 345 p.
- ALTHABE Gérard [2003], « Fin de partie solidaire : charité et finance », in Hours (B.), Selim (M.), *Solidarités et compétences, idéologies et pratiques*. Paris, L'Harmattan, pp. 167-171.
- ANDREFF Wladimir [2003], *La mutation des économies postsocialistes. Une analyse économique alternative*, Paris, L'Harmattan, 366 p.
- ANDREWS Emily S., RINGOLD Dena [1999], *Safety Nets in Transition Economies. Toward a Reform Strategy*. Washington D.C., World Bank, June, 66 p. [Social Protection Discussion Paper Series N° 9914].
- ANTADZE Tsuri [2007a], *Labour Standards and Their Compliance with the ‘European Social Charter’ and Requirements of ILO Conventions Ratified by Georgia*, Tbilissi, 6 p.
- ANTADZE Tsuri [2007b], *Social Protection System*. Tbilissi, 3 p.
- ANTADZE Tsuri [2007c], *Poverty Reduction and Social Sustainability*. Tbilissi, 4 p.
- BAUMANN Eveline [2006], « Gestion des risques et protection sociale dans les pays de la CEI. L'exemple de la Géorgie », *État et régulation sociale. Comment penser la cohérence de l'intervention publique ?*, Paris, MATISSE / Université Paris 1, 11-13 septembre, 19 p. [<http://matisse.univ-paris1.fr/>].
- BAZIN Laurent, SELIM Monique [2002], « Diffractions politiques du marché (Côte d'Ivoire, Vietnam) », *Journal des anthropologues*, 87, pp. 109-137.
- BELLI Paolo et al. [2002], *Qualitative Study on Informal Payments of Health Services in Georgia*. Washington D.C., World Bank, 63 p. [HNP Working Paper 2904].
- BOERI Tito [2001], *Transition with Labour Supply*. Bonn, IZA (Forschungsinstitut zur Zukunft der Arbeit), 65 p. [IZA Discussion Paper n° 257].
- BOUEV Maxim [2004], *Diverging Paths. Transition in the Presence of the Informal Sector*, Oxford, 49 p. [William Davidson Institute Working Paper N° 689].
- BURAWOY M. [1996], « The State and Economic Involution. Russia through a China Lens », *World Development*, 24, pp. 1105-1117.
- CAMPOS Nauro F. [2006], « Jamais à midi. Sur la nature et les causes de l'informel dans la transition », *Revue d'études comparatives Est-Ouest*, vol. 37, n° 1, pp. 165-192.

- DERSHEM Larry, GZIRISHVILI David [1998], « Informal Social Support Networks and Household Vulnerability : Empirical Findings from Georgia », *World Development*, vol. 26, n° 10, pp. 1827-1838.
- DESERT Myriam [2006], *Le débat russe sur l'informel*. Paris, Sciences Po, Centre d'études et de recherches internationales, mai, 53 p. [Questions de Recherche / Research in Question, n° 17].
- EYAL Gil, SZELÉNYI Iván, TOWNSLEY Eleanor [2000], *Making Capitalism without Capitalists*. London, New York, Verso, 280 p.
- GEPLAC (GEORGIAN-EUROPEAN POLICY AND LEGAL ADVICE CENTRE) [2004], *Georgian Economic Trends, Quarterly Review*, n° 2, 127 p.
- GEPLAC (GEORGIAN-EUROPEAN POLICY AND LEGAL ADVICE CENTRE) [2006], *Georgian Economic Trends, Quarterly Review*, October, 70 p.
- GOTSADZE George *et al.*, [2005], *Descriptive Background to Health Care Financing Reform Strategy Development in Georgia*. HCF Discussion Paper n° 1. Tbilisi, Curatio International Foundation, 32 p.
- GROSSMANN Gregory [1991], « Informal Personal Incomes and Outlays of the Soviet Urban Population », in Portes (A.), Castells (M.), Benton (L.A.) (eds), pp. 150-170.
- INTERNATIONAL CENTER FOR HUMAN DEVELOPMENT (Armenia), ORGANIZATIONAL AND TECHNICAL DEVELOPMENT SOCIETY (Azerbaijan), THE STRATEGIC RESEARCH INSTITUTE (Georgia) [2006], *Employment Policy Directions in South Caucasus Countries : Securing Policy Development in Compliance wiht the EU Employment Strategy*. Baku, Tbilisi, Yerevan, 364 p.
- INTERNATIONAL CENTER FOR HUMAN DEVELOPMENT (Armenia), AREAT CENTER (Azerbaijan), THE STRATEGIC RESEARCH INSTITUTE (Georgia) [2003], *Lost Potential in the South Caucasus : Aspects of Interstate Trade*. Yerevan, Baku, Tbilisi, 183 p.
- LAUTIER Bruno [1994], *L'économie informelle dans le tiers monde*. Paris, La Découverte, Coll. Repères, 125 p.
- LOTUASHVILI A. [2003], *Overview of Georgia's Health Care System*. 4 p. (<http://www.bisnis.doc.gov.bisnis.bisdoc/030521gghealth.htm>, accès septembre 2005).
- MARS Gerald, ALTMAN Yochanan [1987a], « Case Studies in Second Economy Production and Transportation in Soviet Georgia », in Allessandrini (S.), Dallago (B.) (eds), *The Unofficial Economy. Consequences and Perspectives in Different Economic Systems*. Gower Publishing Company, pp. 197-219.
- MARS Gerald, ALTMAN Yochanan [1987b], « Case Studies in Second Economy Distribution in Soviet Georgia », in Allessandrini (S.), Dallago (B.) (eds), *The Unofficial Economy. Consequences and Perspectives in Different Economic Systems*. Gower Publishing Company, pp. 220-254.
- MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA [2004], *Social Trends in Georgia*. 2004. Tbilisi, 93 p. (http://www.statistics.ge/index_eng.htm).
- MATUL Michal [2005], *Demand for Microinsurance in Georgia*. Warsaw, Microfinance Centre for Central and Eastern Europe and the New Independent States. April, 66 p. [<http://www.microinsurancecentre.org/>].
- MÜHLFRIED Florian [2006], *Postsowjetische Feiern. Das georgische Bankett im Wandel*. Stuttgart, Ibidem-Verlag, p.
- MUSKHELISHVILI Marina [2007 sous presse], « Globalization and the Transformation of Institutions and Discourses in Georgia », in Baumann *et al.* (coord.), *Marchandises, marchandisation. Anthropologues et économistes face à la globalisation*. Paris, L'Harmattan.
- PORTES Alejandro, CASTELLS Manuel, BENTON Lauren A. (eds) [1991], *The Informal Economy. Studies in Advanced and Less Developed Countries*, Baltimore, London, The Johns Hopkins University Press, 327 p.
- SCHNEIDER F. [2002], *Size and Measurement of the Informal Economy in 110 Countries around the World*. 50 p. [<http://www.economics.uni-linz.ac.at>].
- SHLAPENTOKH Vladimir [1989], *Public and Private Life of the Soviet People. Changing Values in Post-Stalin Russia*. New York, Oxford University Press, 281 p.
- SIMON Clarke [1999], *New Forms of Employment and Household Survival Strategies in Russia*. Coventry / Moscow, Centre for Comparative Labour Studies / Institute for Comparative Labour Relations Research, 250 p.
- SMITH Adrian, STENNING Alison [2006], « Beyond Household Economies: Spaces and Articulations of Economic Practice in Post-Socialism », *Progress in Human Geography*, 30(2), pp. 190-213.
- STARK David [1989], « Bending the Bars of the Iron Cage : Bureaucratization and Informalization in Capitalism and Socialism », *Sociological Forum*, vol. 4, n° 4, pp. 637-664.
- SUMBADZE Nana [2003], *The Non-Farm Economy in Post-Soviet Georgia. A Study of Three Rural Communities*. Greenwich University, Natural Resources Institute, 32 p. [NRI Report n° 2733].
- SUMBADZE Nana [2006], *Georgia Public Opinion Barometer 2006*. Tbilisi, Institute for Policy Studies, 69 p.
- TURMANIDZE Koba [2000], *State against the Invisible. The Case of Georgian Informal Economy*. Budapest, Central European University, Department of Political Science, 35 p. [<http://www.policy.hu/turmanidze>].

სოციალური უთანასწორობა საქართველოს პოლიტიკური მდგრადი ხედვაში

ირაკლი პეტრიაშვილი

დღევანდელ შეხვედრაზე წარმოდგენილია საზოგადოება, რომელსაც კარგად ესმის სოციალური უთანასწორობის არსი და მასთან დაკავშირებული რისკები. მე მოგახსენებთ განსახილველ თუმასთან დაკავშირებით საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პოზიციასა და შეფასებებს.

დავიწყებ იმით, რომ თუმა უაღრესად აქტიურურია. სოციალური უსამართლობის საკითხების განხილვას ეძღვნება უამრავი კონფერენცია, სემინარი, მითუმეტეს პროფესიულ ორგანიზაციებში. პირველ რიგში ვგულისხმობ პროფესიული კავშირების საერთაშორისო კონფერენციას. ეს პროდუქტები აქტიურად განიხილება საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასა და მის წევრ ორგანიზაციებშიც.

მოგეხსენებათ, რომ გლობალიზაცია და მისი განმაპირობებელი ფაქტორები სერიოზულ გაულენას ახდენენ მსოფლიოსა და, განსაკუთრებით, საქართველოსნაირ პატარა ქვეყანებზე. ამასთან ეს პროცესები საქართველოში გარკვეული მახინჯი ფორმით მიმდინარეობს, როცა „ნეოლიბერალიზმის“ სახელით ხორციელდება ისეთი ცვლილებები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობას ქვეყანაში და მართლაც შეიძლება გაგებული იქნეს გარკვეულ გამოწვევად მემარცხენეობისა და მთელი საზოგადოებასათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფორმულა არის ერთი: მდიდრები ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობქნ დღესაც, რომ კიდევ უფრო გამდიდრდნენ დარიბების ხარჯზე. ასეთ

პირობებში გლობალურ ეკონომიკას და საერთოდ, იმ ფორმით შემოთავაზებულ გლობალიზაციას, რა ფორმითაც დღეს მსოფლიოს და მით უმეტეს საქართველოს წარმოუდგენენ, პირობითად, აქვს მგლის სახე. რამდენად მიიღებს ის ადამიანურ სახეს, ეს დიდად არის დამოკიდებული როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, საზოგადოებისა და განსაკუთრებით მემარცხენების კომპეტენციაზე და მათ ერთიანობაზე. ჩვენ თუ გვინდა გლობალიზაცია სასარგებლო გაუხადოთ ხალხისთვის, ალბათ უნდა ვთქვათ, რომ გლობალურ ეკონომიკას უნდა მოსდევდეს თან ადამიანის უფლებების გლობალური დაცვა, დირსეული შრომის პირობები, უსაფრთხო შრომის ნორმებისა და სტანდარტების დაცვა, სათანადო ხელფასები და ა.შ. რეალურად ჩვენს ქვეყანაში არის არა ნეოლიბერალიზმი, არამედ საკმაოდ გაურკვეველი მდგომარეობა, რასაც საკმაოდ ოსტატურად იყენებენ ხელისუფლების რიგი წარმომადგენლები. თითქოს უარი ვთქვათ ცენტრალიზებული საბჭოური ტიპის ეკონომიკაზე და ვნერგავთ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მაგრამ საკმაოდ ხშირად იყენებენ სწორედ კომუნისტური პერიოდის ცენტრალიზებული ეკონომიკის ფორმულებს და ნერგავენ ყოვლად მიუღებელ ნორმებს. ახლა მე კონკრეტულად არ ჩამოვთვლი, მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ ბევრი ნორმა ასეთი მიდგომის დადასტურებაა. მაგალითად, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული შვებულების ანაზღაურებისას ერთიანი ჰერის დადგენა (არა უმეტეს 600 ლარისა), მიუხედავად იმისა, ვის რა გადასახადები აქვს გადახდილი. გარდა იმისა, რომ ფქმებიმეთა უფლებები ირღვვევა და დემოგრაფიას საფრთხე ექნება, ეს არანაირად არ ჯდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში. სამწუხაროდ, საქართველოს შრომითი კანონმდებლობიდან უამრავი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ჩვენს ქვეყანაში რეალურად ხდება შრომის სფეროში ევროპული სტანდარტების იგნორირება, მიმდინარეობს

შრომითი სტანდარტებისა და სოციალური სტანდარტების „დეპინგი“ და ამის დადასტურებაა შრომის ახალი კოდექსი. იგი ფაქტობრივად ამკვიდრებს მონურ შრომას XXI საუკუნის საქართველოში. ასეთი შეფასების საფუძვლს გვაძლევს კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რომელთა შესახებ მომხსენებელმა ისაუბრა. რომ ავიღოთ თუნდაც ზეგანაკვეთური შრომის ნორმა იმ სახით, რა ფორმითაც დღეს არის ჩადებული შრომის კოდექსში. ფაქტობრივად ეს არის ნებადართული მონური შრომა, ვინაიდან დღევანდელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ზეგანაკვეთური შრომის ზღვრულ მოცულობას და მისი ანაზღაურებისათვის გაზრდილ ტარიფს. ანუ, თუ XIX საუკუნის ბოლოს ჩიკაგოში რგასათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით გამოვიდნენ მუშები და თითქმის მთელმა მსოფლიომ აღიარა მათი მოთხოვნის მართებულობა, ეს პრობლემა ისევ აქტუალური გახლავთ XXI საუკუნის საქართველოში.

ამ პრობლებებზე არაერთხელ გამოსულა საქართველოს პროფკავშირები როგორც განცხადებებით, ასევე მასობრივი აქციებით. სწორედ პროფკავშირების მასობრივი აქციების შედეგად იქნა შეტანილი 27 შესწორება შრომის კოდექსის პროექტში. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ჩასწორება, როგორიცაა სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირება 48 საათიდან 41 საათამდე, ყოველწლიური ანაზღაურებადი შევბულების ხანგრძლივობის გაზრდა 15-დან 24 სამუშაო დღემდე, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გაზრდა და ა.შ. ამის მიუხედავად, შრომის კოდექსის ბევრი ნორმა არ შეესაბამება არამც თუ XIX საუკუნის ევროპული ქვეყნების შრომით სტანდარტებს, არამედ ვერ ასახავს იმ მინიმალურ სტანდარტებსაც კი, რაც აუცილებელია დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის. კოდექსის თანახმად, ზეგანაკვეთური შრომის ანაზრაურების საკითხები რეგულირდება მუშაკსა და დამსაქმებელს შორის მოლაპარაკებით. მუშაკი

და დამსაქმებელი წარმოდგენილია როგორც თანასწორი მდგომარეობის მქონე ორი სუბიექტი, რაც თავიდანვე არასწორია, ვინაიდან დასაქმებული და დამსაქმებელი ვერანაირად ვერ იქნებიან თანასწორები და მათ ურთიერთობებზე ვერ გავავრცელებთ სამოქალაქო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. როგორც ცნობილია, კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ მუშაკი ანუ დასაქმებული უკვე ხდება დაქვემდებარებული და დამოკიდებული დამსაქმებელზე. ეს არის რეალობა და ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ასე, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობა და ამის საფუძვლზე ნორმების დადგენა იწვევს ყველა იმ ხარვეზზს, რასაც მოიცავს ეს შრომის კოდექსი.

საქართველოში ზოგადად არ არსებობს სახელმწიფო კონტროლი უსაფრთხო შრომაში. ჩვენს ქვეყანაში აღარ დარჩა ორგანო, რომელიც გარკვეულწილად გააკონტროლებს უსაფრთხო შრომის პირობებს. შრომის ინსპექცია ქვეყანაში აღარ არსებობს, რაც ნონსენსი და აბსულია. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს უსაფრთხო შრომის გარანტია, ზედმეტია საუბარი ლირსეული შრომის პირობებზე.

თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო ასევე აუნაზღაურებელი შრომის საკითხებსაც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით, დაუშევებელია აუნაზღაურებელი შრომის გამოყენება, მათ შორის იძულებითი და სავალდებულო სამუშაოების შესრულებისას. XXI საუკუნის საქართველოში კი გვაქვს ნორმა, სადაც წერია, რომ სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ანდა მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე.

გარდა იმისა, რომ ასეთი ნორმებით ილახება დასაქმებული ადამიანების უფლებები, ზარალდება ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიც. მაგალითად, ზეპირი შრომითი კონტრაქტების შედეგად, რომელიც ნებადართულია საქართველოს შრომის

კოდექსით, სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს და მომზალშიც დაკარგავს საკმაოდ სერიოზულ თანხებს, ვინაიდან იგი ქმნის წინაპირობებს არაფორმალური დასაქმებისათვის. სახელმწიფო ასევე კარგავს საკმაოდ სერიოზულ თანხებს იმის გამო, რომ ქვეყანაში დღემდე გადაუჭრელია საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის გათანაბრების საკითხი. მინიმალური ხელფასი, როგორც ცნობილია, ქვეყანაში 20 ლარია. ეს აძლევს მეწარმეს საშუალებას დამალოს მოუშვეთა ხელფასები და არ გადაიხადოს გადასახადები.

საქართველოსათვის უმწვევესი პრობლემაა უმუშევრობა. ოფიციალური ციფრები, სამწუხაროდ, ვერ ასახავთ რეალურ სიტუაციას და უმუშევრები ბევრად მეტია, ვიდრე აღირიცხება ზოგადად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტირიუმებით. ესპერტთა შეფასებებით, უმუშევრობის დონე ქვეყანაში 30%-ზე ბევრად მეტია. დასაქმებულებს შორის მცირეა (დაახლოებით 34%) დაქირავებით დასაქმებულები, ანუ ადამიანები, რომლებიც მუშაობენ კონტრაქტით და დაწესებული აქვთ შრომის გარკვეული სტანდარტები. დასაქმებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ამასთან საკამათოა ბევრი მათგანის მიჩნევა დასაქმებულად, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი შრომის პირობებზე. სამწუხაროდ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ცნობს და ჩვენი სახელმწიფოც ამას იყენებს, რომ ადამიანი თვითდასაქმებულია თუ მას აქვს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი, პატარა ბაღჩაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ყოველგვარი უფლებების გარეშე ბაზრობებზე დასაქმებულ ადამიანებზე და ა. შ.

უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში რეალურად კიდევ უფრო ნაკლებ ხელმისაწვდომი გახდა სამუშაო აღგილები იმის გამო, რომ საქართველოში 5 წლით გაიზარდა საპენსიო ასაკი. ამით კიდევ უფრო გამძაფრდა კონკურენცია არსებულ სამუშაო ადგილებზე. მცირე პენსიები აიძულებს პენსიონერებსაც — ეძებონ სამუშაო. ეს კიდევ უფრო

ამძიმებს მდგომარეობას დასაქმების სფეროში და მთლიანად სოციალურ ფონს ქვეყანაში.

საქართველოში რეალურად არსებობს ასევე ბავშვთა შრომის გამოყენების პრობლემა, რასაც ეპრძევის მთელი მსოფლიო და ჩვენთან მას არ ექცევა სათანადო ყურადღება. დღეს მომუშავე ბავშვი ნიშნავს არა მარტო ხვალინდელ გაუნათლებელ თაობას, არამედ ნიშნავს იმასაც, რომ მომავალში გაუნათლებელი მშობლები მნელად თუ მისცემენ თვითით შვილებს განათლებას, რაც კიდევ უფრო გააუარესებს მათ მდგომარეობას. ეს დიდი და სერიოზული პრობლემაა, მაგრამ დაუუბრუნდეთ ისევ შრომით უფლებებს.

შრომის ახალი კოდექსით ფაქტიურად იგნორირებულია ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნები, მათ შორის ისეთი მუხლების, რომელთა რატიოცირებაც მოახდინა საქართველოს პარლამენტმა. იგნორირებულია ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციების მოთხოვნები; ჯერაც არ არის რატიოცირებული კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ და სოციალური დიალოგი ქვეყნაში ფაქტობრივად არ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენცია რატიოცირებული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ, იმის გამო, რომ ვართ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნა, მისი კონვენციები და რეკომენდაციები გარკვეულწილად სავალდებულოა ჩვენთვისაც.

შრომის ახალი კოდექსის მიღებამდე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაშ მოაწყო ბევრი აქცია ანტიკონსტიტუციური შრომის კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მოთხოვნების გარკვეული ნაწილი გათვალისწინებული იქნა, მაგრამ საჭიროა მეტი აქტიურობა და ვცდილობთ კიდევ უფრო ეფექტური ნაბიჯების გადადგმას.

იმის გამო, რო საქართველოს შრომითი კანონმდებლობა უგულებელყოფს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის

კონვენციებისა და „ევროპის სოციალური ქარტიის“ მოთხოვნებს, ქვეყანას შეიძლება შეექმნას სერიოზული პრობლემები საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, ხელისუფლებას, სამწუხაროდ, არ სურს დიალოგი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, თავისი წევრების აზრს. ჩვენი აზრით, შეიქმნა საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიული პრობლემები და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ახალი კოდექსის მოწინააღმდეგებთა სიაში აღმოჩნდა საქართველოს მეწარმეთა კავშირიც. ასეთი შრომის კოდექსი ნამდვილად არ უწყობს ხელს სოციალურ სტაბილურობას ქვეყანაში. არასტაბილურ ქვეყანაში კი არც ადამიანის უფლებები იქნება დაცული და გერც პროფესიული განვითარდება.

საქართველოში შრომის სფეროში არსებული სიტუაცია იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება. საკმაოდ სუსტი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი გახლავთ პროფესიულები და ისიც უფრქციური რეორგანიზაციის პროცესში იმყოფება. ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტის ბრალიც არის ამ ინსტიტუტის განუვითარებლობა, ვინაიდან არ არის გააზრებული, რომ სოციალური დიალოგი სოციალური სამართლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის რეალური გზა და საშუალებაა. როცა პროფესიულები ატარებს აქციას, საზოგადოების უმეტესობა ვერ აცნობიერებს მისი მხარდაჭერის მნიშვნელობას და ამჯობინებს, ტელევიზიით ადვონოს აქციებს თვალი, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოცდის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლდების ან შრომითი უფლებების სხვა დარღვევას. ასეთი მენტალიტეტი იმ გარემოს ბრალიცაა, სადაც ჩვენ ათეული წლების განმავლობაში გვიწვდა ცხოვრება. მენტალიტეტის შეცვლას დრო სჭირდება, მაგრამ იმასაც ვჩვდებით,

რომ აუცილებელია ჩვენი ძალისხმევის გაზრდა, რათა საქართველოს პროფესიული რეალურად დაემსგავსოს დასავლური ტიპის პროფესიულ ორგანიზაციებს და რეალურად შეძლოს მასზე დაკისრებული როლის შესრულება ქვეყანაში სოციალური ვითარების გაუმჯობესებისათვის.

ის, რაც ჭირს საზოგადოებას, სჭირს პროფესიულებაც. ნაკლოვანებების გაცნობიერება გვეზმარება მათ დაძლევაში. სერიოზული პრობლემაა ორგანიზაციის წევრების შენარჩუნება. საწყის ეტაპზე ჩვენ შევძლით წევრების კლების შეჩერება და ზოგიერთ დარღში მატებისკნაც წავედით. ეს შევძლით იმ რეფორმებით, რაც ჩვენ განვახორციელეთ. მოგეხსენებათ, რომ სამოცდაათი წლის მანძილზე პროფესიულების თვითონ იდეოლოგია იყო დაკარგული, იმიტომ, რომ ეს იყო პარტიის სატელიტი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფაქტობრივად ინიშნებოდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან. დღეისათვის ეს ასე აღარ არის. ცვლილობთ დასავლური ტიპის პროფესიულ ორგანიზაციის მშენებლობას, როცა ქვევილან ზემოთ ხდება პროფესიულის შენება და არა ისე, როგორც კეთდებოდა საბჭოთა კუშირის ჰერიოდში.

დღეს ჩვენ აქ ვიმყოფებით უა-უორესის ფონდის მხარდაჭერით. საკმაოდ პესიმისტური იყო ჩვენი გამოსვლა. პესიმისტურ ნოტაზე მიმდინარეობს იმ პრობლემების წარმოჩენა, რაც ქართულ საზოგადოებას სჭირს ზოგადად. მაგრამ სწორედ უორესის სიტყვებია, რომ „ხალხს ძლიერნი ამა ქვეყნისა მანამ პერნიათ უძლეველნი, სანამ დაჩოქილ მდგრამარეობაში შესცემერიან მათ“. ჩვენ და საზოგადოება მთლიანად თუ გავითვისებთ იმას, რომ ინტერესი და დაკეთა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, ხელისუფლებას უნდა მისცეს საზოგადოებაში, მაშინ ბევრი პრობლემაც მოგვარდება. არასწორად მიმაჩნია მხოლოდ კრიტიკა, თუ რა გააკეთა ან არ გააკეთა ხელისუფლებაში, ვინაიდან რისი უფლებაც მისცა მას საზოგადოებაში, ხელისუფალმაც

სწორედ ის შემოგვთავაზა. შრომის უფლების დასაცავად გამ-
ართულ ჩვენს აქციაზე ათი ათასი კაცის ნაცვლად რომ გა-
მოსულიყო ოთხმოცი ათასი კაცი, მაშინ, მერწმუნეთ, ასეთი
შრომის კოდექსი არ გვექნებოდა. მართალია, ამას ჯერ ვერ
აცნობიერებს ხალხი, მაგრამ ამის გაცნობიერება აუცილე-
ბლად მოხდება და ჩვენი ძალისხმევაც შრომითი უფლებებ-
ის დასაცავად უფრო ეფექტური იქნება.

უთანასწორობა შრომის სფეროზე (საქართველო)

ციური ანთაძე

შრომითი საქმიანობა ადამიანთა არსებობისა და განვითარე-
ბის ძირითადი სფეროა. ამიტომ სოციალური სამართლიანო-
ბისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშ-
ვნელობა აქვს შრომის სფეროში უთანასწორობის აღმოფხ-
ვრას და შრომითი ურთიერთობის მხარეთა თანასწორუფლები-
ანობის დაცვას.

როგორც ცნობილია, შრომითი ურთიერთობის სამართ-
ლებრივი ნორმები ამ ურთიერთობების რეგულირების საფუძ-
ვლია. ამიტომ შრომითი კანონმდებლობის ხარისხზე დიდადა
დამოკიდებული მხარეთა ინტერესების ბალანსის უზრუნველყ-
ოფა.

საქართველოში 2006 წლის 25 მაისს მიღებულმა „შრომის
კოდექსმა“ არსებითად გააუქარესა შრომითი ურთიერთობის
ნორმები და რეალურად შექმნა დასაქმებულთა დისკრიმინაცი-
ის წინაპირობები. ამასთან მხარეთა უთანასწორობის შესაძლე-
ბლობები არსებობს შრომითი ურთიერთობის ყველა ეტაპზე:
დაწესებული დასაქმებიდან და დამთავრებული სამუშაოდან დათხ-
ოვნითა და უმუშევართა სოციალური დაცვით. ინფორმაციის
უკეთ აღქმის მიზნით უთანასწორობის გამოვლინების შესაძლე-
ბლობები განვიხილოთ სწორედ ამ ეტაპების, სტადიების მიხედ-
ვით. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ უთანასწორობა
დასაქმებისას, შრომის პირობებში, შრომის ანაზღაურებისას,
სამსახურებრივი წინსვლის სფეროში, სამუშაოდან დათხოვნი-
სას, პიროვნების სოციალური დაცვის სფეროში.

უთანასწორობა დასაქმებისას

საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდუ-
ლობა და უმუშევრობის მაღალი დონე თავიდანვე ქმნის უთა-
ნასწორობის წინაპირობებს დამსაქმებლისა და დასაქმებულის
ურთიერთობაში. სხვა სამუშაოს შოງნის სირთულის გამო მო-

მუშავე ხშირად იძულებულია დათანხმდეს შრომის არააღეკვატურ პირობებს, დაბალ ანაზღაურებას, ზეგანაკვეთურ მუშაობას და ა.შ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო არათანაბარია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის. ქვეყნაში ფაქტობრივად არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, განუვითარებელი და არაეფუქტურიანია დასაქმების კურძო სააგენტოების სისტემა, დაბალია კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის დონე, რის გამოც მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისათვის თუაცნობილი ინფორმაცია რეალური ვაკანსიების შესახებ.

უთანასწორობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოში დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „დამსაქმებელი არ არის ვალდებული დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ“ (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 5, პუნქტი 8). ეს, ერთას მხრივ, შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს (მათ შრომის სახელმწიფო სტრუქტურებში) კანდიდატის შერჩევისა და შეფასების პროცესში მიიღოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება და, მეორეს მხრივ, სამუშაოს მაძიებელს უკარგავს ობიექტური შეფასების რწმენას და სხვა სამუშაოს ძებნის სურვილს. მით უფრო, რომ ხშირ შემთხვევაში კადრების შერჩევის კრიტერიუმები დაუზუსტებელი, შერჩევის პროცესი კი არაგამჭვირვალეა.

საქართველოში არცთუ იშვიათია დამსაქმებლის მხრიდან მომუშავისადმი დაუსაბუთებელი მოთხოვნების წაყენების შემთხვევები, ანუ ისეთი მოთხოვნების, რომლებიც არ გამომდინარეობენ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან. მაგალითად, შეზღუდვები ასაკის, სქესის მიხედვით, უცხო ენის ცოდნის მოთხოვნა ისეთ სამუშაოებზე, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს და ა.შ. ასეთი შეზღუდვები მომუშავეთა დისკრიმინაციადაც შეიძლება შეფასდეს.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ძალიან გახშირდა ხანმოკლე (ერთოვანი, ორ და სამოვანი) შრომითი კონტრაქტები,

როგორც კორპორაციები, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც დამთრგუნველად მოქმედებს მომუშავის ფინანსურის, შრომით მოტივაციაზე და რეალურად ქმნის პირობებს დამსაქმებლის თავნებობისათვის.

უთანასწორობა შრომის პირობებში

საქართველოს ახალი შრომის კოდექსით დასაშვებია შრომითი კონტრაქტის დადება ზეპირი ფორმით განსაზღვრული ან განუსაზღვრული ვადით. ზეპირი ფორმით კონტრაქტის დადების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაუწერელია შრომითი ურთიერთობის ძირითადი ასპექტები. ეს კი ზრდის შრომითი დავების წარმოშობის ალბათობას და დაუცველს ხდის მომუშავეს დამსაქმებელთან მიმართებაში, განსაკუთრებით შრომითი დავების წარმოშობისას.

მართალია, კოდექსის თანახმად, სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს, მაგრამ იქვე აღნიშნულია: „თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ნორმის ასეთი ფორმულირება ფაქტობრივად უფლებას აძლევს დამსაქმებელს დაადგინოს უფრო მეტი ხანგრძლივობის სამუშაო დრო. მით უფრო, რომ შრომის კოდესით ფაქტობრივად შეუზღუდავია საზეგანაკვეთო სამუშაოები: დაგენილი არ არის საზეგანაკვეთო სამუშაოების მაქსიმალურად დასაშვები ხანგრძლივობა, ასეთი სამუშაოების დამატებით ანაზღაურების მოთხოვნა და ა.შ. უფრო შეტიც, კოდექსი ადგენს, რომ „დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ანდა მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის — ანაზღაურების გარეშე“ (მუხლი 17, პუნქტი 1), რაც ეწინააღმდეგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუძემდებლური კონენციის (#29 „იძულებული ან საგალდებულო შრომის შესახებ“) მოთხოვნებს.

ახალი შრომის კოდექსით გაუქმებულია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ასევე დამით მუშაობისათვის შედავათები და კომპენსაციები, რასაც ითვალისწინებდა 2006წლამდე მოქმედი „შრომის კანონთა კოდექსი“. ახალი კოდე-

ქსიდან „გაქრა“ ასევე არასრულწლოვანთათვის შემცირებული სამუშაო ღროის დაწესების, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდებისათვის სასწავლო შეებულების მიცემის მოთხოვნები.

უთანასწორობა შრომის ანაზრაურებისას

საქართველოს „შრომის კოდექსი“ არ ცნობს შრომის ანაზრაურების მინიმალური ოდენობის (მინიმალური ხელფასის) დადგენის საჭიროებას, თუმცა დღესაც მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 თვის ს #351 ბრძანებულებით დადგენილი მინიმალური ხელფასის ნორმა 20 ლარის ოდენობით. ეს კი დღეს არსებული საარსებო მინიმუმის მხოლოდ 1/6-ია. ყველაზე შემაშფოთებელია ფაქტი, რომ 20 ლარზე ნაკლები ხელფასს ამჟამად იღებს დაქირავებით მომუშავეთა 3-4% (დაახლოებით 19 ათასი მომუშავე, რომელთაგან 13 ათასი საბიუჯეტო დაწესებულებებში, ძირითადად სააგადმყოფოებში, სკოლებში, ბიბლიოთებებში მუშაობს). საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა 32%-ის შრომის ანაზღაურება 100 ლარზე ანუ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ბიზნეს სექტორში ეს მაჩვენებელი 27,4%-ის ტოლია, საბიუჯეტო სექტორში კი — 38,3%-ის.

ძალიან დიდია შრომის ანაზღაურების შიდაუწყებრივი დიფერენციაცია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. მაგალითად, სამინისტროში მინიმალურ და შაქსილალურ ხელფასებს შორის თანაფარდობა შეადგენს 1 : 28.

სტატისტიკის დეპარტამენტის გამოკვლევებით, ბიზნეს-სექტორში ყველაზე დაბალი (20 ლარზე ნაკლები) ანაზღაურების მქონე დასაქმებულების საშუალო ხელფასი 242-ჯერ ნაკლებია ყველაზე მაღალი (2 000 ლარზე მეტი) ანაზღაურების მქონე მომუშავების საშუალო ხელფასზე. საბიუჯეტო სექტორში კი ეს მაჩვენებელი 292-ჯერ მეტია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალური უსამართლობის განცდას საზოგადოებაში და საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობას ქვეყანაში.

უთანასწორობა სამსახურებრივი წინსკლის სფეროში

სამსახურში მიღება და დაწინაურება ხშირად არაობიერტური კრიტერიუმებით (ნაცნობობით, პარტიული ნიშნით, ასაკობრივი ნიშნით, უფროსთან მეგობრობის ანდა „ერთგულების“ გამო და ა.შ.) ხდება, რაც, ერთის მხრივ, უარყოფითად აისახება დანარჩენ მომუშავეთა შრომით მოტივაციაზე და, მეორეს მხრივ, არაკომპეტენტურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავებას უწყობს ხელს. საქართველოსთვის ეს პრობლემა უაღრესად აქტუალურია და სოციალური უემაყოფილების ზრდის, ქვეყნიდან ახალგაზრდობის ემიგრირების ერთ-ერთ ფაქტორადაც გვვლინება.

უთანასწორობა სამუშაოდან დათხოვნისას

საქართველოში ძალიან ბევრი პრობლემაა შრომითი ურთიერთობის ამ ეტაპზეც. მხედველობაში გაქვს სამუშაოდან გათავისუფლება.

შრომის ახალი კოდექსის ნორმებით, ძალიან უთანაბრო მდგომარეობაშია ჩაეყინებული დამსაქმებელი და დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. კერძოდ, დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი სამუშაოდან წასვლის შესახებ, ხოლო დამსაქმებელი არ არის ვალდებული, თუნდაც რამდენიმე წუთით ადრე გააფრთხილოს მომუშავე მოსალოდნებული გათავისუფლების შესახებ. გარდა იმისა, რომ სამუშაოდან მოულოდნებული გათავისუფლება, თანაც ყოველგარი ახსნა-განმარტების გარეშე, უდიდესი სულიერი ტრამვაა პიროვნებისათვის, იგი მძიმე ექონომიკურ პირობებში აყენებს სამუშაოდან დათხოვნილს და მის ოჯახს, ვინაიდან უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ძალიან რომელია ახალი სამუშაო ადგილის მოძიება. ამასთან, ახალი კოდექსით, დამსაქმებელი მომუშავეს უხდის კომპენსაციას მხოლოდ ერთი თვის ხელფასის ოდენობით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომუშავის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა დამსაქმებლის ინიციატივით.

კურიოზულადაც კი გვეჩენება ის ფაქტი, რომ ახალი შრომითი კნობმდებლობით, დასაქმებული ჩაეწებულია დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არა მარტო შრომითი ურთიერთობის, არამედ პროტესტის გამოხატვის სფეროშიც. კურძოდ, ახალი კოდექსით, „უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ დავის წარმოშობამდე“ (მუხლი 51, პუნქტი 4). არადა, ცნობილია, რომ გაფიცების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ იმიტომ ხდება, რომ მომუშავები იგებენ ინფორმაციას სამუშაოდან მათი გათავისუფლებულების შესახებ. მართალია, კოდექსში ჩადებულია ნორმები გაფიცის უფლებისა და მისი ორგანიზაციის მექანიზმის შესახებ, მაგრამ იმავლროულად იმდენი შემნღვდავი და გაუმართლებელი მომენტია, რომ ფაქტიურად მინიმუმამდე ამცირებს ამ კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის შანსს (თუ არ სპობს მთლიანად).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში სამუშაოს ძებნის, მუშაობის დაწყების, შრომის პერიოდში და სამუშაოდან გათავისუფლებისას ადამიანი ჩაეწებულია სოციალურად უსამართლო სიტუაციაში, უსამართლო პირობებში, მაგრამ ამითაც არ მთავრდება ...

ადამიანისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად აისახება უმუშევარი ან შრომისუნარო პირის სოციალური დაცვის პოლიტიკაში. მისი ანალიზიც გარკვეულწილად იძლევა შეფასების საშუალებას, თუ რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ამათუ იმ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა. 2006 წლის მაისში მიღებული შრომის კოდექსით გაუქმდა საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“ და მასთან ერთად გაუქმდა უმუშევრის შემწეობა. სახელმწიფომ მოიხსნა ყოველგვარი ვალდებულება უმუშევართა სოციალური დაცვის მიმართულებით. ის მიზერული, სიმბოლური თანხა, რომელიც ეძლეოდა უმუშევარს შემწეობისათვის (20 ლარი თვეში 6 თვის განმავლობაში) და რეალურად არსებობდა მისი ეტაპობრივად გაზრდისა და საარსებო მინიმუმთან გატოლების შესაძლებლო-

ბა, საერთოდ გაუქმდა. უმუშევრობისაგან დაზღვვის კერძო სისტემა კი საქართველოში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და ამ სფეროში პირველი ნაბიჯები ახლა იღგმება. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თანამშრომლობა სადაზღვვო კომპანია „GPI პოლდინგთან“. მართალია, სხვა სადაზღვვო კომპანიებიც იწყებენ მუშაობას ამ სფეროში, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს სისტემა მაინც ჩამოყალიბებულია და პიროვნებას არა აქვს გარანტია, რომ უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში იგი მიიღებს გარკვეულ მატერიალურ მხარდაჭერას სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მხრიდან.

შრომით უფლებებს გარკვეულწილად უკავშირდება საპენსიო სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი პენსიები საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს და მოქმედ კანონმდებლობაშიც გამოიყენება დეფინიცია „სახელმწიფო პენსია“. ეს უკანასკნელი მოიცავს ასაკის გამო პენსიას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს შრომით პენსიასთან, რამდენადაც იგი თანაბარი ოდენობით ენიშნება ყველას, ვისაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მუშაბის სტაჟი, რამდენი პქნდა ხელფასი და ა.შ. ეს გაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ საქართველოში შრომითი პენსიები არ არსებობს.

ჩვენი აზრით, სოციალური უსამართლობის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ 2006 წლის სექტემბერიდან გარკვეული რეგიონული ნიშნით დაიწყო საპენსიო პოლიტიკის დიფერენციაცია. კურძოდ, ქ. თბილისში მცხოვრებ ასაკით პენსიონერებს მუშაობის სტაჟის მიხედვით დაემატა 2, 5 და 10 ლარი. დანამატის სიმცირის მიუხედავად, ასეთი პოლიტიკა დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პენსიონერებში ბადებს დიდ უკმაყოფილებას, სოციალური დისკრიმინაციის განცდას და, რა თქმა უნდა, მიუღებელია სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით.

რაც შექება სოციალურ პენსიებს, საქართველოში ისინიც ძალიან მცირება. ხელფასის პენსიით ჩანაცვლების მაჩვენებელი საქართველოში 30-33%-ია. მინიმალური პენსია საშუალო ხელფასის 1/5-სა და საარსებო მინიმუმის დახლოებით 30-35%-ია.

ს სეადგენს. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, პენსია ვერ შეასრულებს იმ ფუნქციებს, რაც ეკისრება მას მოქალაქეთა სოციალური დაცვის სფეროში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური დამარების საქართველოში მოქმედი სისტემა უაღრესად დაუხვეწყვა. ეს ძალიან ფართო თემაა, მაგრამ ზოგადი შეფასების სახით აღვნიშნავთ, რომ ის მოდელი, რომელიც შემოთავაზებულია საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სოციალური დახმარებისათვის, მოუქნელი, ძვირადღირებული და არაეფექტურია. იგი, დახმარების სიმცირის გამო (დახმარების ოდენობა ერთ სულზე საარსებო მინიმუმის 1/4-საც არ შეადგენს,) რეალურად ვერ უზრუნველყოფს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ამოყვანას სიღატაკიდან. ამასთან, არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ სოციალური დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის იმ მიმართულებით გაგრძელება, რა მიმართულებებითაც იგი დღეს ხორციელდება (დახმარებების წარმართვა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მოლოდ მცირე ნაწილზე, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ფასების მკვეთრი ზრდა და ა.შ.) ზელს შეუწყობს მოსახლეობის უმრავლესობის ლუმპნიზაციას და სიღარიბის დაძღვა საქართველოსათვის შორეულ პერსპექტივად იქცევა.

ამრიგად, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით აშკარად გაუარესდა პირობები სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის. უფრო მეტიც, შრომისა და სოციალური დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ზელს უწყობს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, რაც საშიშ ტენდენციად უნდა შეფასდეს.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შრომის სფეროში სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას? მოგეხსენებათ, რომ ეს შედეგები არის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ხასიათის და სქემატურად იგი შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ: მას შედეგად მოჰყვება მოსახლეობაში ეკონომიკური და სოციალური პოლარიზაციის გაზრდა; მოსახლეობის მიმდევრული ნაწილის ლუმპნიზაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავება, მათი ჯანმრთე-

ლობის გაუარესება, დამნაშავეობის გაზრდა და ა.შ.; სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის საჭირო სახელმწიფო სახსრების გაზრდა; სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილების ზრდა მოსახლეობის საქმაოდ სერიოზულ ნაწილში, რისი ლოგიკური შედეგიცა სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობა და სოციალური აფეთქების საფრთხის ზრდა. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება კი, რა თქმაუნდა, არ შეიძლება შედიოდეს არა მარტო ხელისუფლების, არამედ არც ერთი ორგანიზაციისა და არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის ინტერესებში. ამიტომ, ჩვენი დღვეანდელი გამოსვლის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ არსებულ პრობლემებზე ხშირი საუბრით, დროულად მოხდეს მათზე ხელისუფლების ეურადღების აქცენტირება, რათა დაიგეგმოს და გადაიდგას ნაბიჯები სოციალური დამაბულობის შესარბილებლად და ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის უზრუნველსყოფად. ცნობილია, რომ პრობლემების გადასაჭრელად პირველი ნაბიჯია საუბარი ამ პრობლემებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე.

ჩვენი თვალთახედვით, მემარცხენების მთავარი მიზანი და დანიშნულება განვითარების მოცემულ ეტაპზე, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს სოციალურად დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას და სტაბილურობას, რაც, საბოლოო ჯამში, მომგებიანია არა მარტო ხელისუფლებისათვის, არამედ ნებისმიერი მოქალაქისათვის და მთელი საზოგადოებისათვის.

თანასორობის იდეა და თანამდებოვნები ქართული საზოგადოება

გადაწყვეტილიანი

კომუნისტური სამყაროს დაცემის შემდეგ თითქოს ყველა-სათვის ნათელი იყო მიზანი, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც „დემოკრატია“, ან როგორც „დასავლეთი“, ხან კი როგორც ვეროპა, რაც მიუხედვად ნიუანსური განსხვავებებისა, აღნიშნავდა ერთს: სასურველ მდგრმარეობას, კეთილდღეობისა და თავისუფლების სამყაროს, საზოგადოების ყველა წევრის მატერიალური და სულიერი განვითარების საჭირო პირობებით უზრუნველყოფას.

მაგრამ, არავინ იცოდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გზა და რა მექანიზმები უნდა ამოქმედებულიყო ხსენებული, თავადაც არა მკაფიო და ძლიერ უტოპისტურ (საბჭოთა) ტრადიციაზე დაყრდნობილი, მიზნის მისაღწევად. თუ ასეთი ეჭვები და კრიტიკული მოსაზრებები საკმაოდ იშვიათი იყო 90-იანი წლების დასაწყისში, დღეს მათ მძლავრი არგუმენტაცია შეიძინეს განვლილი 15 წლიანი ისტორიული გამოცდილების შედეგად.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ერთ (მრავალთაგან) შეუსაბამობაზე, წინააღმდეგობაზე რომელიც დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის განხორციელებულ გზასა და მეთოდში მდგრმარეობდა: მიზანი („ვეროპა“), რომელიც დასახული იყო შეიცავდა ძალიან ძლიერ სოციალ-დემოკრატიულ შემადგენელს ლიბერალურთან ერთად, ხოლო გზა, პოლიტიკა (policy), რომელიც გამოიყენებოდა ამ მიზნის მისაღწევად ხშირად პრაქტიკულად მას, ამ შემადგენელს უგულებელყოფდა რადიკალური ხეოლიბერალიზმის მეთოდების სრული დომინირების ფონზე.

თავისუფლებისა და თანასწორობის იდეების, ერთი მხრივ ურთიერთგანმაპირობებელი, ხოლო მეორე მხრივ ურთიერთწინააღმდეგობრივი მიმართება, რომელიც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს “მოდერნის“ პოლიტიკურ დისკურსში ბოლო

ორი საუკუნის განმავლობაში, სრულიად არააღეკვატურად აღიქმება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სიურცეში. კერძოდ, თანასწორობის შემადგენელი ზემოთხსენებული თავისუფლება-თანასწორობის ერთიანი დისკურსისა, უკუთხეს შემთხვევაში დაქვემდებარებულ ადგილს იკავებს, ხოლო, უმეტესწილად, პრაქტიკულად იგნორირებულია.

ამგარი ვითარება, აღბათ, ძირითადად ორი მიზეზით არის განკირობებული:

1. გლობალიზაციის (მისი ყველა განზომილების გათვალისწინებით) ეპოქაში მოდერნის ტრადიციული დირექტულებები და „საკავანო საკითხები“ აშკარა ტრანსფორმაციას განიცდიან და შესაბამისად თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში განსხვავებული კონფიგურაციით წარმოდგებიან. ნეოლიბერალიზმის დომინანტობის პირობებში თანასწორობის საკითხი „უმრავლესობის პრობლემიდან“ სულ უფრო იქცევა „უმცირესობის პრობლემად“. სუსტდება მისი მოდერნიზატორული და პროგრესისტული ასპექტი, რომელიც თანასწორობას ანიჭებდა ერთ-ერთ ცენტრალურ როლს მთლიანი საზოგადოების განვითარებაში, მოდერნიზაციასა და პროგრესში, და ნარჩუნდება მხოლოდ მისი ეთიკური, სოლიდარისტული სულისკვეთება. ცხადია, რომ მოდერნიზაციაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ეს მნიშვნელოვნად ასუსტებს თანასწორობის დირექტულებას.

2. საბჭოთა იდეოლოგიაში ზემოთხსენებული ტრადიციული ევროპული თავისუფლება-თანასწორობის ერთიანი დისკურსისგან განსხვავებით, თანასწორობის იდეას წამყანი ადგილი ეკავა თავისუფლების იდეის სრული იგნორირების ფონზე. საბჭოთა კავშირის დაცემასთან ერთად, საბჭოთა იდეოლოგიამ, პრაქტიკულად სრული დელეგატიმაცია განიცადა და საპირისპიროდ შეიცავალა დირექტულებრივი იერარქიაცი: წამყანი ადგილი დაიკავა თავისუფლებაშ თანასწორობის იგნორების ფონზე.

უუნდამენტურად განსხვავებულ საზოგადოებებში, როგორიცაა თანამედროვე კერძობული და პოსტსაბჭოთა საზოგადოებები, ნეოლიბერალიზმის დომინანტურობა სრულიად განსხვავებულ შედეგებს მოგვცემს და უკვე იძლევა, რაც სპეციალ-

ური კვლევის გარეშეც თვალშისაცემია. ამდენად, თუ პოსტ-საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ორიენტირად თანამედროვე ევროპულ საზოგადოებრივ წესრიგს მივიჩნევთ, აუცილებელია ადეკვატური წარმოდგენის შექმნა იმ “საკანძო საყრდენებზე”, რომლებიც ამ საზოგადოების ფუნდამენტს ქმნიან და მათი ადგილის, რაგვარობისა და როლის გაზრება ჩვენს საზოგადოებაში.

ერთ-ერთი ასეთი “საკანძო საყრდენი” თანასწორობის ღირებულებაა, რომლის მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს ქვემოთ ძალიან ზოგადად შევქებით.

მოქალაქეობა და თანასწორობის ორი ვერსია

თანასწორობის იდეა მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქეობას.

მოქალაქეობრივი სტატუსის საკითხმა, თანდათან XIX–XX სს-ში დაიკავა ცენტრალური ადგილი “მოდერნის ეპოქის” ევროპის საზოგადოების ცხოვრებაში და მისი მოპოვებისათვის (დამკვიდრებისათვის) ბრძოლა იქცა სოციალური პროცესის მთავარ შინაარსად.

“მოდერნისათვის” დამახასიათებელი მოქალაქეობრივი სტატუსი თავის თავში შეიცავს თანასწორობის იდეას: ყველა მოქალაქე (ადამიანი) თანასწორია მოქალაქეობრივი სტატუსის თვალსაზრისით. თანდათანობით, საკითხის აქტუალიზებასთან ერთად, იკვეთება მოქალაქეობრივი თანასწორობის ორი ვერსია, რომელთაგან პირველი პრიორიტეტულობს ანიჭებს მოქალაქეობის პოლიტიკურ ასპექტს, ხოლო მეორე – სოციალურს: 1. თანასწორობა უფლებების (და შესაძლებლობების) არსებობის თვალსაზრისით და 2. თანასწორობა უფლებების (და შესაძლებლობების) რეალიზების თვალსაზრისით.

პირველი ვერსია უკავშირდება ლიბერალურ, ხოლო მეორე სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ პრინციპებს.

მეორე ვერსიაზე თრიენტირებულ რადიკალურ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა (უფრო ფართო კომუნისტური)

სისტემა, ხოლო რაც შეეხება პირველს, მისი რადიკალური ვარიანტი ისტორიაში იშვიათად გვხვდება (ცალკეული, შედარებით მოკლე პერიოდები ევროპის ისტორიაში). ყველაზე უფრო ახლოს მასთან მდგომად შეიძლება ჩაითვალოს XIX ს-ის ამერიკული საზოგადოება.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან თანასწორობის მეორე ვერსიის მნიშვნელოვანი ელემენტების (შემადგენლების) დამკვიდრება იწყება თანდათანობით ევროპულ სინამდვილეში (ნაწილობრივ ამერიკულშიც), რომელიც სრულდება პირველი და მეორე ვერსიების კონსენსუალური ვარიანტით – სოციალური შეთანხმებით, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს საყველოთაო კეთილდღეობის სახელმწიფო.

ტრადიციული ევროპული ვითარებისგან სრულიად განსხვავებული ვითარება პოსტსაბჭოთა სინამდვილეში თანასწორობის ორი ვერსიის თვალსაზრისით: ტრადიციულ ევროპულ შემთხვევაში პირველი ვერსია თუ მოითხოვს სახელმწიფოს მინიმიზირებას (მოქალაქეობრივი აქტივობის მრავალფეროვანი ფორმები სახელმწიფოს კონტროლისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ), მეორე ვერსიაში სახელმწიფოს როლი წარმართველია (კეინისიანიზმი, კეთილდღეობის სახელმწიფო...); პოსტსაბჭოთა შემთხვევაში, პირიქით, პირველი ვერსიის ფუნქციონირება (მოქალაქეობრივი აქტივობის ფუნქციონირება) სახელმწიფოს კონტროლისგან თავისუფალი (დამოუკიდებელი) არ არის (არ არის უზრუნველყოფილი თანასწორობა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში ყველასთვის), ხოლო მეორე ვერსიაში სახელმწიფოს როლი არაჯეროვნად და არაეფექტურად ვლინდება.

მართალია სახელმწიფო ახორციელებს სოციალური დახმარების პროგრამებს (გარკვეული ზომით), მაგრამ მათი რეალური უაღრესი შეზღუდულობის გამო (თუმცა ეს პროგრამები სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მაგრამ არა აქვს სათანადო ეფექტი, რადგან თავად ეს ხარჯებია მცირე), ისინი სამიზნე ეფექტს ვერ უზრუნველყოფენ. ამგვარი პროგრამები ნაწილობრივ უზრუნველყოფენ მათი მიმღები უღარიბესი ფენის სიცოცხლის შენარჩუნებას, მაგრამ მათ არ ძალუმთ ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის

იმ პირობების შექმნა, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა ესარგებლათ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით რეალურ ღონებებს.

სხვა სიტყვებით, თანასწორობის მეორე ვერსიის არსებული მდგომარეობა (დონე), ხელს უშლის თანასწორობის პირველი ვერსიის რეალიზების შესაძლებლობას.

ამგვარი ვითარება, შესაძლოა, განწირული იყოს მდგრადი, კონსოლიდირებული ფორმით ჩამოყალიბებისათვის². ერთის მხრივ, სოციალური მხარდაჭერის სიმცირე არ აძლევთ ამ ჯაუფებს (რეციპიონტებს) შესაძლებლობას გამოვიდნენ უკიდურესი სიღუხჭირიდან და შესაბამისად ისარგებლონ სრულფასოვნად მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით; ხოლო, მეორეს მხრივ, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ელემენტარული პირობები, რომლებიც მათ ამ პროგრამების საშუალებით ექმნებათ, აღუნებს მათი სოციალური აქტივობის (მოქმედების) მოტივაციას – ხდის მათ პასიურს მოქალაქეობრივი პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლაში. საბჭოთა სისტემის გამოცდილება უზრუნველყოფს სპეციფიკური ჩვევების დამკაიდრებას, რომლებიც ხელს უწყობენ მოქალაქის პასიური მოდელის ფორმირებას, განსხვავებით ევროპული აქტიური მოდელისგან.

ისტორიულად მოქალაქეობრივი სტატუსი ყალიბდება მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში – ეს ხდება ნელ-ნელა, ცალკეული უფლებრივი სფეროების „დაპყრობით“.

მოქალაქეობრივი პოლიტიკური უფლებები, რომლებიც ადამიანებმა მიიღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში, სსრკ-ის დანგრევის შემდეგ მათ ბრძოლით კი არ მოიპოვეს, არამედ ებობათ. პირველ რიგში ეს ქედა უფლებას ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობისა. სინამდვილეში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში პირველი სერიოზული რეალიზება მოქალაქეობის პოლიტიკური ასპექტისა განხორციელდა სწორედ ხელისუფლების ფორმირების ახალი წესის – დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისას. შეიძლება ითქვას, რომ პირველი მოქალაქეობრივი აქტიობა პოსტსაბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობისთვის ეს იყო არჩევნებში მონაწილეობის მისცემდა ესარგებლათ მოქალაქეობრივი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში – ეს ხდება ნელ-ნელა, ცალკეული უფლებრივი სფეროების „დაპყრობით“.

ილეობა. ამისგან განსხვავებით, ტრადიციულ ევროპულ დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეობრივი სტატუსის (და მისი თანასწორობის შემადგენლის) რეალიზება ხდება ჯერ საზოგადოებრივი ცხოვრების არა წმინდა პოლიტიკურ – სამართლებრივი და ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში – და მხოლოდ შემდეგ განივრცობა პოლიტიკურ ველში. ეს ისტორიული გზა მოქალაქების ფენომენის განვითარების არა მხოლოდ მიმდევრობას (დროით განზომილებას), არამედ ლოგიკურ შინაარსსაც შეესაბამება³.

მაგრამ, თუ მე არა მაქვს საზოგადოებრივი არჩევანები და რაც მთავარია, მე არ ვიპირდები ამ არჩევნების რეალიზებისათვის (ან: არ ვმონაწილეობ არჩევანების რეალიზებაში საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, მთლიანად სოციალურ პროცესში – არ ვფლობ მექანიზმებს ამ არჩევნების ფორმირებისა და რეალიზებისა) მაშინ ჩემი „მონაწილეობის უფლება“ ხელისუფლების ფორმირებაში ტრადიციული (ევროპული) გავებით მოქალაქეობრივი უფლების შინაარსს თუ მთლიანად არ კარგვს, მნიშვნელოვნად ზღუდავს.

მოქალაქეობრივი უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება

მოქალაქეობრივი უფლებების რეალურად დამკვიდრებისა და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების არსებობა და მათი აუტონომიურობა.

საბჭოთა მემკვიდრეობის ფონზე წარმართული ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ფორმირების პროცესში პოსტსაბჭოთა საქართველოში სპეციფიური, ტრადიციული ევროპულისგან განსხვავებული ფორმები წარმოქმნა. ტრადიციული ევროპული სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ყველაზე უფრო მასობრივი ორგანიზაციები (როგორიცაა, მაგალითად პროფესიონალები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები, ეკლესია, პროფესიული და შემოქმედებითი გაერთიანებები და სხვ) საბჭოთა კავშირში გარკვეული ფორმით არსებობდა. ესე იგი,

პრინციპი ერთიანი ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფების თანამშრომლობისა და გაერთიანებისა რეალიზებული იყო. მაგრამ ეს ორგანიზაციები არ იქმნებოდა არც ამ ადამიანთა თავისუფალი ნების საფუძველზე (ქვემოდან - grassroots, bottom-up) – და არც ავტონომია გააჩნდათ (თუმცა მცირე დოზით შიდა ავტონომია არსებობდა), მათ ქმნიდა ზემოდან (top down) და აკონტროლებდა სახელმწიფო.

თუ საქმეს მარტივად წარმოვიდგენთ, შეიძლება ვივარაულოთ, რომ, სახელმწიფოს კონტროლის მოხსნის შემთხვევაში ამ ორგანიზაციებს უნდა დაწყოთ უფრო ციონირება ისეთივე წესით როგორც ეს ჩდება ტრადიციულ (უროპულ) სამოქალაქო საზოგადოებში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სხვა მიზეზებთან ერთად ამას მათი ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების გამოცდილებაც განაპირობებდა⁴. ამდენად ამ მასობრივმა ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ინსტიტუტებად ქცეულიყვნენ, მეტიც მათი ის ფუნქციებიც შემცირდა, რომელსაც ისინი საბჭოთა სინამდვილეში ასრულებდნენ.

პოსტსაბჭოთა სინამდვილეში დაიწყო ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების – ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეული აზრით უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებდნენ ტრადიციულ უროპულ ინსტიტუტებთან – ჩამოყალიბების წესითაც (ყალიბდებოდნენ თავისუფალი ნების საფუძველზე) და სახელმწიფოსთან მიმართებითაც (არ კონტროლდებოდნენ სახელმწიფოს მიერ). ისინი იყვნენ ყველაზე აქტიური მებრძოლები მოქალაქეობრივი უფლებების დამკვიდრების საქმეში, მაგრამ მათ პქონდათ მნიშვნელოვანი განსხვავებაც უროპული ტრადიციული ანალოგებისგან: არამასობრიობა და აქტივობის ფონანსირების წყაროთავად ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს გარეთ მდგომი აქტორებისგან (ძირითადად უცხოური ფონდები).

ხსენებული პარამეტრების დეფიციტმა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ტენდენციები მნიშვნელოვნად განაპირობა:

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების განვითარებისა და მდგრადობისათვის აუცილებელია

მათი აქტივობის შედეგად საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედება და ზიღული ეფექტების შექმნა, რამაც უნდა განაპირობოს მასობრივი მონაწილეობა და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, და შესაბამისად მათდამი ფართო საზოგადოების ნდობის გაჩენა და შენარჩუნება. პოსტსაბჭოთა ვითარებაში როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა ტრადიციული მასობრივი საზოგადოებრივი ინსტიტუტები სინამდვილეში დასუსტდნენ, ხოლო ახლად შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს მასობრიობისა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება (რაც ტრადიციულ ეროპულ მოდელს შესაბამება – სადაც სამოქალაქო საზოგადოების მთავარი და ძირითადი აქტორები მასობრივი ორგანიზაციებია). მეტიც, თუ ერთმა ნაწილმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა, ან დაიკავა პროფესიულ-ექსპერტული საქმიანობის ნიშა, მეორე – შედარებით წარმატებულმა ნაწილმა პოლიტიზაცია განიცადა, შევრია პოლიტიკურ ჯგუფებსა და ინსტიტუტებს და დაკარგა აუცილებელი თვისება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა – ავტონომიურობა. შედეგად მივიღეთ ვითარება, რომელიც ერთგვარ ჩიხს ქმნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შემდგომ გზაზე.

ტრატალიტარიზმის პირობებში არსებული საზოგადოება ხასიათდება როგორც უსტრუქტურო (არასტრუქტურიზებული) მასობრივი საზოგადოება – მასა არის ინდივიდუალიზებული და ატომიზებული.

პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოება ძალიან გავდა ასეთ საზოგადოებას, თუმცა 70–იანი და 80–იანი წლების პოსტ-ტრატალიტარიზმმა გააჩინა შეიძლება არა მკაფიო, მაგრამ მაინც გარკვეული სოციალური იდენტობები (ელიტა, ინტელიგენცია...), მთლიანობაში საზოგადოება იყო ეგალიტარული, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შემოსავლებისა და სოციალური სტატუსის თვალსაზრისით საშუალო კლასის (ფენის) პარამეტრებს შეესაბამებოდა. ამ კლასის წარმომადგენლები სრულიად მოკლებული იყვნენ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, მაგრამ ისინი თანასწორნი იყვნენ

უფლებობაში. ამავე დროს, ეს თანასწორობა არ ითვალისწინებდა პორიზონტალურ სოლიდარობას და თანამშრომლობას, რაც შედეგია ინდივიდთა ჯტონომიური ქმედებისა, რომელიც მოქალაქეობრივი უფლებების დამკვიდრებისადმი მისწრაფებას იწვევს. საშუალო კლასის თანასწორობა, იყო თანასწორობა, რომელსაც ქვეშვერდომთათვის უზრუნველყოფდა სუვერენი – მათგან დამოუკიდებელი სახელმწიფო!

ქვეშვერდომული ცნობიერება განსხვავდება მოქალაქეობრივი ცნობიერებისგან: პირველი მოლოდინება, მეორე კი მოქმედი. ამდენად, სოციალური უფლებების დამკვიდრებისთვის არამოქალაქეობრივი ცნობიერების ადამიანები აქტიურად კი არ მოქმედებენ, არამედ მოელიან, რომ ეს პრობლემა სახელმწიფოს მიერ, ზევიდან იქნება გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოლოდინი არ მართლდება, არამოქალაქეობრივი (ქვეშვერდომული) ცნობიერება მის (მოლოდინის) ალტერნატივად არ წარმოიდგენს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ჩვეულ პორიზონტალური თანამშრომლობისა და სოლიდარობის მიმართულების მოქმედებას, რომელიც პრობლემის გარკვეული ნაწილის მოგვარუბას ზოგჯერ სახელმწიფოს გარეშე, აფტონომიური ფუნქციონირების ფარგლებში გულისხმობს, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკის სათანადო ცვლილებას საზოგადოებაში პრობლემაზე ფართო კონსენსუსის ფორმირების შედეგად მთავრობაზე გავლენის მეშვეობით უზრუნველყოფს. ქვეშვერდომული ცნობიერებაც (განსაკუთრებით პრობლემის გამწვავების ვითარებაში) შეიძლება იყოს განწყობილი მოქმედებისკენ, მაგრამ ეს მოქმედება მიმართულია არა საკუთარი მოლოდინის პატერნის შეცვლისაკენ, არამედ ამ (მოლოდინის) პატერნის შენარჩუნების პირობებში მთავრობის (მმართველების) – ვისგანაც მოელიან პრობლემის გადაწყვეტას – შეცვლისკენ. ერთგვარი პარადოქსია, რომ ამგვარი ცნობიერების ჯგუფები შზად არიან მიიღონ მონაწილეობა რევოლუციებში, გაწიონ ბევრად უფრო მაღალი რისკები, ვიდრე ამას მოითხოვდა მოქალაქეობრივი აქტივობა.

„უმრავლესობის კლასი“ ცვროპულად და ქართულად

XX ს-ის 60-იანი წლებისთვის სოციალური ცვლილებების ისტორიულმა ძალამ ვეროპაში დაკარგა თვეისი მამოძრავებელი ენერგია, რადგანაც პრინციპი, რომლის დამკვიდრებასაც იგი ესწრაფოდა თითქმის საყოველთაოდ გაბატონდა. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად დამკვიდრდა თანასწორობის პირველი და მეორე ვერსიების სინთეზი.

ძეველი, ადრინდელი კლასობრივი იდენტურობა, კუთვნილება გადავიდა უკანა პლანზე – შეიქმნა ახალი სოლიდარული ერთობა, რომელიც მოიცავს საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას (2/3-ს, 4/5-ს, ან კიდევ უფრო მეტს). ამ ერთობის შიგნით არის განსხვავება (მათ შორის მატერიალური მდგრამარეობის თვალსაზრისით), მაგრამ დამკვიდრებულია აგრეთვე ფუნდამენტური თანასწორობა ხელმისაწვდომობისა. ეს არის მოქალაქეთა კლასი, იმავდროულად, უმრავლესობის კლასი და ისინი ვინც მას მიეკუთხებიან იმდონებენ (არა უსაფუძვლოდ) განახორციელონ თავისი მისწრაფებები (ცხოვრებისეული) არსებული ინსტიტუტების (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური) პრინციპული და რადიკალური შეცვლის გარეშე⁵.

ამავდროულად ეს ერთობა – „უმრავლესობის კლასი“ შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე, როგორც ერთობა „მოგებულებისა“ (ან როგორც მინიმუმ, „არაწაგებულებისა“, ანუ ერთობა იმათი, ვისაც აქვს რეალური შანსი განხდეს „მოგებული“). საპირისპიროდ, „უმცირესობის კლასში“ გაერთიანდებიან აუტ-საიდენტები, მარგნალური ჯგუფები, ვინც არსებული საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების პირობებში „წაგებულებს“ მიეკუთხება (ანუ, ვისაც პრაქტიკულად არა აქვს რეალური შანსი განხდეს „მოგებული“).

დღეისათვის, 80-იანი წლების ნეოლიტერალიზმისა და გლობალიზაციის პირობებში, საზოგადოების ეს მოდელი გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგრადობას ინარჩუნებს. იგი დასუსტდება და პრინციპულ ცვლილებას განიცდის, თუ ტრანსფორმირდება ფუნდამენტური პრინციპის შენარჩუნებით – ჯერ-ჯერობით და ალტერნატივაა.

საპირისპიროა ვითარება პოსტსაბჭოთა სინამდვილეში: მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შეიძლება მფაკუთვნოთ “წაგებულების” ჯგუფს, და მხოლოდ ვიწრო უმცირესობა – “მოგებულებისას” (ანუ “უმრავლესობის კლასი” ქართულად – ეს არის “წაგებულთა, აუტსაიდერთა ერთობა, ხოლო “უმცირესობის კლასი” – “მოგებულთა”, წარმატებულთა).

“წაგებულები” – “დაბალი კლასი”, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს პოსტსაბჭოთა საქართველოში, ატარებს ბევრ ისეთ ნიშან – თვისებას, რომელიც ახასიათებდა ე.წ. “ლუმპენ – პროლეტარიატს” და, რომელიც შეიძლება დღეს ახასიათებდეს განეითარებული ევროპის საზოგადოების მარგინალური და აუტსაიდერული უმცირესობების ჯგუფებს. იგი გაუცხოებულია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, პოპულისტურია, დეზინტეგრირებული და ატომიზირებულია, მისი წევრები ცალ-ცალკე დაილობენ გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები. გადაწყვეტის ძირითადი გზებია – ადაპტაცია – შეგუება, ან კონფორმიზმი, კორუფცია, კლიერტელიზმი თუ სხვა არაფორმალური მექანიზმები (უპირატესად არალეგალური).

ზოგადად, გარდამავალ პერიოდებში, როდესაც სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური სტრუქტურები და კულტურულ – ღირებულებრივი სისტემები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს, იზრდება განუსაზღვრელობის ტენდენცია, რაც თავისთვად იწვევს არაფორმალური ინსტიტუტების დომინირებას ფორმალურებზე. არაფორმალური წესების დამკაიდრებას პოსტსაბჭოთა სინამდვილეში, მათ შორის საქართველოში, ადგილი პქნება, როგორც ეკონომიკის, ასევე პოლიტიკის სფეროში⁶. არაფორმალური ინსტიტუტების დომინირება საზოგადოებაში ხელს უწყობს უნდობლობის ზრდას, როგორც კანონების, ასევე სხვა ლეგალური ინსტიტუტებისადმი (წესებისა და ორგანიზაციებისადმი) და აძლიერებს ტენდენციას ე.წ. “ანომიის” (უკანონობა – წესების არ არსებობა, წესები არ ფუნქციონირებს) დამკვიდრებისა. ამ ცნებით ე. დურკპეიმი აღწერდა ვითარებას, როდესაც სოციალური ნორმები წყვეტები მოქმედებას პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების შედეგად. ამავდროულად, წესრიგის არ არსებობა, ვითარების და შესაბამისად მომავლის, შედეგების განუსაზღვრელობის უაღ-

რესად მათალი დონე იწვევს ამგვარ საზოგადოებაში (კერძოდ იმ ჯგუფებში, სადაც ვითარება კრიტიკულია) გაჩენას განწყობებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პიპერტროფული მნიშვნელობის მინიჭება წესრიგისათვის ნებისმიერი ფორმით. ეს კი ქმნის უაღრესად ნაყოფიერ ნიადაგს აგტორიტარული და პოპულისტური რეჟიმების დამკვიდრებისათვის, რომელიც ცხადია პრაქტიკულად არ ცვლიან არსებითად უკეთესობისკენ ამ გაუცხოებული “დაბალი უმრავლესობის” მოქალაქეობრივი უფლებების რეალიზებისათვის აუცილებელ და საჭირო პირობებს.

პოსტსაბჭოთა “უმრავლესობის კლასის” – “წაგებულების კლასის” მთავარი ფუნდამენტია უმუშევრობა. თუ ევროპულ კლასებს განსაზღვრავდა მათი ჩართულობის წესი (ფორმა) ეკონომიკურ (და საზოგადოებრივ) ცხოვრებაში, პოსტსაბჭოთა “უმრავლესობის კლასის” მთავარი განმსაზღვრულია მისი ჩაურთველობა ეკონომიკაში და უფრო ფართოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

უმუშევრობა საფუძველს აცლის ადამიანის თვითპატივისცემას, ანგრევს მისი ცხოვრების წესრიგს და ხდის მას დამოკიდებულს ჩვეულებრივ სახელმწიფოზე (სახელმწიფო მხარდაჭერაზე). უმუშევრობა თიშავს ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ფაქტურად მიჯნას (განაგდებს მას) მოქალაქეთა ერთობიდან, და შესაბამისად აყენებს მოქალაქეობრივი უფლებების საკითხს ტრადიციული ევროპულისგან განსხვავებული რაკურსით (შესაბამისად გადაწყვეტის ფორმებიც სხვანაირი შეიძლება იყოს). XIX-ის 80-იანი წლებიდან უკვის ქვეშ დგება (პრაქტიკულად უარყოფილია) მოსაზრება, რომ დასაქმების ზრდა (უმუშევრობის შემცირება) ხელს უწყობს (უცილობლად) ეკონომიკურ ზრდას, რაც ჰემბარიტებად მიიჩნეოდა კეინისიანისტური პოლიტიკისა და შეხედულებებისათვის. კიწრო მონეტარული თვალსაზრისით უმუშევრობა შეიძლება უფრო იაფი ჯდებოდეს, ვიდრე სრული დასაქმება.

თუმცა უფლებებით (მოქალაქეობრივი და პოლიტიკური, მათ შორის) სარგებლობის, მათი მისაწვდომობის საკითხი, პირდაპირ და უშუალოდ არ უკავშირდება უმუშევრობის პირბლემას, მაგრამ უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა ამ მის-

აწვდომობისათვის, დღევანდელ პირობებში პრაქტიკულად უკი-დურესად ზღუდვს უმუშევრებს (აქ იგულისხმება არა შხოლოდ შესაბამისი მატერიალური რესურსები, არამედ სამოქალაქო რესურსებიც — ორგანიზაციებში მონაწილეობა — მაგ. პროფესიული მატერიალური რესურსები, რამეგვარი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვ.). შეზღუდული რესურსების (მეტიც მათი ზრდის შეზღუდულობის) პირობებში, “მოგებულები”, გაბატონებული ჯგუფი, შესაძლოა დაინტერესებული იყოს არა შხოლოდ ექსკლუზიურობის შენარჩუნებაში მათი (რესურსების) განაწილება—გაყოფის თავიდან აცილების მიზნით, არამედ მთლიანად ჯგუფის შემცირებით, მისი წევრების ნაწილის ჯგუფის გარეთ გაყვანით. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ კლასში (კერძოდ მმართველ ჯგუფში) ამგვარი ტენდენცია აშკარად შეინიშნება — ექსკლუზიურობის ზრდა, ინკლუზიურობის უკიდურესი შეზღუდვა და მცდელობები ექსკლუზიურ ჯგუფში ძალაუფლების კონცენტრაციის, ცენტრალიზაციისა და მონოპოლიზაციის მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ბერკტების დომინანტურ როლს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცხადია, რომ იგივე ტენდენცია მნიშვნელოვანწილად ხსენებული სფეროებისთვისაც იქნება დამახასიათებელი. რადგან თავისთვად პოლიტიკურის დომინირება ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სფეროში უაღრესად ზღუდვს ტრადიციული ევროპული სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აკტონომიური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, შესაბამისად სუსტდება ქართული “უმრავლესობის კლასის” სოციალური გააქტიურების (შემდგომში ამ აქტიურობის პოლიტიკურ ველში ტრანსლირების ჩათვლით) ორგანიზაციული საფუძვლები.

ეველა გაბატონებული კლასი ისტორიულად იცავდა საკუთარ ინტერესებს (სხვა კლასებისგან, ან მათ წინააღმდეგ). ასე-თივე ლოგიკა განაპირობებს 60-70-იან წლებში განვითარებულ ევროპაში ჩამოყალიბებული “უმრავლესობის კლასის” ქცევას, რომელიც გარკვეულ ანტაგონიზმში უმცირესობასთან (ან უმცირესობის ჯგუფებთან)⁷. მაგრამ დამკვიდრებული მო-

ქალაქეობრივი უფლებები და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, უმრავლესობას აქცევს ამ კლასის წევრად.

რაც შექება პოსტსაბჭოთა მმართველ კლასს, იგი პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული ევროპული სოციალ-ეკონომიკურ საფუძველზე ფორმირებული კლასებისგან. პოსტსაბჭოთა მმართველი კლასის ფორმირების საფუძვლები ძევს არა სოციო-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ველში (სფეროში). ამ თვალსაზრისით იგი გარკვეულად აგრძელებს საბჭოთა მმართველი კლასის ტრადიციას, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკური რესურსების ფლობის თვალსაზრისით. მაგრამ, რამდენადაც პოლიტიკა დომინირებს ეკონომიკაზე, პოლიტიკური ცვლილებები ეკონომიკური რესურსების გადანაწილებასაც შესაძლოა მოასწავებდეს. ეს შესაძლოა განხორციელდეს, როგორც მმართველი კლასის რევოლუციური ცვლილების პირობებში, ასევე მთლიანობაში მმართველი ჯგუფის შენარჩუნებისას მისი ცალკეული წევრებისა თუ ჯგუფების ამ კლასიდან განთუხვის (განდევნის) შემთხვევაში.

ერთი შეხედვით, ეს შესაძლოა აღქმული იქნას ანალოგიად შესაბამისი ტრადიციული ევროპული ვითარებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო XIX და XX-ის პირველი ნახევრისათვის, ვიდრე რეალიზდებოდა თანასწორობის ორი ვერსიის სინთეზი და შეიქმნებოდა “უმრავლესობის კლასი”: “მოგებულების უმცირესობის კლასი” მართავს “წაგებულების უმრავლესობის კლასთან” კონფრონტაციის პირობებში. შეიძლებოდა გვევიქრა, რომ ევროპული ანალოგიის მსგავსად უმრავლესობისა და უმცირესობის კლასების საკართველოში განხორციელდება ცვლილება პოსტსაბჭოთა საქართველოში განხორციელდება მომავალში, მაგრამ ეს ვულგარული და ზედაპირული ისტორიულ-შედარებითი ანალოგია თანამედროვე გლობალიზაციის პროცესების ფონზე სრულიად უსაფუძველოდ გამოიყერება.

დღევანდელ ვითარებაში, მხოლოდ ევროპული ტიპის დიდი “უმრავლესობის კლასი” იძლევა შესაძლებლობას ქვეყნის განვითარებისა. თუ დიდი ნაწილი მოსახლეობისა იქნება “მარგინალური კლასი” (აუტსაიდერული უმრავლესობა), მოწყვეტილი საზოგადოებრივ ცხოვრებას, ელემენტარულად შემ-

ცირდება რესურსები (ადამიანური – რაოდენობრივად, და ინტელექტუალური – ხარისხობრივად) კრეატიული მოქმედებისა – არსებულის შემოქმედებით განვითარებისა. თავისთავად, თანდათანობით კიდევ უფრო გაიზრდება „უფსკრული“, გაუცხოება ვიწრო, მცირერიცხოვან ელიტურ ჯგუფებსა და ფართო, მრავალრიცხოვან აუტსაიდერულ კლასს შორის, რაც სპობს შესაძლებლობას მათი თანამშრომლობისა, სოციალური კავშირების და ურთიერთქმედების ინტენსივობისა.

შედეგად შეიძლება მიღებულ იქნას პოპულისტური ავტორიტარიზმი, ორიენტირით “რჩეულთა მმართველობაზე” (ექსპერტული მმართველობა, მერიტოკრატია), მაგრამ ეს „რჩეულები“ რომც უნდოდეთ, თანდათან უფრო მნელად წამოიყვანენ აუტსაიდერებს თანამშრომლობაზე, ამ უკანასკნელთა გაუცხოებისა და კრეატიული პოტენციალის თითქმის გაქრობის გამო.

* * *

დღევანდელ პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მნელი საჯარაულოა, რომ თანასწორობის სინთეზური ვერსიის და შესაბამისად რეალური ვეროპეიზაციის მიმართულებით ნაბიჯების გადაღვენა დაიწყოს იმ წესით, როგორც ეს ხორციელდებოდა ტრადიციულ ვეროპაში. მოქმედი პოლიტიკური (და სოციალური) აქტორები ან არ არიან დაინტერესებული, ან ვერ ახერხებენ საკითხის აქტუალიზებას და მის წინ წამოწევას საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში. არც გლობალიზაციური და ხეოლიბერალური გავლენები უწყობენ ხელს ხსნებული საკითხის წამოწევას. მედიაც (განსაკუთრებით ტელევიზია), რომელიც მჭიდროდ და ურთიერთგანპირობებულობის წესით უკავშირდება პოლიტიკურ სფეროს, ვერ ახერხებს ჩართოს საკუთარ სივრცეში არა მიმდინარე, ღრმა და ფუნდამენტური ღირებულებრივი პრობლემები. პრაქტიკა განაგდებს ამგვარ საკითხებს საზოგადოებრივი დისკურსიდან.

არსებულ მდგომარეობაში, თითქმის შეუძლებელი ჩანს, რომ მეგვარი ღრმა საკითხებისადმი სათანადო ყურადღება გამოიჩინონ და გახადონ ისინი საზოგადოებრივი დისკურსის საგნად პოლიტიკური და სოციალური პროცესის ჩვეულება მონაწილეებმა. თანასწორობის იდეა (ისევე, როგორც სხვა ეპროპული იდეები) ახალ ვითარებაში, განსხვავებულ საზოგადოებებში, ახალ მიღმებებს მოითხოვს.

სინამდვილეში ეს არის ამოცანა ცალკეული ინტელექტუალებისა და ჯგუფებისათვის, რომელიც მზად იქნებიან მიმდინარე პოლიტიკური კონიუქტურის მიუხედავად და ხშირად საპირისპიროდ, დაიწყონ მსჯელობა ფუნდამენტურ საკითხებზე, და, რასაკვირველია, ავტონომიურობა ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამდენად, თუ ჩვენ გვინდა ნამდვილი ლიბერალური–დემოკრატიის დამკაიდრება, თუ ჩვენ ნამდვილად მივისწრაფით იმ ტაიპის სოციალური კონტრაქტისგან, რომელიც საფუძვლად უდევს, ვეროპულ საზოგადოებას, თანასწორობის შესაბამისი სინთეზური ვერსია (პირველი და მეორე ვერსიის სინთეზი) უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებრივი დისკურსის დღის წესრიგის ერთერთი უმთავრესი და, რაც მთავარია, მუდმივი საკითხი, შემადგენელი.

იმ ვითარებაში, როდესაც შესაბამისი სოციალური ძალები, რომელიც წარმოადგენს მთავარ აქტორებს ვეროპული საზოგადოების დღის წესრიგში ამ საკითხის (სინთეზური ვერსია თანასწორობისა) წამოჭრის, გადაწყვეტის და შენარჩუნებისა (დღესაც აქტუალურობისა) უაღრესად სუსტია და მათ პრაქტიკულად არ ძალური არც პრობლემათა აგრეგირება, არც თანამედროვე პირობების გათვალისწინებით მათი ფორმულირება და მოქმედება მათი გადაწყვეტისათვის, ეს ფუნქცია უნდა აიღონ ინტელექტუალურმა ჯგუფებმა.

შენიშვნები:

¹ აქვე ავღნიშნავ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამედროვე ეპროპული საზოგადოების კიდევ ერთი „საკვანძო საყრდენის“ – კონსერვატიზმის (კონსერვატული მსოფლმხედველობის) თაობაზეც

ასევე აღმნიშვნის წარმოდგენის შექმნა, და მასთან მიმართუბაში ჩვენი საზოგადოებრივი დისკურსის განალიზება. ერთ-ერთ პირველ ცდას ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევისა წარმოადგენს: მ.მუსხელიშვილი, ლ.არუთონოვი (2005)

² ზოგიერთი მიმართულება სახელმწიფო პოლიტიკისა აქტარებს და მუდმივ ხასიათს აძლევს არსებულ მდგომარეობას, მაგ.: უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო დაფინანსების მეცნიერი შემცირების ტენდენცია, დარიბ ჯგუფებს პრაქტიკულად უზღდავს მისი მიღების შესაძლებლობას და, შესაბამისად, უზღდავს მათ სოციალური წინსვლის პრესექტივას.

³ დემოკრატიის თეორიის ამგარ ლოგიკაზე დაფუძნების ცდა იხ. GO'Donnell (2001).

⁴ ინსტიტუციონალური განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვას ეგრეთიდებულ „განვლილ გზაზე დამოკიდებულებით“ (path dependance) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ახალი ინსტიტუციონალიზმის“ მიმდინარეობის კვლევებში, იხ. : D. North (1990), B.G.Peters (2001).

⁵ მასში არა არა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ფართო გაგებით დასავლური ორიენტაცია საზოგადოების მიერ პრაქტიკულად უკამათოდაა მიღებული. თუმცა კი ეს დასავლური ორიენტაცია მრავალგანზომილებიანი ცნებაა, რაც მას გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს.

⁶ ზოგადად არაფორმალური ინსტიტუტების შესახებ იხ. გ. ჟორჟოლიანი, (2006). იქვეა მითითულები შესაბამისი ლიტერატურა.

⁷ მასში არა არა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ფართო გაგებით დასავლური ორიენტაციაში აქ იქნება ნაგულისხმევი ქვეყნის განვითარების ცივილიზაციური განზომილება, განვითარების სტრატეგიული მიმართულება და არა გეოპოლიტიკური პრობლემატიკა, რომელიც შესაძლოა უფრო ტაქტიკური ხასიათის იყოს. მეორე, უფრო სიღრმისეული სხვაობა უკავშირდება ერთ-მანეთისგან დასავლური ინტეგრაციის ორი კომპონენტის განცალკევებას – სისტემური ტრანსფორმაციისა და სოციალური წინსვლისა, ანუ საკუთრივ საზოგადოების განვითარებისა დასავლური ტაქტიკის ქვეყნის მიმართულებით.

გ. ჟორჟოლიანი, (2006). პოლიტიკური ინსტიტუტები: ანალიზი. თბილისი
მ.მუსხელიშვილი, ლ.არუთონოვი, (2005). საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებები. კრებულში: „საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმების პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“. IDEA, CIPDD, თბილისი, საქართველო
მასში არა არა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ფართო გაგებით დასავლური ინტეგრაციის მიზანისა და სოციალური წინსვლისა, ანუ საკუთრივ საზოგადოების განვითარებისა დასავლური ტაქტიკის ქვეყნის მიმართულებით.

B.G.Peters, (2001). Institutional Theory in Political Science. The “New Institutionalism”, London.

G.O'Donnell, (2001). Democracy, Law and Comparative Politics. Studies in Comparative International Development, New Brunswick, Spring.

D.C.North, (1990). Institutions, Institutional Change and Economic Performance, Cambridge, CUP.

განვითარება, გლობალიზაცია და ახალი უთანასწორობები საქართველოში

მარინა მუსხელიშვილი

ეროპული ინტეგრაცია და პოლიტიკის ახალი დღის წესრიგი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ფართო გაგებით დასავლური ორიენტაცია საზოგადოების მიერ პრაქტიკულად უკამათოდაა მიღებული. თუმცა კი ეს დასავლური ორიენტაცია მრავალგანზომილებიანი ცნებაა, რაც მას გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს.

პირველ რიგში ამ იდეოლოგიური ჩინიდან ამოსასვლელად დასავლურ ინტეგრაციაში აქ იქნება ნაგულისხმევი ქვეყნის განვითარების ცივილიზაციური განზომილება, განვითარების სტრატეგიული მიმართულება და არა გეოპოლიტიკური პრობლემატიკა, რომელიც შესაძლოა უფრო ტაქტიკური ხასიათის იყოს. მეორე, უფრო სიღრმისეული სხვაობა უკავშირდება ერთ-მანეთისგან დასავლური ინტეგრაციის ორი კომპონენტის განცალკევებას – სისტემური ტრანსფორმაციისა და სოციალური წინსვლისა, ანუ საკუთრივ საზოგადოების განვითარებისა დასავლური ტაქტიკის ქვეყნის მიმართულებით.

ბუნებრივია, რომ საქართველოს „პროდასავლური“ ტრანსფორმაციის დღის წესრიგს პირველ წლებში განსაზღვრავდნენ სისტემური გარდაქმნები (დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება, საბჭოთა სისტემის დემონტაჟი, დემოკრატიის დამკვიდრება, ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაცია), რომელიც მემარჯვენე-ლიბერალური პოლიტიკური განზომილების ღირებულებებს პასუხობდა. ამ განზომილებასთან დაკავშირებული გარდაქმნები - დაწყებული პოლიტიკური პარტიების დაფუძნებითა და არჩევნების ჩატარებით, ადამიანის უფლებებით, სამოქალაქო თავისუფლებებით, საბაზრო ეკონომიკური გარდაქმნებით და სხვა –საკმაოდ სწრაფად (რამდენიმე წლის

განმავლობაში) დისკურსულად იქნა აღიარებული და ინსტიტუციონალურად (რაღაც დონემდე) მიღწეული, თუმცა, ცხადია, არა იმ ხარისხით, რომ საქართველო დასავლური სტანდარტების ქვეყნა გამხდარიყო. ვინაიდან სრულად ეს ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდა (ხოლო ამჟამად პირველი წლების მიღწევების გარეული რევიზიაც კი ხდება), არ არის გასაკვირი, რომ პოლიტიკური დისკურსი და საზოგადოებრივი ძალი ზმევა საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაში და დღემდეც სისტემური გარდაქმნების მემარჯვენე-ლიბრალური დისკურსის დირექტორით დარჩა დომინირებული.

საქართველოს დომინანტური პოლიტიკური დისკურსის ამგვარი ცალმხრივობა გვიშლის ხელს დაინახოთ, ის, რომ საქართველოს რეალობა დღეს საკმაოდ განსხვავებულია იმისგან, რასაც ის 20 წლის წინათ წარმოადგენდა. დასავლური ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად საქართველოს უკვე სხვა, ახალ გამოწვევებზე რეაგირება ესაჭიროება. ეს გამოწვევები კი სხვა განზომილების გასწვრივ ლაგდება – ისინი არა სისტემური ტრანსფორმაციის, არამედ განვითარების ღერძით ნაკარნახევ ლოგიკას პასუხობს.

განვითარების თვალსაზრისით განვლილი წლების განმავლობაში საქართველოში ორი პროცესი მიმდინარეობდა, რომლებიც საზოგადოებაზე სტრუქტურულად და სიღრმისეულად ზემოქმედებდა. პირველი და მყისიერი, მაგრამ ხანგრძლივი ზემოქმედების მქონე გარდაქმნა საბჭოთა კავშირის ცივილიზაციური სივრციდან გამოსვლითა და მისი შახასიათებლების შემდგომი დაკინებით არის განპირობებული. სწრაფი გარდაქმნების რიცხვს თავდაპირველად მიეკუთვნებოდა რუსულენოვანი საჯარო სივრციდან ქვეყნის დე-იურე ამოსელა, დენდუსტრიალიზაცია და ეკონომიკის კოლაფსი, რომელიც დიდწილად რეგიონული ომებით იყო განპირობებული. შემდგომში ამ გარდაქმნას დაემატა ქვეყნის მოსახლეობის სამუშაო კაბლიფიკაციისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გაუფასურება, ქვეყნის გადარიცება, სტაბილური, სისტემური უმუშევრობა, ქვეყანაში ადრე არსებული კულტურულ-ცივილიზაციური კაპიტალის მორალური მოძველება.

ამავე დროს საპირისპირო პროცესს წარმოადგენდა ქვეყნის ახალ ცივილიზაციურ სივრცეში ინტეგრირების საფუძველზე წარმოქნილი განვითარება. ეს განვითარება გლობალისტური, საერთაშორისო ძალების ზეგავლენით და დახმარებით ღრმავდებოდა. ახალ, გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაცია, ინგლისური ენის ცოდნა, კომპიუტერის ფლობა, უცხოური განათლება-ტრეინინგები, ახალი ტიპის ეკონომიკური საქმიანობის უნარ-ჩვევები, მაღალი სოციალური მობილურობა, და, იმავდროულად, ტრადიციული იდენტურობების განცდის გამძაფრება, მათ შორის რელიგიურისას, ამ განზომილების გასწვრივ ლაგდება.

ამ ორი პროცესის ჯამური ბალანსი სოციალური თვალსაზრისით უფრო ნეგატიური აღმოჩნდა, ვიდრე პოზიტიური – ძველი უფრო მაღალ დაინგრა, ვიდრე ახალი შექმნა, რამაც ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური დაქვეითება გამოიწვია. ქვეყნის განვითარების ჯამურ ჩამორჩნილობას თან ახლავს აგრეთვე შიდა უთანასწორობების ზრდა, როდესაც საზოგადოების მეტ-ნაკლებად „წარმატებული“ ნაწილი მეტად ვიწრო უმცირესობას წარმოადგენს. მართალა, გარკვეული ნაწილი საზოგადოების დღეს სარგებლობს ბევრი იმ უპირატესობით, რაც მას საბჭოთა დროს აკლდა, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისთვის როგორც დღევანდელი რეალობა, ასევე სამომავლო პერსპექტივები მეტად შორსაა იმისგან, რაც მათ საშუალო ფენის კატეგორიისადმი მიაკუთვნებდა. საზოგადოების უმრავლესობისთვის დღესდღეობით წინა პლაზე სიღარიბის, უმუშევრობის, სოციალური მომსახურების მიუწვდომლობის პრობლემები. გაღრმავებული სხვაობა როგორც მთლიანად ქვეყნასა და მის დასავლელ მეტობელ ევროპას შორის, ასევე უთანასწორობა საზოგადოების შიგნით სახლისადმი ადაპტირებულ „მოგებულ“ უმცირესობასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის, კითხვის ქვეშ აყენებს ქვეყნის ევროპული და დასავლური განვითარების პერსპექტივებს. საზოგადოება დგას გზის გასაყარზე – თავისი დასავლური ორიენტაციის მიუხედავად ის შეიძლება დროთა განმავლობაში არა დასავლურ, არამედ განვითარებად ქვეყნად იქცეს. ქვეყნად, რომელშიაც არ იქნება საშუალო ფენა, არამედ იარსე-

ბებს, ერთის მხრივ, მცირებიც ხოვანი და შედარებით შეძლებული ელიტა, ხოლო მეორეს მხრივ, დაბალკვალიფიცირებული დარიბი „მასა“, რომელიც „მეორქარისხოვანი“ ადამიანებისგან შედგება.

პრობლემების სიმწვევის გათვალისწინებით შეიძლება კმტკიცოთ, რომ საქართველოს შემდგომი „დასავლეთიზაცია“ უკავშირდება არა იმდენად ძველი საბჭოური სისტემის შემდგომ სისტემურ ლიბერალიზებას (რაც გარდაქმნების პირველ წლებში იყო მნიშვნელოვანი) არამედ ქვეყნის შემდგომი განვითარების ხასიათს. ამ განვითარებაში კი აქტუალური ხდება ახალი პოლიტიკური დირექტულებები, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი სისტემური გარდაქმნების დღის წესრიგისთვის და რომლებიც სოციალური თანასწორობის პრობლემატიკას უკავშირდება. სოციალური უთანასწორობის ზრდა ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი შეიძლება აღმოჩნდეს იმისთვის, რომ ქვეყნის განვითარება ინდივიდუალური წინსვლების ჯამად იქცეს. თუკი პროცესები ისე წარიმართა, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ვერ მოახდეს წარმატებულ ინტეგრირებას ახალ გარემოში, მცირე უმრავლესობის ინტეგრირება შესაძლოა გრძელვადიან პერსექტივაში ნებატიური, და არა პოზიტიური შედეგის მომტანი აღმოჩნდეს ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ინტეგრაციულ პროცესებში მოსახლეობის ჩართვის ამ არასინქრონულობის მნიშვნელობის დანახვას ხელს უშლის საჯარო სივრცეში სისტემური განზომილების დომინანტური პრევალირება, რაც მიუთითებს საჯარო დისკურსის გარევეულწილად დეტერმინისტულ ხასიათზე. როგორც ჩანს, მიჩნეულია, რომ განვითარების პრობლემატიკის გადაჭრა აუტომატურად მოყვება სისტემური ცვლილებების გაღრმავებას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება (ან, უფრო სწორად, სინამდვილის მხოლოდ მცირენაწილს წარმოადგენს). გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისტემური გარდაქმნისა და განვითარების განზომილებები განსხვავებული ხასიათისა – პირველის მასტრუქტურირებელია დიხოტომია თვეისუფლება – არათვისუფლება (ლიბერალური დემოკრატია საბჭოთა ტოტალიტარიზმის საპირისპირო), ხოლო მეორის – დიხოტომია მოგებული – წაგებული/ნაკლე-

ბად მოგებული, ან, ტრადიციულ პოლიტიკურ დაყოფებში თარგმნილი, თავისუფლება –თანასწორობა. და თუკი პირველი, ამდენად, არაკონფლიქტურია (არავის უნდა იყოს არათვისუფალი), მეორე უკავშირდება ინტერესთა რეალურ დაპირისპირებას, რომელიც იქნებოდა ლეგიტიმური, თუ არა წინა კონფლიქტით გენერირებული მემარჯვენე-ლიბერალური ლიტებულებების ავტომატური, დეტერმინისტული იმპლიცირება სხვა, დამოუკიდებელ განზომილებაზე, რომლის ბოლოები, წესით, პოლიტიკური სკექტრის მაფორმირებელი უნდა ყოფილი იყო.

იმისათვის, რათა ქვეყანაშ შეძლოს დასავლეური ოცნების ხორცებებში, დღეს მას პირველ რიგში სჭირდება რეაგირება არა სისტემური ტრანსფორმაციის მემარჯვენე-ლიბერალურ გამოწვევებზე, არამედ განვითარების განზომილების „ახალი მემარჯვენე“ სკექტრის ამოცანების გადაჭრაზე. ეს გულისხმობს პირველ რიგში რეაგირებას ახალ უთანასწორობებზე, რათა ისინი არ გადაიქცენ სიღრმისეულ და გადაულახავ სოციალურ ბარიერებად, რომლებიც საზოგადოების ძირითადი მასის, და, შედეგად, მთელი ქვეყნის გრძელვადიან ჩამორჩენას განაპირობებენ. ახალი სოციალური უთანასწორობის ზრდამ შეიძლება შეემნას სოციალური სტრუქტურის ისეთი მოდელები, რომელიც ევროპული საზოგადოების სტრუქტურული მოწყობისგან მეტად განსხვავებული აღმოჩნდება.

სისტემური გარდაქმნების ღერძისა და განვითარების ღერძის ერთმანეთისგან განცალკევება და ამ უკანასკნელის ყურადღების ცენტრში მოქცევა გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, რომ ახალი უთანასწორობების წარმოქნის განმაპირობებელი საქართველოში მარტო სისტემური გარდაქმნები არ არის. ეს უთანასწორობები, შესაძლოა, პირველ რიგში არა იმდენად კაპიტალიზმის თანმდევ მოვლენას წარმოადგენს, რამდენადაც ახალ, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ რელობებს უკავშირდება. ისინი, ნაწილობრივ მაინც (და ავტორის აზრით, დიდწილადაც) განპირობებულია ინფორმაციული გლობალიზაციის პროცესებში ქვეყნის ჩართვის რადიკალური ხასიათით, რომელიც აჩენს უზარმაზარ უთანასწორობებს პროცესის მონაწილე აქტორებში „წარმატებულებსა“ და „წარუმატებლებს“ შორის.

რადიგალურობა აქ არ აღნიშნავს პროცესის დაჩქარებულ წესს. პირიქით, შესაძლოა მთავარ პრობლემას წარმოადგენდეს ის, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ არის (და ვერც იქნება) გლობალიზაციაში, „ცხოვრების ახალ სივრცეში“ ჩართული. რადიგალიზაცია ამ ვითარებაში აღნიშნავს იმ უზარმაზარ ზეგავლენას, რომელსაც ეს პროცესი თამაშობს ქვეყნის განვითარების ფორმირებაში. „ძველის“ დისკურსული და ეკონომიკური უარყოფას ფონზე უარყოფილია და განვითარების პერსპექტივას მოკლებულია მოსახლეობის დიდი ნაწილი (შესაძლოა, დიდი უმრავლესობა), რომელიც ვერ, ან არ ახდენს სიახლესთან ადაპტირებას.

განვითარება და გლობალიზაცია მანუელ კასტელის მიხედვით

წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, რომ დომინანტურ დისკურსს საქართველოში განაპირობებენ სისტემური გარდაქმნის განხომილებიდან შემორჩენილი მემარჯვენე-ლიბერალური დირექტულებები და რომ მას აკლია მემარცხენე განზომილება. ამ მემარცხენე განზომილებას კი უნდა ქმნიდეს სხვა, მემარჯვენე-მემარცხენე დახოტომია, რომელიც განვითარების დერძის გასწვრივ დალაგდებოდა. ვინაიდან განვითარების დერძის მთავარი გამოწვევა აქ გლობალიზაციურ პროცესებთანაა დაკავშირებული, საჭიროა განიშარტოს, თუ რა იგულისხმება გლობალიზაციაში, ვინაიდან თავად ეს ცნება მეტად ბუნდოვანია და მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება.

გლობალიზაცია, ფართო გაგებით, შეიძლება განისაზღვროს, როგორც „მსოფლიო თანამშრომლობის გაფართოების, გაღრმავებისა და დაჩქარების პროცესი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს: დაწყებული კულტურითა და დამთავრებული კრიმინალურით, ფინანსურიდან სულიერამდე“¹. თუმცა ეს (პირველადი) განმარტება უაღრუსად ზოგადია, და არ არის გამიზნული გლობალიზაციის საეციფიური, ახლებური ხასიათის გამოკვეთაზე, რომელიც სულ ორ-სამ ათწლეულს ითვლის და

რომლის მთავარ შემადგენელ კომპონენტს და თვისობრიობას ინფორმაციული რევოლუცია განაპირობებს.

ზოგიერთი ავტორი ეკონომიკურ და ინფორმაციულ გლობალიზაციას ერთმანეთისგან ასხვავებს, და გლობალიზაციაში მხოლოდ ეკონომიკურ განხომილებას გულისხმობს. სხვები ორივეს იხილავნ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციის ეს ორი კომპონენტი ფაქტორულად მართლაც მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობით ხასიათდება, თუმცა კი ურთიერთდაკავშირებულია – თანაც ისე, რომ ინფორმაციული გლობალიზაცია მეტ გავლენას ახდენს ეკონომიკურზე, ვიდრე პირიქით².

ინფორმაციული გლობალიზაცია, თავის მხრივ, ერთგვარად ორი განსხვავებული კონცეპტის სახით არსებობს. ზოგჯერ ის მხოლოდ შზარდი მსოფლიო საინფორმაციო ქსელების აღმნიშვნელად გამოიყენება, რაც კონცეპტუალურად არ მოიცავს შზარდი ინფორმაციული, პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის წარმოქმნას, რომელიც, ასევე ზოგიერთი ავტორის თვალსაზრისით, არ შედის გლობალიზაციის ცნებაში, არამედ განსხვავებულ ფაქტორად უნდა იყოს მიჩნეული, ვინაიდან „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკების“ ზრდა, მათი აზრით, მხოლოდ დასავლურ მოვლენად რჩება და მისი გლობალიზება არ ხდება³. სხვა აუტორები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციასა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას შორის არის მჭიდრო კაშირი, და ეს ფაქტორები ერთობლივად იწვევენ მსოფლიო მაშტაბით სოციო-ეკონომიკურ ძვრებს⁴. ის, რასაც ისინი ერთობლივად წარმოქმნან, არის ახალი ინფორმაციული კაპიტალიზმი, რომლის შედეგად წარმოქმნილი „დიგიტალ დივიდ“-ი კითხვის ქვეშ აყენებს გლობალიზაციის „ეკოლასათვის მოგებიანი“ ხედვის სამართლიანობას. ინფორმაციული გლობალიზაციის ზრდას ასევე მჭიდროდ უკავშირდება სხვა განზომილება - კულტურული გლობალიზაცია.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია, როგორც ცნება და როგორც მოვლენა, მრავალწახნაგონაა, და არაერთგვაროვნადაც შეფასებული. ის, რაზედაც ლაპარაკია მოცემულ სტატიაში, შექება არა იმდენად ეკონომიკურ გლობალიზაციას - ისეთი შემადგენლებით, როგორებიცაა შზარდი საერთაშორისო გაჭრობა, ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორა-

ციები, არამედ, პირველ რიგში, ინფორმაციულ გლობალიზაციას, რომელსაც იმავლროულად ახალი ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება განაპირობებს. ყველაზე ახლოს გლობალიზაციის ამ გაერთა სთან დღას მანუელ კასტელსის ანალიზი. ახალი განვითარების მისეული, ერთგვარად რადიკალიზებული ხედა მკაფიოდ წარმოაჩენს იმ სიახლეებს, რომლებსაც ამ სტატიაში ექცევა ძირითადი ყურადღება.

მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში, მანუელ კასტელსის მტკიცებით, იწყო განვითარება სოციო-ეკონომიკური მოწყობის ახალმა ფორმამ. დღესდღობით ჩვენ ახალი ისტორიული ტრანსფორმაციის შუაგულში ვიმყოფებით. კაპიტალიზმი, რომელმაც მთელი პლანეტა მოიცვა, „ფუნდამენტურად ახალია, ვინაიდან მას წარმართავენ ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, რომლებიც საფუძველს უკრიან მწარმოებლურობის ახალ საწყისებს, ახალ ორგანიზაციულ ფორმებს, და გლობალური ეკონომიკის ფორმირებას“⁵. ანალოგიურად ელექტრონუნერგიისა ინდუსტრიულ ერაში, ახალი ტექნოლოგიები დღეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საწყისს წარმოადგენენ. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც წარმატებით ერთვებიან ახალი ტექნოლოგიებით ფორმირებულ განვითარებაში, ეს განვითარება დაქარებული წესით მიმდინარეობს. მაგრამ ვაი იმათ, ვინც ინფორმაციულ ერას ჩამორჩა – მათსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის განსხვავება სულ უფრო მზარდი იქნება. ინფორმაციულ ერაში შესვლა კი მთლიანად საზოგადოების, და არა მისი ცალკეული წარმოების წინსვლაზეა დამიკიდებული. „[ეს წინსვლა] იწყება განათლების სისტემით, ქვემოდან ზემოთ, დაწევებითი კლასებიდან უნივერსიტებამდე. და ის უკავშირდება, აგრეთვე, კულტურული განვითარების მთლიან პროცესს, ფუნქციონალური უნარ-ჩვევების დონის, მედიის შინაარსის, და მთლიანად საზოგადოებაში ინფორმაციის დიფუზიის ჩათვლით“⁶.

შესაბამისად, იმ პროცესებს, რომლებიც გლობალიზაციის ახალ, ინფორმაციულ ერას უკავშირდება, აქვს არა მხოლოდ ნათელი, პერსპექტიული და პოტენციურად „ყველასათვის და“ სივრცის დაპირების ხასიათი, არამედ ჩრდილოგანი თანმდევი მოვლენები. გლობალიზაციას მოყვება მსოფლიოში უთანას-

წორობის, სიღარიბისა და სოციალური გარიყელობის რადიკალური ზრდა. მეოცე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მთელ მსოფლიოში იზრდებოდა მოსახლეობის შემოსავლების პოლარიზაცია (მაგ. ჯინის ინდექსით გაზომილი), დარიბი და უკიდურესად დარიბი ადამიანების რაოდენობა. ინფორმაციული გლობალიზაცია წარმოქნის მსოფლიო მაშტაბის სოციალურ კრიზისს, რომლის ერთ მხარეს დგანან „ის ინდივიდები და ჯგუფები, რომლებიც უაღრესად ღირებულია და პროდუქტიული [ინფორმაციული კაპიტალიზმისთვის], და [მეორე მხარეს] ის ადამიანები (და ადგილები), რომლებიც აღარ განიხილებიან ღირებულად, თუნდაც ფიზიკურად კვლავაც არ სებობდნენ“⁷. სოციალურად გარიყელი ადამიანები, რომლებიც არ პასუხობენ ინფორმაციული კაპიტალიზმის ინტერესებს, შეადგენენ „მეოთხ სამყაროს“, რომელიც განფენილია მთელ მსოფლიოში. მათი ჩართვა სოციალურ განვითარებაში მხოლოდ საბაზრო მექანიზმების მეშვეობით შეუძლებელია თუკი მთელი სოციალური სტრუქტურა არ იქნება მიმართული ინვესტირებაზე ინდივიდებში, როგორც ეკონომიკური მწარმოებლურობის მთავარ საწყისში.

დასამატებელია, რომ ეს ახალი უთანასწორობები არ არის უბრალოდ მატერიალური (ეკონომიკური) – მათ პირველ რიგში ინფორმაციული კომპონენტი განაპირობებს, რაც, საბოლოო ჯამში, კულტურული იდენტურობების სხვაობების ტოლფასია. განსხვავებით კლასიკური კაპიტალიზმისგან, ინფორმაციული კაპიტალიზმი ხომ პირველ რიგში გადამუშავებს და აწარმოებს ინფორმაციას და ცოდნას, რომლებიც მისთვის ნედლეულიცაა და პროდუქციაც. ამდენად, ახალი სოციალური დაპირისპირება, რომელსაც ქმნის ინფორმაციული რევოლუცია, თვისობრივად განსხვავებულია იმ კლასობრივი/სტრატეგიული დაყოფისგან, რომელიც კლასიკური კაპიტალიზმის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა. მასში წამყვანია არა იმდენად წმინდა ეკონომიკური კომპონენტი, რამდენადც ინდივიდების კულტურული (ფართო გაგებით) იდენტობის მახასიათებელი, მათი კულტურულ-ცვილიზაციური კაპიტალი. იდენტობების პოტენციური უთანასწირობა კი ბადებს და აძლიერებს რელატივისტურ, პოსტმოდერნულ, იდენტურობების პლურალიზმისა

და „სითანაბრის“ მოთხოვნებს, რაც გლობალიზაციის თანმ-დევ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. გლობალიზაციური დაყოფების მემარცხენე, თანასწორობაზე ორიენტირებული გამოძახილი იმავდროულად პოსტლიბერალურია, პოსტმოდერნისტული, და მასში კულტურა სულ უფრო მეტ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს.

საბჭოთა კავშირის დაშლა, კულტურული შოკი და ახალი ინფორმაციული რეალობები

საქართველოს განვითარებაზე ზემოქმედებს გლობალისტური ინფორმაციული რევოლუციით შექმნილი იგვე ძალები და გამოწვევები (ისეთივე „მომავლის შოკი“) როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამასთან საქართველოს პრობლემატიკას კიდევ უფრო ამძიმებს „კულტურული შოკი“, რომელიც უშეალოდ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლითაა განპირობებული.

საჯარო ინფორმაციული სივრცის სტრუქტურული ლიბერალიზაცია და გახსნა, მისი შემდგომი ძირული, ლინგვისტური და შინაარსობრივი გარდაქმნით, შესაძლოა, მთავარი ფაქტორია იმ მრავალ პოსტსაბჭოურ ტრანსფორმაციებს შორის, რომლებიც ზემოქმედებენ დღვევანდელ საზოგადოებაზე. ამ სივრცის ახლებური, ვირტუალური ხასიათი უკიდურეს წინააღმდეგობაში მოვიდა სსრკ-ს მაფორმირებელ მატერიალიზმთან, რომლის გადალაქვაც აუცილებელი იყო იმ ვირტუალურ-სიმბოლური ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელიც დღვევანდელი სამყაროს წამყანი ქვეყნების პროდუქტიულობის საფუძველს წარმოადგენს.

ახალი საინფორმაციო სივრცის მთავარი სიმბოლური დატვირთვა თავიდან არა კერძო, ეკონომიკური, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნების მამოძრავებლად მოგვევლინა. ეს გარდაქმნები პირველ რიგში საერთო იდენტობების მაფორმირებელ სიმბოლურ ველებს შექმნა (კომუნიკაციის ება, ეროვნული დამოუკიდებლობა, ქართული სახელმწიფო, სხვ.), და მხოლოდ მეორე რიგში ინდივიდუალური იდენტობების გარდაქმნაც მოიცვა.

ინფორმაციული სივრცის სიმბოლური ტრანსფორმაციამ მოიცვა იდენტობების ისეთი ძირული მახასიათებლები, როგორებიცაა: სოციუმის მაფორმირებელი ენა (მონოლინგვური, ქართულენოვანი გარემოს ფორმირება); პრესტიჟისა და გარე ცივილიზაციის დომინანტური ენა (გადასვლა რუსულიდან ინგლისურისკენ); დომინანტურ საინფორმაციო სივრცეზე მიკუთვნებულობა (რუსეთიდან – გლობალური სამყაროსკენ); ცოდნის კორპუსი (ძველად არსებული კულტურული და შრომითი კაპიტალის მორალური და ეკონომიკური მოძველება) და ბაზისური მითოლოგია და სტიგმები; მიკროდონებები სოციო-ეკონომიკური ქცევა და უნარ-ჩევები და ბევრი სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფორმაციის პროცესში აღმოჩნდა როგორც ქვეყანაში არსებული კულტურული კაპიტალი⁸ მთლიანად, ასევე ამ კაპიტალთან დაკავშირებული სოციალური სტრუქტურა და სტატუსური მიმართებები. კულტურული კაპიტალის ტრანსფორმაცია კი საბოლოო ჯამში ეკონომიკურ განზომილებასაც მოიცავს და ახალ სოციალურ უთანასწორობებში გარდაქიმნება, უფრო სწორედ, ის აისახება უთანასწორობათა ახალ განხილულებებში და სტრუქტურაში.

კულტურული კაპიტალის არათანაბარი განაწილება საზოგადოებაში (უნივერსიტეტის პროფესორი მეტ კაპიტალს ფლობს ვიდრე შავი მუშა) ყოველთვის უკავშირდება გრძელვადიანი სტატუსური უთანასწორობის არსებობას⁹. მით უფრო, თუკი განათლების სისტემა არ უწეობს ხელს „დაბალი“ სოციალური ფენებიდან გამოსულ ანალგაზრდობას სოციალური მობილობის (წინასევლის) საკარის შესაძლებლობებს. ნეოლიბერალური გლობალიზაცია, ამდენად, თავისი იდეით, გზას უნდა უხსნიდეს უფრო ებალიტარული წესრიგის მიღწევას. ცოდნის, ინფორმაციისა და განათლების მიღების ახალი, ალტერნატიული წყაროები, ადამიანების გაზრდილი მობილურობა, ინტერნეტი, თეორიულად, კულტურასთან დაკავშირებული სტატუსური უთანასწორობის შემცირებას უნდა უწეობდეს ხელს, და არა მათ ზრდას. ტრანსფორმაციის პროცესების 20 წლის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ვითარების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ გლობალიზაციის ნებატიური თანმდევი მოვლენები, რომლებიც უთანასწორობების მკვეთრს ზრდას უკავშირდები.

ება, „კულტურული შოკის“ ფონზე არა იმდენად ამცირებდა „ძველი“ კულტურული კაპიტალით შექმნილ სტატუსურ უთანასწორობებს, არამედ ქვეყნის ჯამური კულტურული კაპიტალის დაქვეითება გამოიწვია.

საბჭოთა დროს საზოგადოება კულტურულად იყო მეტ-ნაკლებად ჰომოგენური. განათლებული „მოდერნზაციული“ ელიტები იყო ქართველენოვანი, ხოლო საზოგადოება – დიდწილად ბილინგვური (ქართველი და რუსული). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მეტად მცირე ერია, და ამდენად ქართველენოვანი კულტურული და საგანმანათლებლო პროდუქციის მომხმარებლები არც თუ მრავალრიცხოვანია არიან, „კოლონიის“ განხომილება, როდესაც ქვეყნის განვითარებას განაპირობებს უცხოელები (მეტროპოლია) და უცხოელებთან ასილიმირებული მცირერიცხოვანი ადგილობრივი ელიტა, არ იგრძნობოდა. მართალია, მხოლოდ ქართველი ენის ფარგლებში სრულფასოვანი უმაღლესი განათლების მიღწევა არ იყო შესაძლებელი, მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციას ქართველი კულტურა დიდად არ ჩამორჩენილა, ვინაიდნ საყოველთაოდ მისაწვდომი რუსული ენა ავსებდა და ტრანსლირებდა ერთმანეთში ცივილიზაციასა და კულტურას. იმდროინდელი „ქართველი ოცნება“ – სოფლიდან ჩამოსული ბავშვი, რომელიც მონდომებისა და განათლების მიღების წყალობით „დიდი კაცი“ ხდება, სოციალური მობილობის რეალურ მექანიზმს წარმოადგენდა. ამ მხრივ საბჭოთა სოციალური სტრუქტურა წააგვდა კვრობული ცივილიზაციის განხომილებას, სადაც საშუალო ფენა საზოგადოების ძირითად კლასს წარმოადგენს.

დღესდღეობით მანძილი მოსახლეობის ძირითად მასასა და „წარმატებულ“ უმცირესობას შორის მეტად გაიზარდა, რაც ნაწილობრივ წარმატებისთვის საჭირო ცოდნის ნაკლები მისაწვდომობითა განპირობებული. მოსახლეობის აზრით, იმისათვის, რომ მიაღწიო წარმატებას, პირველ რიგში უნდა იცოდე უცხო ენა (მოსახლეობის 72 %). მეორე ადგილზეა 66 %-ით კომპიუტერის ცოდნა¹⁰. ეს ფაქტობრივად მეტყველებს იმაზე, რომ წარმატება და გლობალიზაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. გლობალიზაცია აჩენს ახალ, ასევე ცოდნასთან და განათლებასთან დაკავშირებულ უთანასწორობებს.

პირველი შექედვით, ეს ახალი ცოდნა ხელმისაწვდომია და „განსილი“ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის, მაგრამ სტატისტიკა მეტყველებს საპირისპირო ტენდენციებზე.

ახალგაზრდობაში ნელ-ნელა შემცირდა რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი და გაიზარდა ინგლისური ენის სწავლის მიღწევებისა. ამავე დროს ინგლისური ენის ცოდნა საკმაოდ ნელი ტემპით იზრდება - მოსახლეობის 80% დღესდღეობით ვერ ფლობს ინგლისურს, მაშინ როცა რუსულს სრულად ვერ ფლობს მოსახლეობის მხოლოდ 10%¹¹. ცხადია, რომ „მაღალი“ სოციალური ფენებიდან გამოსულ ბავშვებს მეტი შესაძლებლობა აქვთ როგორც უცხო ენის საწავლებლად (რასაც ძირითადად კერძო სწავლება უზრუნველყოფს), ასევე ინტერნეტით სარგებლობისთვის, მით უფრო, რომ ქართველენოვანი ინტერნეტი განვითარებაში მკეთრად ჩამორჩება რუსულენოვან და ინგლისურენოვანს.

რას ნიშნავს ეს მოსახლეობისთვის? თუკი ადრე ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკები და თანამედროვე ცივილიზაციის სხვა კულტურული მიღწევები (ცენტურირებული ლიტერატურის გარდა) ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის იმ უმრავლესობისთვის, რომლებიც ფლობდნენ რუსულ ენას, დღესდღეობით საქართველოში არ არის არც სახელმძღვანელო, არც ბიბლიოთეკა, არც სათანადო დონეზე განვითარებული სხვა ინგლისურენოვანი რესურსები, გარდა ინტერნეტისა. მკეთრი სტატუსური სხვაობა არსებობს აგრეთვე ადგილობრივ და უცხოურ დიპლომებს შორის, მაშინაც კი, როდესაც უცხოური განათლება მხოლოდ ტრეინინგის ან მოკლევადიანი სწავლების კურსის გავლით შემოიფარგლება. ფაქტიურად გამოდის, რომ სრულფასოვანი პოსტინდუსტრიული ცოდნა და განათლება, რომელიც სჭირდება საშუალო ფენის ადამიანს კარგი დასაქმებისთვის ხელმისაწვდომია მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტისთვის.

რუსული ენა კვლავაც დიდ როლს თამაშობს საზოგადოებაში და მისი ცოდნა კარგად კორელირებს განათლების მაღალ დონესთან. მაგრამ ეს ვითარება ნელ-ნელა იცვლება. ძველი საბჭოთადროინდელი რუსულენოვანი რესურსები, ისეთები როგორებიცაა ბიბლიოთეკები და სახელმძღვანელოები, თან-

დათან მორალურად ძველდება, ახალი რესურსები სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია – რუსეთის სატელევიზიო არხები სოფლად პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია, წიგნები ძვირია, რუსული ინტერნეტი ქართულთან შედარებით ბევრად სწრაფად ვითარდება, მაგრამ ამასთან საზოგადოების ის ფენა, რომელიც ინტერნეტით უველავე მეტად სარგებლობს – ახალგაზრდობა, სულ უფრო ხშირად ვერ ფლობს რუსულ ენას.

რეალურად გვესახება შემდეგი სურათი: ის ფენები, რომლებიც აღრე მაღალი სოციალური სტატუსისა იყო, დღესაც ახერხებენ თავისი შვილებისთვის უცხო ენების სწავლებასა და შედარებით მაღალი დონის განათლების მიცემას. მაშინ როცა დაბალი სოციალური სტატუსის ფენებისთვის განათლების მისაწვდომობა უაღრესად შემცირდა, ვინაიდან უცხო ენის სწავლებას სკოლა ვერ უზრუნველყოფს, ხოლო ის, რასაც ის უზრუნველყოფს, დასაქმების თვალსაზრისით დაბალფასიანია.

გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა წამოვიდგინოთ ქვეყნის განვითარების ორი განსხვავებული მოდელი. პირველი მათგანი უთანასწორობის მაღალ დონეს მოიცავს, მას ჩვენ „კოლონიური ქვეყნის“ მოდელად მოვიხსენიებთ. მეორე მათგანი ასევე მოიცავს უთანასწორობას, მაგამ ნაკლებად გადაულახას და სიღრმისეულს, მას ჩვენ „ვეროპულ“ მოდელად განვიხილავთ. ერთსაც და მეორესაც კულტურის ენობრივ მატარებელს დაუკავშირებთ.

„კოლონიური ქვეყნის“ ტიპის საზოგადოებას, შეიძლება ფაგდეს ვიწრო „მოდერნიზაციული“ ელიტა, რომელიც ფლობს ცოდნას და უცხო ენას, რომელიც შესაბამისი ცივლიზაციის მედიას წარმოაენს (ინგლისური, რუსული, ფრანგული – გააჩნია გეოპოლიტიკურ სივრცეს), ხოლო დანარჩენი საზოგადოება ფლობს „აბორიგენულ“ ენას, რომელიც უფრო „დაბალი კულტურის“ და ეთნიკური იდენტობის მატარებელია, რაც არასაკმარისია „ცივილიზაციური“ განზომილების შესაძნად. ხოლო „ვეროპულ ქვეყნებში“ როგორც ელიტებს, ასევე საზოგადოების ძირითად მასას მეტ-ნაკლებად თანასწორი მისასვლელი აქვთ ცივილიზაციასთან იმის ხარჯზე, რომ ეს ცივილიზაცია ტრანსლირებულია შშობლიურ ენაში, ანუ კულტურის

ძირითად მედიაში, ან იმის ხარჯზე, რომ თავად ეს ენა „დიდი“ ქვეყნის ენაა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), ან იმის ხარჯზე, რომ მოსახლეობა მასობრივად ბილინგვურია (მაგ. სკანდინავიის ქვეყნები), რაც საბოლოო ჯამში მშობლიური ენის ცივილიზაციურ განვითარებასაც უზრუნველყოფს.

საქართველოსთვის ამ ორ მოდელს შორის არჩევანი თავისთავად ცხადი არ არის, ვინაიდან სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ მხოლოდ საბაზრო შექანიშმებით, რომელებიც ამ სფეროში დღესაც მოქმედებს, მასობრივი წინსვლა მიღწევადი არ არის. შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი არ იქნება შემუშავებული მიზანდასახული სახელმწიფო სტრატეგია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ყოველივე ეს საბაზრო ძალებს მიენდობა, საქართველოს ახალ ცივილიზაციურ, გლობალისტურ და ინგლისურებოგნ სივრცეში კი არ ელის ინტეგრაცია, არამედ მას მოელის მასობრივად ცივილიზაციური სივრცებიდან ამოგარდნა და კულტურული დეგრადაცია, რაც კიდევ უფრო გაზრდის დაპირისპირებას „გლობალისტურ“ ელიტასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის.

საზოგადოებრივი კონტრაქტი, ტრადიციული იდენტობები და ახალი უთანასწორობები

ვინაიდან გლობალიზაცია ჩვენ განხილული გვაქვს ახალი ექონომიკური მწარმეობლური რევოლუციის ერთგარ სინონიმად და განსახიერებად, არ იქნება არალოგიკური, რომ თანმდევი სოციალური პროცესებით გამოწვეულ რადიკალურ ხასიათში ასევე რევოლუციური გარდაქმნებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული რღვევების ელემენტები დავაფიქსიროთ. ამგვარი რღვევები, რომლებიც დიდი სოციალური ჯგუფების სიღრმისეულ გარდაქმნებში აისახება, ისტორიულ მაგალითს - კაპიტალიზმის წარმოქმნასა და განვითარებას თან სდევდა, რასაც იმგვდროულად მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაკოტრება, მიგრაცია, მარგინალიზაცია და ცხოვრების სტილის რადიკალური ცვლილება მოჟვებოდა.

ისტორიული პარალელების გავლებამ, ამასთან, არ უნდა ჩაგვაფოს ერთგვარი ისტორიციზმის განცდაში, როდესაც პროცესის ობიექტური მახასიათებლები იმავდროულად მისი შედეგების დეტერმინისტული ცალსახობის მიზეზად მოგვიყლინება. ინდივიდუები, საზოგადოებები და ქვეყნები არ არიან პასიური მიმღებები იმისა, რაც მათ თავს ატყედება. დასავლური საზოგადოებების კაპიტალისტურმა გარდაქმნამ განვითარების თვალსაზრისით პოზიტიური შედეგი გამოიღო არა იმიტომ, რომ ეს კაპიტალიზმის შინაგანი ბუნებითაა განპირობებული, არამედ იმიტომ, რომ მის განვითარებას თან ახლდა სხვა, თანმდევი პროცესები, რომლებმაც ბრძოლაში და წინააღმდევობებში წარმოქნეს ის საზოგადოებები, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ როგორც დასავლურს. ანუ განვითარების ის ორი მოდელი, რომელიც ადრე ვახსენთ, პოტენციური განვითარების ალტერნატივებს სახავს, რაც არჩევანს გვიტოვებს, და რაც, როგორც მინიმუმ, სახელმწიფო პოლიტიკის და პოლიტიკური პარტიების შესაბამის გრძელვადიან სტრატეგიებს უნდა აყალიბებდეს.

რეალური გამოწვევების დანახვა ამგვარი სტრატეგიების გამომუშავების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ქვეწის სოციო-კულტურული ტრანსფორმაციის ზშირ შემთხვევაში სტიქიური და ქარტური პროცესი გარდაქმნების პირველ წლებში ერთგვარად დაჩრდილული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემური გარდაქმნების არტიკულირებული და ფორმალიზებული ლოგიკით. ტრანსფორმაციაში ჩართულ აქტორთა მიკროდონებზე არსებული ვითარებები და მიკროსტრატეგიები, ახალ რეალობებთან მათი ადაპტირების უნარები თუ უნარობა (ან კი სურვილი თუ სურვილის არქონა) ნაკლებად მიიღებოდა მხედველობაში. შესაბამისად, აქტორთა წარსული გამოცდილებით და კულტურული პატერნებით წარმოქნილი მანძილი ფორმალურ ინსტიტუტებსა და მათ არაფორმალურ მნიშვნელობებსა და რეალურ ფუნქციონირებას შორის ტრანსფორმაციის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში განიხილებოდა უფრო როგორც კორუფცია, რომელიც უნდა იყოს დაძლეული, და არა როგორც გამოწვევა, რომელიც ქვეყნის არსებულ მდგომარეობას ობიექტურად აყალიბებს და ანგარიშ-

გასაწევ დაბრკოლებებს ქმნის სხვაგვარად „უტოპიური“ გეგმების განხორციელებაში. ქვეყანაში თანდათანაობით ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული ეკონომიკის, ორი განსხვავებული კულტურული პატერნის თანარსებობის და ურთიერთდაპირისპირების პრაქტიკა, როდესაც დაპირისპირების ერთი, დომინანტური მხარე გაცილებით მეტი ეფექტურობით ხასიათდება, ხოლო მეორე ვერ თმობს პოზიციებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას (მასში ჩართულ აქტორებს) სხვანაირად არსებობის და გადარჩენის უნარი არ გააჩნია. ამდენად წარსულის უარყოფა და წარსულთა ბრძოლა, ამდენად რეალურად აღმოჩნდა ბრძოლა მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბრძოლაში ახალი პოლიტიკური იდენტობების გამომუშავებას ცდილობს.

ორი სოციუმისა და ეკონომიკის წარმოქნას უკავშირდება აგრეთვე სოციალური სტრატიფიკაციის ორგარობა, რაც საზოგადოებრივი კონტრაქტის, სოციალური სოლიდარობის საპირისპირო მოქმედებს. სოციალური მობილურობა, „ცხოვრების შანსები“ (რალფ დარენდორფის ტერმინი), წარმატებას და რეპუტაციას ერთმანეთისგან აცალებებს და აშორებს, და ამით არღვევენ არსებული სოციალური დისკურსული ველების ავტონომიას. წარმატების და წინსელის მიღწევა გლობალიზებულ სამყაროში ხდება ლოკალური სოციუმისგან მოშორებულ სფეროებში, რომლებზედაც საზოგადოებას ზეგავლენის მექანიზმები არ აქვს. ახალ გლობალურ ურთიერთობებში ინდივიდი შესაძლოა ფიზიკურად ცხოვრობდეს თბილისში, და აღწევდეს დიდ წარმატებებს თავის საქმიანობაში ისე, რომ მისი პროფესიული რეპუტაციის ფორმირებაში არ მონაწილეობდებოდა ადგილობრივი კოლეგები. შესაბამისად, თუკი (როდესაც) ამგვარი ადამიანები იკავებენ სოციალურად მნიშვნელოვან თანამდებობს, ისინი ზშირ შემთხვევებში განიხილებან როგორც „ტროას ცხენები“¹³, რომლებიც „შემოგზავნილია“ საზოგადოებაში გარედან, მისი აკტონომიურობის შესასუსტებლად.

ამდენად, ჩნდება სტრატიფიკაციის ორი სისტემა, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირობიან. ერთი ეფუძნება იმას, რასაც ადამიტი ბაზრის უხილავი ხელის საფუძვლებში ემებდა. ეს არის საკონტრაქტო პორტონტალური ურთიერთობები, რომლებიც

ბადებენ სამოქალაქო ერთობას, მორალურ წესრიგს და ზრდას იმ რეპუტაციების გავლენას საბოლოო წარმატებაზე, რაც საზოგადოების წევრად ყოფილ პრივატულების უკავშირდება. მეორე ეფუძნება გარე ლეგიტიმაციას, და/ან არსებობს გარკვეულ-წილად იზოლირებულად საზოგადოებისაგან და „ელიტის-ტურად“, ან პოლიტიკური ძალების ზემოქმედებით ჩნდება იქ, სადაც ის გლობალიზაციის ზემოქმედების გარეშე ვერ აღმოჩნდებოდა.

გლობალიზაციით წარმოქმნილი „ტროას ცხენების“ ფენომენის გაჩენას საზოგადოებაში ბუნებრივად მოყვა ნეგატიური, ხშირად ქსენოფობიური რეაქციები. საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ თვალნათლივი ხდება ახალი, ანტიგლობალისტური ტენდენციების ზრდა, რომლებიც საკუთარ თავს ზოგჯერ ანტიამერიკანიზმის, ხოლო ზოგჯერ ნაციონალიზმის ტერმინებში არტიკულირებენ. იგრძნობა ტენდენციები, როდესაც „დანარჩენი საზოგადოება“ იწყებს საკუთარი თავის გაცნობიერებას, „მეორე ხარისხის“ ადამიანებად, რაც ადამიანური დირსების დაცვის ძლიერ მოთხოვნლებას ბადებს. ასევე ჩანს, რომ საზოგადოებაში ძლიერდება უფრო ზომიერი და არაანტიგლობალისტური ტრადიციონალისტური განწყობებიც, როგორც ახალი საზოგადოებრივი კონტრაქტის შესაძლო საფუძლების ძიების ფორმა.

როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს¹⁴, საზოგადოების უმეტესობა დღეს ტრადიციონალისტურადაა განწყობილი, მაგრამ ეს ტრადიციონალიზმი ერთგაროვანი არ არის. ტრადიციონალისტების ერთი ნაწილი შეიძლება დავახსასიათოთ, როგორც წარსულზე ძლიერად დამოკიდებული, ახალთან ძნელად ადაპტირებადი ადამიანები. მათ უფრო ნოსტალგიური განწყობები აქვთ, ხოლო სიახლეს უნდობლობით ეკიდებიან. ასეთები უფრო მრავლად მოიპოვება სოფლად, უფრო თაობაში, დაბალი განათლების მქონე ადამიანებში.

ტრადიციონალისტების მეორე ნაწილში უფრო მეტა მაღალი განათლების, დიდ ქალაქებში მცხოვრებთა პროცენტი; ამ ჯგუფში წარმოდგენილია ყველა ასაკის ადამიანები. ესენი ტრადიციას და სიახლეს ერთმანეთს არ უაირისპირებენ, არამედ ორივეს შეზაევებას ცდილობენ. როგორც ჩანს, მათთვის ტრად-

იციული განწყობები გლობალიზაციის კონტექსტში იდენტობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საშუალებად არის მიჩნეული. ეს სწორედ ის სოციალური ჯგუფია, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ ტრადიციულ კულტურულ კაპიტალს, და რომლის შემთხოვება ამ კაპიტალის გაუფასურებასთან დაკავშირებით განაპირობებს მის „კლასობრივ“ განწყობებს მიმდინარე პროცესების მიმართ. რესული და ინგლისური ენების ცოდნა ამ ჯგუფში წინასთან შედარებით უფრო მაღალია.

შეარდი ტრადიციონალისტური იდენტობები პირდაპირ კავშირშია საქართველოს არსებულ და მოსალოდნელ პოლიტიკურ დაყოფებთან. საქართველოს პოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი, თუ არა ცენტრალური როლი უჭირავს საგარეო ურთიერთობებსა და გარე ორიენტაციებს, თანაც ისეთნაირად, რომ ცივილიზაციების მიჯნაზე მდებარე ქვეყანაში დასავლური ცივილიზაციური მიკუთვნებულობა გადათარგმნილია პირდაპირ პოლიტიკურ სტრატეგიებში ამერიკული და ევროპული განზომილებით. ქვეყანაში რესეთის, როგორც დომინანტური პოლიტიკური აქტორის როლის დაკინებასთან ერთად გაიზარდა სხვა, დასავლური გარე აქტორების როლი. ამდენად, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ფორმირებაში საგარეო ფაქტორი დიდ როლს თამაშობს, და პოლიტიკური დაყოფების ფორმირების ორ შესაძლო ვარიანტს გვთავაზობს.

პირველი, „ქსენოფობიური“ სცენარის ფარგლებში დაპირისპირების არტიკულირება გაგრძელებას პპოვებს „გეოპოლიტიკურ“ განზომილებებში და საგარეო პოლიტიკის დისეურსი გამოაქვს წინა პლანზე, რაც იწვევს გარკვეული ტიპის ანტიკლობალისტური „იდეოლოგიას“ ფორმირებას, ხოლო დასავლებზე ორიენტაციას ბოლშევიკური ტიპის პოლიტიკური სტილის ხასიათს ანიჭებს. ამ შემთხვევაში ან „წარმატებული გლობალისტების“ ნაწილი, რომელიც ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას, იდეოლოგიურ დომინირებას ამყარებს, ან იმარჯვებენ ანტიგლობალისტები, რომლებიც ძველი (დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდისთვის დამახასიათებელი) ეროვნული დღის წესრიგის ჩარჩოებში მოქმედებენ. სინამდვილეში ორივე ეს პოლიტიკური ძალა შესაძლოა ერთობლივადაც მოქმედებდეს – გლობალისტები თანამშრომლობდნენ ნაციონალ-

ისტერის, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს „პატრიოტული“ რიტორიკის და პრაქტიკის გაძლიერებაში იმ ტრადიციონალისტური სოციალური ჯგუფების დასაქმაყოფილებლად, რომლებიც უკვე ნახენები ხოსტალგური განწყობებით ხასიათდება.

სხვა სცენარი შესაძლოა მიმართული იყოს უფრო შიდა, და არა საგარეო პოლიტიკაზე, რაც აუცილებლობით პოლიტიკას ნაკლებად პოლარიზებულ ხასიათს მიანიჭებს. ამგვარი სცენარი უნდა იცნობიერებდეს მიმდინარე გარდაქმნებს, როგორც მოტანილს მსოფლიო განვითარების ახალი ტენდენციებით და ცდილობებეს ამ ტენდენციებზე აღეკატურ რეაგირებას „ქსენოფონიური“ განწყობების გარეშე. ეს სცენარი აუცილებლობით გაითვალისწინებს სოციალური სოლიდარობის რაღაც ელემენტებს, რათა სახელმწიფო აიღოს საკუთარ თავზე საზოგადოებრივი მომსახურების ფუნქცია და არ მიანდოს მომავალი განვითარება მხოლოდ ბაზრის მამოძრავებელ ძალას. ამგვარმა ხედვამ უნდა გაიცნობიეროს გლობალიზაციის პროცესმა, როგორც სოციალური გამოწვევა, რომელსაც მიზანდასახული პოლიტიკური რეაგირება სჭირდება.

როდესაც ქვეყნის განვითარებას ახალი, გლობალიზაციური გამოწვევები აყალიბებენ, ამ განვითარების ალტერნატიული პოლიტიკური ხედვები ვრ იქნება ისეთივე, როგორებიც იყო ძველად. ახალი პოლიტიკური დაყოფები, რომლებიც მთელ მსოფლიოში XXI საუკუნეში იჩენს თავს, აღარ არიან ტრადიციული მემარჯვენ-მემარცხენე დაყოფები, რომლებიც წინა საუკუნეების დასავლური ქვეყნების პოლიტიკას ამოძრავებდნენ. თუკი ცალ მხარეს ნეოლიბერალიზმით ფორმირებულ გლობალიზაციას მოვათვებთ, რომელსაც პოლიტიკურად, ზოგიერთი ავტორის ფორმულირებით, ლიბერალური ელიტიზმი შეესატყვისება, მეორე მხარეს სხვადასხვა სახის მოძრაობები შეიძლება აღმოჩნდეს, რომლებისთვისაც იდენტობები, მათ შორის ტრადიციონალისტური, ნაციონალისტური, მულტიკულტურული თუ პაროქიული განწყობები იქნება მნიშვნელოვანი.

საქართველოს რეალობაში პრაგმატული და რეალისტური მიდგომების სისუსტის ფონზე ორივე მხარეს მდგომი მიდგომები ძლიერი იდეოლოგიზირების სახეს იძენენ, პრაგმატული,

ქმპირიულად დასაბუთებული და ანალიტიკურად გათვლილი სტრატეგიების გამომუშავების გარეშე. ასე, ნაციონალისტების მიერ ქართული ენისთვის უპირობო და ექსკლუზიური ღირებულების მინიჭების შედეგად საზოგადოება დადგა იმ რეალობის წინაშე, რომ იგარგება ქვეყნის კულტურული კაპიტალის ერთ-ერთი ძლიერი მაფორმირებელი მხარე - მასობრივი ბილიგვურობა, რომელიც წინა საუკუნეში ქართული კულტურის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა. ნეოლიბერალური პასუხი ამ გამოწვევაზე ასევე, როგორც ამას სტატისტიკა ადასტურებს, არააღეკვატური აღმოჩნდა: ამ მიღომის მიხედვით, თუ ადამიანმა ვერ ისწავლა ინგლისური ენა, ეს მისი პიროვნული პრობლემაა და მისი საბაზო კონკურენტულობის განსახიერება. ის რომ გარდაქმნების ოცი წლის თავზე პროცენტი ინგლისური ენის მცოდნე ადამიანების არის ასეთი დაბალი, ნეოლიბერალებს მაინც არ უბიძგებს იქითვენ, რომ ეს პრობლემა განიხილონ როგორც სოციალური.

სოციალური სოლიდარობის მომხრეთა თვალში უთანასწორობები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს უკან ტოვებს, როგორც მინიმუმ, სახელმწიფო რეაგირებას და შესაბამისი პოლიტიკის გამომუშავებას მოითხოვს. ის მანძილი, რომელიც დღესდღეობით თბილისსა და რეგიონებს შორის წარმოქმნა, ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიაც ქართული სოფელი აღმოჩნდა, ის დაპირისპირება, რომელიც ასაკობრივ ჯგუფებს ყოფს ერთმანეთისგან, ხშირ შემთხვევაში არ დაიყვანება მხოლოდ რესურსების გადანაწილების პოლიტიკის სისუსტეზე, რომლისთვისაც სახელმწიფოს შესაძლოა უბრალოდ ფინანსები არ ყოფილი და ეს უთანასწორობები ქვეყნის ერთობლივი სტრუქტურული განვითარების სხვადასხვა მოდელებს უკავშირდება.

პრობლემები, რომლებიც აქ იყო აღწერილი, ასახავენ ვითარებას, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა ადამიანების თვალში განსხვავებულ რეაგირებას მოითხოვდეს. გამოწვევებზე რეაგირების პოლიტიკა, რომელიც პრობლემების მოგვარებას ემსახურება, და არა აბსტრაქტული იდეების განხორციელებაზეა მიმართული, საერთო და ნაკლებად ემოციური მსჯელობის შედეგად მიგვიყვანს პრობლემის შემსუბუქებამდე. როგორიც არ

უნდა იყოს ამგვარ მსჯელობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება – მემარჯვენე თუ მემარცხენე, ის იქნება პირველ რიგში გააზრებული და რაციონალური.

შენიშვნები:

¹ A. Ōâëä è äð., 2004, gv. 2.

² Zaryab Iqbal, 2006

³ A. Èí î çâî őââ, 2004

⁴ M.Castells, 1999

⁵ იქვე

⁶ იქვე

⁷ იქვე

⁸ კულტურული კაპიტალი: ენა, კულტურული ჩვევები, ცოდნა და უნარები.

⁹ პ.ბურდიე, 2006

¹⁰ 6.სუმბაძე, 2006

¹¹ ლ.მეზვრიშვილი და სხვ., 2007

¹² „მაღალ“ და „დაბალ“ სოციალურ ფენებად საზოგადოების დასაყოფად შესაძლოა გამოვიყენოთ დემოგრაფიული მაჩვენებლები – უფრო „მაღალ“ ფენას მიეკუთვნოთ უმაღლესი განათლების მქონე, დიდ ქალაქებში მცხოვრები, არამოხუცეულებლი მოსახლეობა, ხოლო უფრო „დაბალს“ – უმაღლესი განათლების არმქონე, პატარა ქალაქებსა და სოფელებში მცხოვრები, ხანდაზმული ადამიანები.

¹³ „ტროას ცხენების“ ტერმინი პიერ ბურდიესგან არის ნასესხები. თუმცა ამ მოვლენას პიერ ბურდიე უკავშირებს არა გლობალიზაციას, არამედ ინფორმაციულ-კომუნიკაციური სივრცის ახალ ტექნოლოგიურ რეალობას – ტელევიზიას. ტელევიზია, და მისი თანმდევი მასიფიკაცია და კომოდიფიკაცია ქმნიან „სატელევიზიო გურუების“ სტრატეს, პოპულარულ სახეებს, რომელთა რეპუტაცია ეფუძნება არა რეალურ პროფესიულ კვალიფიკაციას, რომლის გავლენითაც მათ უნდა აწარმოონ ახალი ინტელექტუალური და კულტურული პრიდუქტი, არამედ მათ უნარს მიაწილონ საზოგადოებას სასიამოებო სახით ის, რაც ისედაც ყველასათვის ცნობილია და გაზიარებული. „ტროას ცხენები“ არიან დაბალებალიფიკაციი, მაგრამ სტატუსურად მაღალი და გავლენიანი, რაც არღვევს კულტურის სფეროს ავტონომიას და შიდა ინტელექტუალურ ეთიკას, საბოლოოდ აქვეითებს ამ სფეროს უნარს აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

¹⁴ ლ.მეზვრიშვილი და სხვ., 2007

ბიბლიოგრაფია

3.ბურდიე, (2006). განსხვავებანი. მსჯელობის სოციალური კრიტიკა.

„დიოგენე“, თბილისი

ლ. მეზვრიშვილი, მმუსხელისებილი, გ.ნიუარაძე, ი.საკანდელიძე, (2007). მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით, O'GHE თბილისი.

6. სუმბაძე, (2006). საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრი, თბილისის პოლიტიკის შესწავლის ინსტიტუტი, თბილისი.

Â. Èí î çâî őââ, (2004) Âéî áâëèçâöèÿ- í àèâî àý i â:ðà XXI áââà. <http://www.i-u.ru/biblio/default.aspx?w=1080&t=author>

Pierre Bourdieu (1998) *Acts of Resistance: Against the New Myths of Our Time*

Ä. Öâëä è äð. (2004) Âéî áâëüü û â ððâi ñôî ði àöèè. Í 1ëëðèêà, ýéî i 11 èëâ è êôëüððâ. Í ðâëñèñ, Í 1 ñëâà.

Zaryab Iqbal, Christopher Zorn, (2006). The Two Faces of Globalization. http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=887708

M.Castells, (1999). Information Technology, Globalization and Social Development. UNRISD Discussion Papers N 114, September.

გლობალიზაციის მანქრა

გა თარხან-მოურავი

რა არის გლობალიზაცია?

1998 წლის ოქტომბერში, გაჩაღებული „აზიის კრიზისი“ დროს, მერილ ლინჩმა წამყვან ამერიკულ გაზეთებში მოუღვა გვერდიანი განცხადება გამოაქვეყნა: „მსოფლიო ათი წლისაა“... ის დაიბადა 1989 წელს, როდესაც დაცა [ბერლინის] კედელი. გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ეკონომიკა — გლობალური ეკონომიკა — ჯერ კიდევ დასაყრდენის ძიებაშია!

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში „გლობალიზაცია“ მოღურ ტერმინად იქცა. იგი, მრავალგვარი ტენდენციებისა და მიმართულებების ასახესელად, ან კონკრეტული ქმედებებისა და მიღებების გასამართლებლად, გამუდმებით გამოყენება. სარგებლობს რა „გლობუსის“ (დედამიწა – globe) ადვილად დასამახსოვრებელი იმიჯით, იგი იქცა უურნალისტურ „კლიშედ“, რომელსაც მრავალ კონტექსტში იყენებენ. ყოველწლიურად, „გლობალიზაციის“ შესახებ, ასობით წიგნი და სტატია იძეჭდება, რაც თავად „გლობალიზაციის შესახებ წერასაც“ გლობალურ ფენომენად აქცევს. პოლიტიკური მოძრაობები და კორპორაციები თავიანთ სარეკლამო მასალებსა და იმიჯში სულ უფრო და უფრო იყენებენ გლობალიზაციის კონცეფციას.

კონკრეტული არსებობს ისეთი კონცეფციები, რომლებიც საზოგადოების ცურადღებას იპყრობს და საჯარო დებატების დროსაც დომინირებენ. უკანასკნელი ათწლეულები ისეთი კონცეფციების ირგვლივ დებატების მოწმეა, როგორებიცაა „ისტორიის დასასრული“ ან „ციფრიზაციათა შეჯახება“. მრავალ საზოგადოებასა თუ ინსტიტუტს შეუძლია საკუთარი სიტყვებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება, რომლებიც ამის შემდგენ საკუთარი ცხოვრებით განაგრძობენ არსებობას და ხშირად იქცევან თავისებურ მანტრებად და შამანურ ფორმულებად,

თანაც, არც მთლად მნიშვნელობისა და ფუნქციის გარეშე. ერთი ასეთი მაგალითია „სიღარიბის აღმოფხვრის“ კონცეფცია, რომელიც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დომინირებდა საერთაშორისო დისკურსში².

ასეა თუ ისე, „გლობალიზაცია“ ახლახანს წარმოიქმნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ამგვარი კონცეფცია. არის რა ბევრად მეტი, ვიდრე მორიგი დღემოკლე „მოღური სიტყვა“, „გლობალიზაცია“ ქება რეალურ ცვლილებებს, რომლებსაც ღრმა გავლენა აქვთ კულტურაზე, ეკონომიკაზე, უსაფრთხოებაზე, მართველობასა და გარემოზე. ეს კომპლექსური კონცეფცია მრავალი განსხვავებული ჯაუფისაგან ძლიერ ემოციურ რეაქციას იწვევს. ამგვარად, ერთობლებული „დებატები გლობალიზაციის შესახებ“ დისკუსიის ცენტრალურ ფოკუსად იქცა, რომელ მიმართულებასაც მისდევს მსოფლიო (ან მომავალში მიჰყება) და რომელიც საზოგადოებსაც კი გლობალისტებად და ანტიგლობალისტებად ჰყოფს. ამავე დროს, ისმის სკეპტიკური ხმებიც, რომლებიც გლობალიზაციის შეზღუდვებს ახმოვანებენ და ხანდახან მითსაც უწოდებენ.

ტერმინი „გლობალიზაცია“ ატარებს გარკვეულ ფატალისტურ აზრს შორეულ მიზეზებზე დამოკიდებულებისა, მოლოდინებს, რომ გლობალური, სუპრანაციონალური ძალები და გლობალური ურთიერთდაკავშირებულობა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტ პროცესებს წარმართავს. ამავე დროს, ის წარმოშობს, იმის იმედს, რომ ბოლოსდაბოლოს მსოფლიომ შეიძლება მიაღწიოს გლობალურ საზოგადოებას, უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და აყვავებას. იგი აგრეთვე წარმოშობს მრავალთა შიშს იმის გამო, რომ მათი მომავალი კეთილდღეობა, ან საერთოდ მათი საზოგადოებისა და ერთს მომავალი, კონტროლის მიღმა ძალების მხრიდან საფრთხის ქვეშა.

რა არის, უფრო ზუსტად, გლობალიზაცია და რომელია ის უმთავრესი ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მის სარგებელსა და დანაკარგებს? ხომ არ არის ტერმინი „გლობალიზაცია“, ზედმეტად გადატვირთული მრავალი მნიშვნელობებით იმისთვის, რათა რამე სამოქმედო მნიშვნელობა ან ანალიტიკური ღირებულება გააჩნდეს, ან საერთოდ აღწერს

კი იგი რეალურ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ფენომენს? და ბოლოს, თუკი გლობალიზაცია რეალური და მნიშვნელოვანია, რა არის ის სარგებლები და რისკები ქვეყნისა ან საზოგადოებისათვის, რომლებიც გლობალიზაციას მოაქვს, ან საქრონო თუ ამგვარი კითხვის დასმა კორექტულა?

სიახლე არაა, რომ განსაზღვრებები მნიშვნელოვანია. რაც ამ ტერმინის გამოყენებას ასე ართულებს, ესაა მისი ზოგად პოლისემანტიკურ ბუნებასთან შერწყმული სემანტიკური ბუნდოვანება, აგრეთვე მისი პოლიტიკური ასოციაციები, რომლებიც დებატებისათვის ამ ტერმინის სწორად გამოყენების თაობაზე მრავალ არგუმენტს წარმოქმნიან. გარდა ამისა, საკითხები, რომლებიც იგულისხმება გლობალიზაციის ახსნაში, მკაცრად განსაზღვრავენ იმ პრობლემებს, რომელთა განხილვასაც ცდილობს „დებატები გლობალიზაციის შესახებ“. შესაბამისად, ეს დებატები შეზღუდულ ვრისტიკულ და მეცნიერულ დირექტულებას ატარებენ.

ამგვარად, გასაკვირი არაა, თუ „გლობალიზაციის შესახებ დებატების“ ერთ-ერთი წამყვანი მონაწილის, მსოფლიო ბანკის ვებ-საიტზე ვიპოვით შემდგომ აღიარებას: „გასაოცარი ისაა, რომ, ასე ფართოდ გამოყენებად ტერმინში არც ერთი ზუსტი, ფართოდ აღიარებული განსაზღვრება არაა. მასთან დაკავშირებულ მნიშვნელობათა სიხშირე დროთა განმავლობაში ნამდვილად უფრო იზრდება ვიდრე ვიწროვდება, იმატებს რა, ეკონომიკის გარდა, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვაგვარ კავშირებსაც³.

გლობალიზაცია მართლაც რომ ქოლგის მსგავსი ტერმინია, რომელიც ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ქებს. გლობალიზაციის ფენომენი უნივერსალური მნიშვნელობისაა, მაშინ როცა გლობალიზაციის კონცეფცია მრავალსახოვანი და კომპლექსურია, ხშირად გადატვირთული შეფასებითი კონტაციებით. მისი კომპლექსურობის შესასწავლად პოლისტური მიდგომებია საჭირო. მართლაც არ არსებობს სფერო, რომელშიც გლობალიზაცია არ აღწევს.

მართალია, გლობალიზაცია სულ უფრო და უფრო მეტად ასოცირდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდე-

ბულებასთან, მისი ადრინდელი გაგება ჯერ კიდევ ამ ფენომენის ტექნილოგიურ და კომუნიკაციურ საფუძვლებზე მიგვითოთებს. 1962 წელს, კანადელმა ფილოლოგმა და ურნალისტმა მარშალ მაკლუენმა გამოჰქმდა უაღრესად პოპულარული ტერმინი „გლობალური სოფელი“, რომელიც ქება (თუმცა ბევრად უფრო ნებატიურ ფერებში) კაცობრიობის მოძრაობას ინდივიდუალიზმისა და ფრაგმენტულობიდან კოლექტური იდენტურობისაკენ⁴.

გლობალიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ხალხისა და შორმის მოძრაობას ქება. რა თქმა უნდა, ადამიანები ყოველთვის მოგზაურობდნენ და მიგრირებდნენ, ხოლო საზოგადოებები რეგულარულად ინარჩუნებდნენ კონტაქტს დანარჩენ მსოფლიოსთან. მიუხედავად ამისა, ამჟამად ამგვარი მოძრაობების ტემპები შესამჩნევად გაიზარდა. რეაგტიული თვითმფრინავები, გადვილებული კომუნიკაციები, კაპიტალისა და ინფორმაციის წამიერი გადაღინება — ყველაფერმა ამან მსოფლიოს ნებისმიერი შორეული კუთხე გაცილებით უფრო ადგილად მიღწევადი გახადა ვიდრე ოდებშე იყო.

გლობალიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური კონცეფციას აუტორთა მთელი რიგი განიხილავს. ამათგან ყველაზე ცნობილია რონალდ რობერტსონი⁵ და აგრეთვე ისეთი მოაზროვნე, როგორიცაა იმანუელ გალერსტაინი⁶. მიუხედავად ამისა ტერმინი გლობალიზაციის ეკონომიკურ კონტექსტში პირველად გამოყენება თეოდორ ლევიტს მიეწერება⁷. ამის შემდეგ ამ ტერმინმა გაცილებით ფართო მნიშვნელობა და კონტაცია შეიძინა. ეკონომიკური გაგებით, გლობალიზაცია ძირითადად ქება, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, რადიკალურად გაზრდილ საერთაშორისო გაჭრობას, კაპიტალის ნაკადებსა და პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებს, მთელს მსოფლიოში ხალხებსა და კორპორაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ინტეგრაციასა და ინტერაქციას. მრავალეროვნული კორპორაციები მსოფლიოს მასშტაბით მრავალ ქვეყანაში მოქმედებენ თავისუფლად და პროდუქტები და მომსახურება, რომლებსაც ისინი აწარმოებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყიდება, ვინაიდან კაპიტალი, ტექნოლოგიები, ცოდნა და ნედლეული უფრო ადგილად მოძრაობს საზღვრებს მიღმა.

ეს უკანასკნელი ფაქტი გვახსენებს, რომ „მულტიეროგნული“ აქტორები მსოფლიოს მასშტაბით გაცილებით ადრე მოქმედებდნენ, კაპიტალი და ხალხი მიგრირებდა საუკუნეების მანძილზე, და ეროვნული საზღვრებიც პირველ მსოფლიო ომამდე საკმაოდ გამჭვირვალე იყო. ყოველივე ამას მივყავრთ დისპუტამდე, არის თუ არა გლობალიზაცია ნამდვილად ახალი ფენომენი, თუ შეიძლება მისი დათარიღება იმ დროით, როდესაც პირველი გლობალური იმპერია შეიმნა (როგორიც იყო ბრიტანეთი)? ვინაიდან ამგვარი დისპუტები წმინდად ტერმინოლოგიურ ბუნებას ატარებს, მათში ჩაღრმავება ძალზედ მნელია. ერთი რამ ნათელია, გლობალიზაციის მრავალ ასპექტს – როგორიცაა ურთიერთდამოკიდებულება და საერთაშორისო ვაჭრობა, გაცილებით გრძელი ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, თუკი გლობალიზაცია გაიგება როგორც, ერთის მხრივ, მიმდინარე ცვლილებების გრანდიოზული მასშტაბის რაოდენობრივი მაჩვენებელი, მეორეს მხრივ კი, როგორც ცვლილების სხვდასხვა ასპექტების მთლიანი, სისტემური კომპლექსი, რაც საფუძველს იღებს კომუნიკაციისა და ცოდნის სფეროში ტექნოლოგიური წინსვლისაგან, მაშინ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის, გლობალიზაციის განმარტება უფრო ვიწრო სპეციფიური აზრით, შედარებით ადგილია.

მეცნიერთა უმრავლესობის მიხედვით, გლობალიზაცია მსოფლიოს ეკონომიკაში, კომუნიკაციურ ტექნოლგიებში, ერ-სახელმწიფოთა შორის ფიზიკური საქონლით ვაჭრობაში, ინფორმაციისა და ვალუტის ბრუნვაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებებით გამოწვეული ფენომენია; ამავე დროს მრავალი მას სოციო-ეკონომიკური განვითარების ახალ ფაზად მიაჩვენს, ანუ ისეთ რამედ, რაც სცდება ერთეულ — „ერ-სახელმწიფოს“ და ზოგადად გეოგრაფიას (რაც მიჩნეულია „დეტერიტორიზაციად“). ამის გამო შეუძლებელია იგი ეროვნული საზოგადოებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ტერმინებით ადეკვატურად იქნას ახსნილი, არამედ უმჯობესია ის ტრანს- და სუპრაეროგნული პროცესების ტერმინოლოგიით იყოს გააზრებული. ტერმინი გლობალიზაცია ხშირად ნამდვილად არის მეორე სახელი დასავლური (ამერიკული) კაპიტალიზმის, საბაზრო ეკონომიკის, მასკულტურისა და იდეოლოგიისა, რომელ-

იც მთელს მსოფლიოში გავრცელდა და ბაზრები და საზოგადოებები გავლენის ქვეშ მოაქცია. პროდუქტებისა და ფინანსების გვერდით, იდებიც და კულტურაც უფრო თავისუფლად მოძრაობს, რის შედეგადაც სოციალური მოძრაობები, იდეოლოგიები, აგრეთვე კრიმინალური და ტერორისტული ქსელებიც საერთაშორისო დონეზე გადადიან და ყველა საზოგადოებაზე ახდენენ ზეგავლენას.

გლობალიზაცია, როგორც იდეოლოგია, ისეთ კონცეფციებთან ასოცირდება, როგორიცაა ხეო-ლიბერალიზმი და „ვაშინგტონის კონსენსუსი“⁴⁸. იგი ეფუძნება რწმენას თავისუფლადი ბაზრის შეუზღუდვი ძალაუფლებისა, რომელიც დარღვეულირებულია კერძო საკუთრების მხარდაჭერისა და დაცვის ერთპირვენული სურვილითა და მიწოდებისა და მოთხოვის ძალების თავისუფლადი ოპერირებით. ეს კონცეფციები ამტკიცებენ, რომ, პრივატიზაციის, ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და დერეგულარიზაციის კომბინირებით გლობალიზაცია მაქსიმალურ კეთილდღეობას, თავისუფლებას, დემოკრატიასა და მშვიდობას მოუტანს მსოფლიოს.

აქედან გამომდინარე, თავად გლობალიზაცია მართლაც ხშირად განიხილება არა ბუნებრივ პროცესად, არამედ იდეოლოგიად და პოლიტიკად, რომელიც განვითარებული მსოფლიოს, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ემსახურება. ამიტომ, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიოს ბანკი და საერთაშორისო საგალუტო ფონდი, მიჩნევიან გლობალიზაციის აგენტებად, რომელიც მოქმედებენ გლობალური კორპორაციებისა და ზესახელმწიფოების მიერ განსაზღვრული დღის წესრიგებით. ამგარი (განვითარებადი) სამყაროს პერსპექტივიდან გლობალიზაცია შეიძლება წარმოჩინდეს ან როგორც ისეთი მსოფლიოს სინონიმი, რომელშიაც მესამე სამყაროს ბაზრები კაპიტალისტთაგან დაპყრობას მოელიან, ან როგორც პროგრესული განვითარება, რომელიც გახსნის მსოფლიოს და იგივე მესამე სამყაროსათვის თანასწორობასა და კეთილდღეობას მოიტანს. გლობალიზაციის ამგვარი ინტერპრეტაციები მას შეფასებითი ტერმინებით აღწერს და ამგვარად, თავად გლობალიზაცია (და არა მისი სახესხვაობები და

ფორმები) მისდამი დამოკიდებულების შესაბამისად, შეწინააღმდეგებას, გამართლებას ან მხარდაჭერას საჭიროებს.

ტიპიურია, რომ აზიის კრიზისის კალად (6 ივლისი 1999 წელი), ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოუარდმა იაპონური ბიზნესის წარმომადგენლებს აუდიენციისას განუცხადა: „ეკონომიკები, რომლებსაც სურვილი აქვთ გაიზარდნონ და უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილები და საცხოვრებელი პირობები შექმნან, გლობალურად უფრო მოქნილი და კონკურენტუნარიანი უნდა გახდონ“. ჩევნ არ გვაქვს არჩევანი, რომ მსოფლიოს ეკონომიკიდან ამოვარდეთ.... თუმცა გლობალიზაციას ახლავს ღრმა სოციალური სატკივარი და პოლიტიკური ფასი, ვინაიდან მგრძნობიარე სექტორები საგარეო კონკურენციისათვის ღია ხდებიან და მისადაგების რთული პროცესის გაფლა უწევთ⁹. მან ფაქტიურად აღნიშნა — მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია „სოციალურ ტკივილს“ აჩენს, სხვა გზა არ არსებობს ვიდრე მასთან მისადაგება და „თამაშში ჩართვაა“.

რვა წლის შემდეგ გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა 2007 წლის იანვარში ვაშინგტონში გამგზავრების წინ Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უფრო ოპტიმისტური კილოთი განაცხადა, რომ ევროკავშირმა და შევრთებულმა შტატებმა მათი ფინანსური ბაზრების რეგულაცის, საპატარენტო კანონებისა და სხვა ეკონომიკური მექანიზმების უფრო ახლო პარმონიზაცია უნდა მოახდინონ. „ჩვენ ევროპაში საერთო ბაზრის გარეკეული გამოცდილება დაგაროვეთ, რომელიც შეგვიძლია ტრანსატლანტიკურ დონეზე გადავიყვანოთ. გლობალიზაციის გაძლიერებით, ეს ტრანსატლანტიკური თანამშრომლობისათვის კარგი ბაზისი იქნება“¹⁰. ამგვარად გლობალიზაცია კვლავ არის რაღაც, რაც გარდაუვლად იზრდება და ნებისმიერს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მისი სიკეთებით.

ამგვარად, ჩნდება კითხვა, უნდა აღვიქვთ თუ არა გლობალიზაცია, როგორც გარდაუვალი მოვლენას და როგორი უნდა იყოს მასთან მიმართებით მთავრობათა და სახელმწიფოთა როლი და პოლიტიკა? თუმცა ამგვარი კითხვა შეიძლება დამაბნეველიც გამოდგეს. თუკი გლობალიზაცია მართლაც

დაფუძნებულია ტექნოლოგიურ ინფუციებსა და ეკონომიკის კანონებზე, მაშინ არ ასებობს მისი შეჩერების ან უკან შებრუნების გზა. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია გლობალური პროცესებისაგან საკუთარი თავის იზოლირება და არ არსებობს ინფორმაციისა და კაპიტალის ნაკადების ხანგრძლივად დაბლოკვის საშუალება. სასაცილოა, რომ ანტიგლობალისტები თავად უწყობენ ხელს გლობალიზაციას თავიანთი კოოპერაციითა და ნდობით გლობალიზაციის იგივე ფაქტორებისადმი, როგორებიცაა ინფორმაციის გაზიარება, გადინება და გლობალური ქსელი.

შესაბამისად კითხვა ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს: იმ ფორმათა მიღება, რომლებსაც გლობალიზაცია გვთავზობს გარდაუვალად უნდა მოხდეს, თუ შესაძლებელია მათზე ზეგავლენის მოხდენა და გადაკითხა? რა არის სახელმწიფოთა და საზოგადოებათა როლი და შესაძლებლობა ყოველივე ამასთან დაკაშირებით?

გლობალიზაციის დადებით და უარყოფითი მხარეები

ხშირად ადამიანები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური მეცნიერები ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიღმა დატოვონ მხელად გასაგები და შესაფასებელი მოვლენები. მაგრამ იმდენად დიდია გლობალიზაციის მნიშვნელობა და გავლენა, რომ მეცნიერებს აღარ შეუძლიათ მისი იგხორიერება და იძულებული არიან გაითვალისწინონ მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების ყველა ანალიზი და თეორიული მიდგომა.

ბევრი პოლიტიკოსი, მეცნიერი და ურნალისტი გლობალიზაციას, როგორც გარდაუვალ მოვლენას ისე აღიქვამს და მიესალმება კიდევ ამ პროცესს. მაგრამ ბევრი ჩვეულებრივი ადამიანისთვის გლობალიზაცია ცხოვრების დამკვიდრებული წესის და ძველი ტრადიციების მოშლას ნიშნავს, ამიტომაც მას თავიანთი კულტურისათვის საფრთხედ მიიჩნევენ. გლობალური სოციალური სამართლიანობის მოძრაობა, რომელიც ასევე გლობალიზაციის შედეგია, ცდილობს შემოგვთავაზოს მოვლე-

ნების განვითარების ალტერნატიული გზა, რომელიც უკეთესად ასახავს საზოგადოების მოთხოვნილებებს. მსოფლიოს მოსახლეობა დაყო გლობალიზაციის მომხრევად და მოწინააღმდეგებად, რომელთა შორის გაცხარებული დისკუსიები იმართება ამ მოვლენის შესახებ. რამოდენიმე ათეული წლის წინ არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი ძალზედ ცოტა იყო. დღეს კი ისინი ათობით ათასნი არიან. ბევრი მათგანი გლობალურ დონეზე მოქმედებს. უზრუნველყოფილნი არიან რესურსებით და საკმაოდ ფართო ქსელიც გააჩნიათ.

ანტიგლობალისტები ხმირად მიმართავენ საპროტესტო გამოსვლებს მსოფლიო საკავრო ორგანიზაციის და დიდი შვიდიანის სამიტების დროს. ასეთი გამოსვლები მათი პროტესტის გამოხატულების ერთ-ერთი გზაა.¹¹ ანტიგლობალისტების მტკიცებით გლობალიზაცია ყოველგარი ბოროტების სათვეს წარმოადგენს – დაბალფასიანი საქონლის იმპორტით განვითარებად ქვეყნებში წარმოებას კლავენ, ამასთან მრავალეროვნული კორპორაციები ძარცვავენ ასეთი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. ამერიკული მასშედია და კულტურა ვრცელდება მთელს მსოფლიოში და ხელს უწყობს განსხვავებული კულტურული ფასეულობების მოშლას და მათ ნაცვლად მონოკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ქონებრივი უთანასწორობა იზრდება როგორც ქვეყნებს შორის ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ საზოგადოებებს შორის. რაც უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოდის ქვეყანაში, ცხოვრების დონე უფრო და უფრო ეცემა. გარდა ამისა ანტიგლობალისტები კველანაირ უარყოფით მოვლენას გლობალიზაციას მიაწერენ.

მართლაც, არსებობს ბევრი საშიშროება, რომელიც გლობალიზაციასთან ასოცირდება. სახელმწიფოებს უწევთ ამ რისკების გათვალისწინება და მათზე აღეკვატურად რეაგირება. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვამ გლობალური დესტაბილიზაცია გამოიწვია, რომლის მაგალითიც აზის ფინანსური კრიზისი და უდარიბესი ქვეყნების კიდევ უფრო მარგინალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბაზრო ეკონომიკამ მართლაც შეიძლება გაზარდოს უთანასწორობა თუკი მთავრობები შესაბამის ზომებს არ მიიღებენ.

დიდი მოგების პერსპექტივით მსხვილი კორპორაციები ინვესტიციებს დებენ დარიბ ქვეყნებში, სადაც დაბალი ხელფასების პირობებში უფრო მეტი მოგების მიღება შეუძლიათ. ამასთანავე მათ საშუალება ეძლევათ ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსები გამოიყენონ. გარდა ამისა, ასეთ კორპორაციებს ეკოლოგიური კონტროლის არარსებობის პირობებში შეუძლიათ არაეკოლოგიური საწარმოების ამუშავება. ზოგიერთ ქვეყანაში უკანტროლო გლობალიზაციამ შეიძლება ბავშვთა ექსპლუატაციას და მონურ შრომას დაუდოს საფუძველი. უთანასწორობა შეიძლება გაიზარდოს შედარებით მდიდარ ქვეყნებშიც, რადგან დარიბი ქვეყნების ათ მუშახელთან უთანასწორო კონკურენცია გამოიწვევს სამუშაო ძალის შედარებით დაბალ კვალიფიციური სელფასების ხელფასების მკვეთრ შემცირებას.¹²

მეორეს მხრივ, ბევრი ეკონომისტი, გლობალიზაციის შედეგების შეჯასებისას აქცენტს აკეთებს ინტენსიური გაჭრობის, საკომუნიკაციო ქსელების და საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციების დადებითი მხარებზე. ისინი ხაზს უსგამენი და სარგებელს, რომელსაც მუშები მთელს მსოფლიოში გლობალიზაციის წყალობით იღებენ.

როგორც სხვა ასეთი მასშტაბის ნებისმიერი სოციალური მოვლენა, გლობალიზაცია არ შეიძლება იყოს ცალსახად დადებითი ან უარყოფითი. ის შეიცავს როგორც საფრთხეებს, აგრეთვე პოზიტიურ პერსპექტივებსაც, რაც ქვეყნის შესაძლებლობებზე და რესურსებზეა დამოკიდებული.¹³ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო მოღვაწეები გლობალიზაციის მომხრებად და მოწინააღმდეგებად დაიკვირდება, სერიოზული მეცნიერების ძალიან ციტა ნაწილი იზიარებს მხოლოდ ერთ შეხედულებას. მათი უმრავლესობა არ აფასებს გლობალიზაციას, როგორც დადებით ან უარყოფით მოვლენას. ისინი ამ პროცესის, როგორც დადებით, აგრეთვე უარყოფით მხარებზე საუბრობენ.

ნობელის პრემიის ლაურეატები ამარტია სენი და მუპამად იუნუსი მოუწოდებენ მსოფლიოს ლიდერებს, გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც გლობალიზაცია გვთავაზობს და შეებრძოლონ სიღარიბეს.¹⁴ პროფესორმა სენმა განაცხადა, რომ არ შეიძლება გლობალიზაციის განხილვა, როგორც ცალსახ-

ად უარყოფითი მოვლენისა. ის, ვინც ამას აკეთებს, არ ითვალისწინებს იმ ახალ შესაძლებლობებს, რომელსაც ეს პროცესი იძლევა. მან ანტიგლობალიზაციას “ლოზუნგების კამპანია” უწოდა: “მე ანტიგლობალიზაციის მოწინააღმდეგე ვარ. მე მომხრე ვარ სათანადო შეფასდეს გლობალიზაციის, როგორც დადებითი, აგრძელებული უარყოფითი მხარეები.” თავის მხრივ იუნუსმა განაცხადა, რომ გლობალიზაციის პროცესი დღეს არასწორი მიმართულებით მიდის, რაღაც მისგან სარგებელს მხოლოდ ყველაზე ძლიერებით და მდიდრებით იღებს, დარიბების ინტერესებს კი კვლავაც არ ითვალისწინებენ. მან ხაზი გაუსვა, რომ გლობალიზაციის შეჩერება შეუძლებელია, ამიტომ უფრო შესაფერისი იქნება განვითარებისა და არასწორი მიმართულება და არასწორი მიმართულება და ვილაპარაკოთ მათ შორის არსებულ განსხვავებებზე.

მართლაც, იმის მრავალი არგუმენტი არსებობს, რომ გლობალიზაციას შეუძლია დადებითი შედეგები მოიტანოს. ის, შემოსავლების გაზრდით, საკუთრების უფლების დაცვით განვითარების დონის ამაღლებას უწყობს ხელს. ამასთან, იძლევა რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებას. მულტიეროვნული კორპორაციების გარდა ვაჭრობაში ყველა ზომის კომპანიები არიან ჩართულები. ბევრმა დარიბმა ქვეყანამ, რომლებმაც ვაშინგტონის კონსენსუსის პრინციპები მიიღო, ტარიფები დასწრა და ბაზრის ლიბელარიზაცია მოახდინა. შედეგად, ამ ქვეყნებში დასქმება და ეროვნული შემოსავალი გაიზარდა, კაპიტალმა იმპორტზე ორიენტირებული წარმოებიდან ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაზე გადაინაცვლა. დადასტურებულია, რომ უთანასწორობის დონე შემოსავლებში და მთლიანად სიღარიბე ნელ ნელა მცირდება (განსაკუთრებით თუ სიღარიბეს განვიხილავთ უფრო ფართო გაგებით ვიდრე მხოლოდ შემოსავლის დონეს). ამაში კი, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი გლობალიზაციას შეაქვს. ამავე დროს შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ის ქვეყნები უფრო დარიბდებიან, რომლებიც ნაკლებად ემხრობიან თავისუფალ ვაჭრობას.

როდესაც ლაპარაკია დარიბი ქვეყნების ეკონომიკაზე ლიბერალიზაციის გავლენაზე, ჩნდება კითხვა არის თუ არა თავისუფალი ვაჭრობა სამართლიანი და მომგებიანი მათვის? ამაზე

ვასუხის გაცემა არც თუ ისე აღვილია. თავისუფალ ვაჭრობას, კორუპციის აღმოფხვრის და ეფექტური მართვის გარეშე შეუძლია დამანგრეველი შედეგები მოუტანოს ბევრ დარიბ ქვეყნას, თუ ეს ქვეყნები საამისოდ მომზადებულნი არ იქნებიან.

ამავე დროს, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გლობალიზაციისგან პირველ რიგში დიდი სახელმწიფოები იღებენ სარგებელს. უნდა ითქვას, რომ რეალობა საპირისპიროს ამტკიცებს. ახალ მსოფლიო წესრიგში ზესახელმწიფოები გარკვეულწილად კარგავენ თავიანთ გავლენას (რაც საკმაოდ პარადოქსულია), საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერების, წარმოქმნილი გლობალური შეხდუდებისა და ეროვნული მთავრობების გავლენების გამო. პატარა ქვეყნების ბუნებიდან გამომდინარე ისინი უფრო მოქნილები არიან და უფრო მეტად შესწევთ უნარი შეგუონ საერთაშორისო ბაზრებზე მომხდარ ცვლილებებს. ასეთი ქვეყნები, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ფონგურენციას და ზეწოლას შევეუბიან, ეკონომიკური გლობალიზაციის რისკებისგან უფრო დაცულები არიან.

გლობალიზაციის სხვა შედეგებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: მულტიეროვნული კორპორაციების გავლენის გაზრდა ერი-სახელმწიფოების ხარჯზე და დასავლური მასკულტურის მიერ მსოფლიოს დაპყრობა.

პირველი საკითხი მჭიდრო კაშშირშია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა სახელმწიფოს უნარი (განსაკუთრებით პისტკოლონიურ სამყაროში) განახორციელოს ეროვნული ინტერესები, გლობალიზაციის და საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთდამკიდებულება და თავად გლობალურობის არსი. წშირად შეშეოთებას იწვევს, რომ ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური, ფინანსური და საგაჭრო ინსტიტუტები, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი არ არიან დემოკრატიულები. ისინი გადაწყვეტილებებს დახურულ კარს მიღმა იღებენ და ძირითადად ყველაზე განვითარებული ქვეყნების ინტერესებს ემსახურებიან, განსაკუთრებით კი შეერთბული შტატებისა, პარალელურად კი ასუსტებენ პატარა ქვეყნების სუვერენიტეტს. გლობალიზაციის მომხრები კი აცხადებენ, რომ ერი-სახელმწიფოებიდან არადემოკრატიულ საერთა-

შორისო ინსტიტუტებზე ქალაუფლების გადანაცვლებას ადგილი არა აქვს, რაღაც იგივე მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მაგალითს თუ განვიხილავთ, არცერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა მთავრობების კონსენსუსის გარეშე, რაც იმის გარანტია, რომ არც ერთი წევრი სახელმწიფოს ინტერესები არ იყო უგულვებელყოფილი. ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში ძალდატანება ჩვეულებრივი ამბავია. გაერთიანებული ერთის ორგანიზაციის მუშაობა ცხადყოფს, რომ ის უფრო ეფექტურად მოქმედებს როდესაც ეროვნული მთავრობები ძლიერები არიან და შიდა ინსტიტუტებიც საკმაოდ ჩამოყალიბებულია.

ათი წლის წინ იაპონელმა ეკონომისტმა კენიჩი ოპმაემ წამოაყენა საზღვრებსგარეშე ეკონომიკის¹⁵ იდეა, სადაც ერ-სახელმწიფოებს მეცნაროლისები შეცვლიდნენ, მსოფლიო კი ბაზრების ერთ მთლიან ქსელად გადაიქცევოდა. თუმცა, გლობალიზაცია არ ნიშნავს მაინცდამაინც ერი-სახელმწიფოების დასასრულს. ისინი ახლო მომავალში თვითით ტერიტორიებზე კვლევაც დარჩებიან გაცილებით ძლიერ მოთამაშებად, ვიდრე კორპორაციები. ერთი გაუებიან და ეწყობიან გლობალიზაციის გავლენას. თუმცა ეფექტურობა თვითონ ერის ისეთ მახასიათებლებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა შიდა ეკონომიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური პოლიტიკა და ქვეყნის შიგნით ძალით გადანაწილება. ასეთი შიდა ფაქტორები საერთაშორისო გარემოდან წამოსული ზექოლის შემცირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამავე დროს ძლიერ კორპორაციებსაც კი უწევთ მომზარებლების სურვილების და არჩევანის გათვალისწინება. ისინი სოციალურ მოძრაობებთან და არაკორპორატიულ გლობალურ ძალებთან, ისევე როგორ ეროვნულ პოლიტიკურ პროცესებთან ხშირად მარცხდებიან.

ანტიგლობალისტები აცხადებენ, რომ გლობალიზაცია ბოლოს მოუღებს კულტურულ განსხვავებებს და გამოიწვევს პომოვენიზებულ მასკულტურის და სამომხმარებლო ჩვევების (ამჟრიკული საკვებისა და პოლიტიკული ფილმების სიყვარული) ჩამოყალიბებას, რომელიც ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს მოემსახურებიან. სინამდვილეში კი ვთარება სხვაგვარია. იგივე კომუნიკაციური რევოლუცია,

რომელმაც გლობალიზაცია გამოიწვია, მრავალი სუბკულტურის შექმნის და განსხვავებული კულტურული ტრადიციების დაცვის კარგ ტექნოლოგიურ შესაძლებლობას იძლევა.

გლობალიზაციის პროცესი საქართველოში

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ან რა მოჰყვება გლობალიზაციას საქართველოსათვის, როგორც ემპირიულად იღენტიფიცირებად ტერიტორიისათვის, და როგორც კოპერუნტული და ეფექტური ერი სახელმწიფოსათვის? რა გავლენა აქვს გლობალიზაციას საქართველოზე?

ხშირად დასავლები სოციალური ან პოლიტიკური ტერმინები საქართველოს მსგავსი კონკრეტული ქვეყნისათვის მისადაგებისას უდიდეს სიფრთხილეს საჭიროებენ. ამის შესახებ ისეთი მოაზროვნენი, როგორიც იყო გუნარ მირდალი¹⁶ ათწლეულების წინ გაფრთხილებდნენ. გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, როდესაც იმგვარი მულტი-სეიანტიკური ტერმინი, როგორიცაა გლობალიზაცია, იხმარება ქართულ რეალობასთან მიმართებაში. ეს უმთავრესად ყურადსალები მნიშვნელობების სიმრავლის გამოა, მაგრამ აგრეთვე როგორ ფენომენების მარტივად ახსნის (გლობალიზაციის, ან სხვა რამის შედეგის სტატუსის მინიჭებით) არსებული ტენდენციითაცაა გამოწვეული. ამის ნაცვლად, უნდა განიხილებოდეს თუ გლობალიზაციის რა კონკრეტული ასპექტები იწვევენ ამა თუ იმ გართულებებს, და არსებობს თუ არა თანაბრად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ასევე მოქმედებენ.

ვინაიდან ქართულ რეალობაზე გლობალიზაციის გავლენის სიღრმისეული ანალიზი ამჟამად ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს, მინდა მოკლედ მიმოვინილო ის რამოდგნიმე სფერო, სადაც, როგორც ჩანს, გლობალიზაციის ძალები მოქმედებენ. თითოეული ამ საკითხისათვის მიხედვა საქართველოს მთავრობისა და ქართული საზოგადოების ამოცანაა, მაგრამ შემოთავაზებული მიღვიმა თავის მხრივ რისკის მართვას უკავშირდება. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ქართული ვითარება, მთელი რიგი ფაქტორების გამო, საქმარისად სპეციფიურია,

გლობალიზაციისაგან მოტანილი რისკი იგივეა, რაც წების-მიერი სხვა პატარა და ღარიბი, ტრანზიციის პროცესში მყოფი ქვეყნის შემთხვევაში. აგრეთვე იგივეა წნევები — იაფი იმპორტი ანადგურებს ადგილობრივ წარმოებას; შემოსავალთა უთანასწორობა ფართოვდება, მაშინ, როცა სიღარიბე კვლავ ნარჩუნდება, რასაც ეკონომიკურ პასიურობასა და მასიურ ემიგრაციამდე მიყევართ; დასავლური მასმედია და მასკულტურა ყველაფერს ფილტრავს და მივყავართ დაბალხარისხიანი მონოკულტურის დომინირებამდე; და ბოლოს, შრომის დაცვა და საარსებო სტანდარტები დაწეულია, ვინაიდან ქვეყანა ცდილობს უცხოური საინენსტიციო კაპიტალის მოზიდვას.

საერთაშორისო გაჭრობას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და კაპიტალის ნაკადებს, ერთის მხრივ, შესაძლებლობებისა და პოტენციური სარგებლის, მეორეს მხრივ კი დანახარჯებისა და რისკების შექმნა შეუძლია. მართალია, რომ საქართველო ტრანსაციონალური და სხვა უცხოელი ინვესტორების საქმიანობას, რომლებსაც ქვეყნიდან სიმდიდრის გატანის სურვილი ამოძრავებთ და საქართველოს ინტერესებით არ მოქმედებენ, მცირედ შეზღუდვებს უწესებს. ამავე დროს, ეკონომიკური გლობალიზაციისათვის მიერთება საქართველოს შანსს აძლევს. ჩვენთვის მთავარ პრობლემას გლობალიზაციისაგან მიღებული ზიანი კი არ წარმოადგენს, არამედ ის, რომ იგი შეიძლება მნიშვნელოვანწილად გამოაკლდეს გლობალიზაციის შედარებით სასარგებლო ასპექტებს. უცხოური კომპანიები, რომლებიც საქართველოში ინვესტიციებს დებენ, აქვე ქმნიან სიმდიდრეს; ისინი აგრეთვე ხერგავნ ახალ ტექნოლოგიებს, ცოდნასა და მართვის ტრადიციებს.

საქართველოს წინაშე კვლავ დგას სოციო-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც სოციო-ეკონომიკურ პოლიტიკას წნევის ქვეშ აქცევენ. სპეციფიური ვითარება, რომელიც საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს, არის ის, რომ იგი შრომატევად და დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაზე დიდადადა დამოკიდებული; აგრეთვე, ესაა კორუფცია და ბიუროკრატიზმი; მოსახლეობის მასიური გაღატაკება; საინვესტიციო კაპიტალის უკმარისობა. საჭიროა, რომ მთავრობამ, გლობალიზაციის გარე ძალებთან ერთად, ეს ფაქტორებიც გაითვალისწინოს.

თურქიულად, ვარაუდობენ, რომ მთავრობები, რომლებიც ავტორიტარული სტილისაკენ იხრებიან (როგორიცაა საქართველოში) და ექსპლუზიურად აკინტროლებენ როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას (რასაც ქატება სუსტი ოპოზიცია), სწრაფი რეფორმებისათვის ქმნიან შედარებით ეფექტურ და არა წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ინსტიტუციურ პირობებს; მზად არიან და სურთ დაანგრიონ ძეველებური მოწყობა და განახორციელონ რადიკალური ცვლილებები. თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველთვი ამან აგანტიურისტულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკამდე და სოციალური ინტერესების კომპერიობის მცდელობის უგულებელყოფამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ვინაიდან საქართველოს მმართველი წრების რაიმე თანმიმდევრულ სტრატეგიულ ხედგზე საუბარი ჯერჯერობით მნელია, შეიძლება დაგასკვნაო, რომ ზოგადადაც და ფორმალურადაც მთავრობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რჩევებს მისდევს, განსაკუთრებით კი „გაშინგტონის კონსენსუსის“ კლასიკურ პრინციპებს. მაგრამ ამას აკეთებს რაღაც დამახინჯებული ფორმით, ცდილობს რა შეინარჩუნოს მთავრობის მარკეტინგში ჩართულობა არა მხოლოდ სტრატეგიული ეკონომიკური გადაწყვეტილებებით, არამედ პოლიტიკის ისეთ სფეროებში ჩარცენით, სადაც ამის საჭიროება საკამაოთა.

საქართველოს გარე სამყაროს წინაშე გახსნა არის ნაწილი უფრო ზოგადი ცვლილებისა, რაცაა თავისუფალი ბაზრისა და კერძო წამოწყებებისადმი ნდობის ზრდა. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო მთავრობის ეკონომიკაში ძლიერად ჩარცენის აშკარა მარტბმა და დისკრედიტაციამ, რომელიც საქართველოს საბჭოთა წარსულს ახასიათებდა. მართალია სამთავრობო პოლიტიკამ ქვეყნაში ბიზნეს კლიმატის მნიშვნელოვან გაუმჯობესებამდე მიგვიყვანა, მაგრამ ყოველთვი ეს რისკებისა და გარკვეული უგუბროცესების გარეშე არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვარ კომპეტენტური რომ ეკონომიკაში „დოლარიზაციასთან“ დაკავშირებულ მაკროეკონომიკურ რისკებსა და მოწყვლადობაზე ვიღაპარაკო, რაც გაცვლითი კურსის მერყეობით ან მაღალი უცხოური გალის შედეგებითა გამოწვეული¹⁷,

ნათელია, რომ პრივატიზაციიდან შემოსული უცხოური გალუტა მცირდება და ფისკალური დეფიციტი სხვა გზით დაფინანსებას საჭიროებს. ასეა თუ ისე, მასიური სიღარიბის უცვლელობა ნამდვილად იწვევს შეშფოთებას და რეაგირებას მოითხოვს.

საქართველო უაღრესადაა დაინტერესებული შემდგომი საყვრო ლიბერალიზაციით, განსაკუთრებით სოფლის მურნეობაში. ეს იძ შემთხვევაში თუ ლიბერალიზაცია, განსილი დასავლური ბაზრებითა და გაზრდილი ექსპორტით, სარგებელსაც მოიტანს და არა მხოლოდ ადგილობრივი მწარმოებლების შევიწროვებას. გადასახადები ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვნად უნდა იყოს დაკავშირებული პოტენციურ დანაკარგებთან და რისკებთან. შეიძლება საკამათოა, რომ გაზრდილი საერთაშორისო „ლიაობა“ გაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობისადმი შედარებით პატარა „ლია ეკონომიკები-სათვის“ სასარგებლოა, როგორადაც შეიძლება რომ საქართველო დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდეს. ასეა თუ ისე, ძალიან დია და ფაქტიზი ეკონომიკები¹⁸ უფრო მეტად არიან დაუცველი საერთაშორისო შოკებისა და კრიზისების წინაშე და მითუმეტეს უნდა განვითარონ ამ მოულენათა პოტენციური მსხვერპლებისათვის მდგომარეობის შესამსუბუქებელი საშუალებები.

დღევანდელი, შედარებით ნაკლებად სტაბილური ვითარების პირობებშიც კი, გაუმჯობესებადი ბიზნეს კლიმატი პირველ რიგში უცხოელი ინვესტორებისთვისაა სასარგებლო, მაშინ, როცა მცირე ადგილობრივი საწარმოებს კვლავ მიაჩნიათ, რომ მათ ნაკლებად ქმარებიან და იცავენ, როგორც შიდა წნებისაგან, ასევე უცხოური კონკურენციისგანაც. ამავე დროს, დღეისათვის, ანგარიშგასაწევ უცხოელ ინვესტორთა იშვიათობა, საყარაულო ქართული ბაზრის პატარა ზომებითა და ქვეყნის სარისკოდ მიჩნევითაა განპირობებული¹⁹ (როგორც რამდენიმე წამყვანმა კორპორაციამ აღნიშნა). პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის სოლიდურ გამოცდილებას, გაძლიერებულ საკუთრების უფლებას, გაუმჯობესებულ ბიზნეს კლიმატს, ისევე როგორც შემცირებულ კორუფციასა და ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს, შეუძლიათ ქართული ბაზარი

უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახადონ — განსაკუთრებით მათთვის, ვისაც რეგიონალური ინტერესები აქვთ.

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ყველაფრის უბრალოდ გლობალურ ბაზარზე გამოტანა შეუძლებელია, ვინაიდან არა კონტროლირებადი საბაზრო ძალები, უფრო მეტად გამოკვეთებ უთანასწორობას იმის ნაცვლად, რომ შეამცირონ იგი, როგორც ეს საქართველოში ხდება. არსებობს გარკვეული სამთავრობო ჩარევის საჭიროება, იმისათვის, რათა ეკონომიკური განვითარება სასურველი გზით წარიმართოს, კერძოდ კი განვითაროს დაზარალებულთათვის მდგომარეობის შემამსუბუქებელი მექანიზმები.

სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკას უკავშირდება გარკვეული მიმართებები, რომლებიც საბაზრო ლიბერალიზაციისა და ზოგადად გლობალიზაციისაგან განიცდიან გავლენას²⁰. სანამ მეტი ლიაობით განპირობებული ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებით სარგებლობენ, პოლიტიკოსების წინაშე დგას საზოგადოების ყელაზე დაუცველი ფენებისათვის რისკების შემსუბუქების გამოწვევაც; აგრეთვე პრობლემა უთანასწორობისა და შემოსავლებს შორის უფსკრულის ზრდაც²¹. უპრიანია, აგრეთვე, მკვეთრი საბაზრო ლიბერალიზაციის ფუნქციონირების შეფასებაც, არის თუ არა სხვა ფაქტორები, დერეგულაციისა და მოქნილი მრომითი ბაზრების გარდა, რომლებიც ინვესტორებს იზიდავს? განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ შრომითი კანონმდებლობა, რომელიც, არის რა სრულიად პრობიზნესური, სამუშაო ძალას, მისი ორგანიზაციული (პროფესიონალური) სისტემისა და ისეთი დამცავი ინსტიტუციური მექანიზმების არარსებობის გათვალისწინებით, როგორიცაა ეფექტური სასამართლო, ტოტალურად დაუცველს ტოვებს. ამიტომ მომუშავეთა შორის ფართოდ გავრცელებული სიღარიბე და შემაშფოთებელი უთანასწორობა საქართველოსათვის კვლავ დამახასიათებელი დარჩება და საზოგადოების პარმონიზაციის დროულად მიღწევას ნაკლებად შესაძლებელს ხდის. გრძელებადიან პერიოდში, ეს განვითარებისთვის სერიოზულ დარტყმად გადაიქცვა.

ეკონომიკასთან ერთად, გლობალიზაციას გარკვეული გავლენა აქვს საქართველოს სახელმწიფოსა და დემოკრატიის შენებლობაზეც. უკვე კარგადაა ცნობილი, რომ გლობალიზაციას როგორი ურთიერთობა აქვს ეროვნულ სახელმწიფოსთან და, გარკვეული ვითარებების შემთხვევაში, თვით სუვერენიტეტიც კი შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს. გლობალიზაცია ქმნის ახალ ადგილობრივ კულტურულ იდენტურობებზე და ეს ხდება ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოცოცხლების ფონზე. ამავე დროს, თუკი სწორად იქნება მიმართული, ეს ტენდენციები შეიძლება საქართველოს სახელმწიფოსათვის სარგებლის მომტანადაც შემობრუნდეს, თუკი შეინარჩუნებს სიმდიდრეს მულტიკულტურალიზმის თვალსრისით და ხელს შეუწყობს არსებულ პრობლემებთან გასამკლავებლად ეფექტური და ცივ-ილიზებული გზების განვითარებას.

ასევე დემოკრატიზაციის პროცესთან მიმართებაშიც. გლობალიზაცია აწესებს უნივერსალურ სტანდარტებსა და ღირებულებებს, რომლებსაც დასავლეთთან ინტეგრირების მსურველი წებისმიერი საზოგადოება უნდა მისდევდეს. გარდა იმისა, რომ ზრდის საერთაშორისო დახმარებას, იგი აგრეთვე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენის საჭიროებასაც აჩენს. შესაბამისად, იგი იცავს პოლიტიკურ პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას, ვინაიდან ცოდნის გაღრმავები, გაძლიერებისა და საჯარო მონაწილეობის შესაძლებლობებს აჩენს.

გარდა იმისა, რომ ზრდის ემიგრაციასა და ინტელექტის გადინებას, გლობალიზაცია აგრეთვე ქმნის ახალ დასპორებთან მუდმივი კონტაქტის საშუალებასაც. გარდა ამისა იგი ქმნის სარგებლის მიღების შესაძლებლობას არა მხოლოდ მასიური ფულადი გზანილებისაგან, რომლებსაც ეკონომიკური ემიგრანტები უკან აგზავნიან, არამედ აგრეთვე ცოდნის, უნარებისა და კავშირების მოდინებისაგანაც.

რაც საქართველოს სჭირდება, ესაა ყველა ლიდერის თანმიმდევრული და სტრატეგიული მიღომა იმ შესაძლებლობებისა და რისკებისადმი, რომლებიც გლობალიზაციას მოაქვს. ყველაზე შესაფერისი სიტყვა აქ „რისკის შენეჯმენტი“ იქნება,

ვინაიდან სწორედ ესაა, რაც უნდა გაკეთდეს. შესაძლებლობების ამომწურავი ანალიზი და პოტენციური რისკების შეფასება იქნება ბაზისი სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავებისათვის. მხოლოდ ამგვარი პროცესების მეშვეობით იქნება შესაძლებელი გლობალიზაციისაგან მიღებული სარგებლის მაქსიმიზაცია და მნიშვნელოვანი დანაკარგების მინიმიზაცია.

შზარდი საერთაშორისო იძულების შერწყმა შიდა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის ახალ სტილთან ქართულ საზოგადოებას სულ უფრო და უფრო მეტად იძულებს ფქვი აუწყოს გლობალიზაციის ტენდენციებს. გლობალიზაციასთან ურთიერთობა გარემოსთან თამაშს გავს, ანუ ისეთ^რამეს, როგორიცაა გლობალური დათბობა ან ოზონის ხვრელი, რომლებზედაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მხოლოდ გლობალური ძალისხმევის მეშვეობითაა შესაძლებელი. ისეთი პატარა ქვეყნის გადმოსახედიდან, როგორიცაა საქართველო, გლობალიზაცია ის არის რაც არის და არ არსებობს მისი შეჩერების ან შეცვლის გზაც კი. ყველა ადგილობრივი და რეგიონალური პროცესი მასთანაა დაკავშირებული. მაგრამ, სანამ გლობალიზაციაზე გლობალური მასშტაბით ზეგავლენის მოხდენის მცირე შესაძლებლობა არსებობს, ადგილობრივი განვითარება ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკებსა და მიღომებზე. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის დადანაშაულების ან განდიდების ნაცვლად, უმჯობესია მისი გათვალისწინება და იმ ცვლადების მეშვეობით მუშაობა, რომლებზე ზეგავლენის მოხდენაც შესაძლებელია.

შენიშვნები:

¹ ციტირებულია თომას ფრიდმანი. *The Lexus and Olive Tree*, Harper Collins, London, 1999, p. XIII.

² „სიღარიბის აღმოფხვრის გლობალური ძალისხმევა“ მათ მანტრად იქცა. ნებაყოფლობით ორგანიზაციებს, საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს და გაერთს, კონფლიქტების დარგში მოქმედებებისათვის და წინააღმდეგობრივი საკითხების გამოაშერავებისათვის, უფრო მეტი ლგვიტიმურობა მიენიჭათ. მანტრა ისევ და ისევ მეორდება და ამგვარად, მრავალ ქვეყნაში, სადაც სიღარიბე პოლიტიკური დღის წესრიგის შემადგენელი

ნაწილია, პროცესის დასაჩქარებლად გამოიყენება, მაშინ როცა დონორები და ფონდები ზრდიან სიდარიბის შემცირებისაკენ მიმართული ზომებისა და კვლევების დაფინანსებას. არსებობს იძელი, რომ საგენტოები უკან მოიტოვებენ მანტრის სტადიას და ხელს შეუწყობენ ცოდნაზე დამყარებული და რეალისტური ჩარჩოს შექმნას უფრო უფრეჭური დარიბთა მხარდასაჭირო პოლიტიკისა და მათი შედეგებისათვის. Else Oyen,. *The politics of poverty reduction*, International Social Science Journal, December 1999.

³ The World Bank. PREM Economic Policy Group and Development Economics Group. April 2000. <http://www.worldbank.org/economicpolicy/globalization/ag01.html>

⁴ “მსოფლიო, იმის მაგივრად, რომ ალექსანდრის დიდ ბიბლიოთეკას დაქმსაგებოს, ერთ დიდ კომპიუტერად გადაიქცა, ელექტრონულ ტერიტორიაზე, ზუსტად ისე როგორც საბავშვო სამეცნიერო ფანტასტიკებშია. მაშინ, როდესაც ჩვენი არსობები ნელნელა ჩვენს გარეთ იქცება, „უფრო და უფრო აღწევენ ჩვენში. ასე რომ ამ დინამიკის გაუცნობირებლობა ჩვენ შეიძლება ერთ შევენირ დღეს ისეთი შიშის ტერორში ჩაგავდოს, რომელიც ზედმიწევნით შეეფრება თემური ტამტამებით შექმნილ ვიწრო სამყაროს, ტოტალურად ურთიერთდამოკიდებულსა და ზევადაჯაჭვულს. [. . .] ტერორი ნორმალური მდგომარეობაა ნებისმიერი საზოგადოებისთვის რომელიც ზეპირისიტყვიერებას ეყრდნობა, რადგან ასეთ საზოგადოებაში ყველავერი მუდა ყველაფერზე აზდენს ზევალენას. [. . .] მას მერე, რაც ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში კცდილობით დასავლური სამყაროსთვის დაგვებრუებებია (ზელახლა აღმოგვეჩინა) მგრძნობარობისა და აზრის და აღქმის ერთიანობა, ჩვენ არა ვართ მხად ამგვარი ერთიანობის ტრაიაბლურ შედევებთან შესაგუებლად, ზუსტად ისევე, როგორც არ ვიყავით მხად აღამიანური ფიქის ფრაგმენტაციისთვის რომელიც ბეჭდვითმა, წერილობითმა კულტურამ წარმოქმნა. ” Marshall McLuhan. *The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man*. 1st Ed.: Univ. of Toronto Press; 1962 (reprinted by Routledge & Kegan Paul ISBN 0-7100-1818-5). p. 32

⁵ Nettl, J.P. and Ronald Robertson (1968). *International Systems and the modernization of Societies*. New Yourk: Basic. Robertson, Ronald (1991). *The globalization Paradigm: Thinking Globally*. pp. 207-224 in: *Religion and Social Order*: Greenwich: JAI Press.

⁶ Immanuel Wallerstein (1974). *The Rise and Future Demise of the World Capitalist System: Concepts for Comparative Analysis*. Comparative Studies in Society and History 16: 387-415.

⁷ Theodor Levitt. *Globalization of markets*, harvard Business Review, 1983.

⁸ ტერმინი წარმოდგინა ჯონ წილიამსომა: J. Williamson (1990). *What Washington Means by Policy Reform*. In J. Williamson, ed, *Latin American Adjustment: How Much Has Happened?* Washington, D.C. Institute for International Economics. აგრეთვე იხილეთ: J. Williamson. *What Should the World Bank Think About the Washington Consensus*. Institute for International Economics, Washington D.C. July 1999.

⁹ ციტატა მოყვანილია კრისტოფერ შეილისაგან: Introduction in: *Globalization: Australian Impacts* (UNSW Press, Sydney, 2001).

¹⁰ All Headline News: Amartya Yunus for Utilizing Globalization Potentials. December 27, 2006.

¹¹ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის სამიტის დროს გამართულ საპროტესტო აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ეჭირა სასაცილო აბრა წარწერით „შეუერთდით მსოფლიო მოძრაობას გლობალიზაციის წინააღმდეგ.“

¹² როგორც ჯოზეფ სტიგლიცმა დაწერა ნაშრომში “Making globalizacion work”: განვითარებულ ინდუსტრიალ სახელმწიფოებში უთანასწორობის ზრდა, როგორც გლობალიზაციის შედეგი დიდი ხნის წინ იყო ნაწინასწარმეტყველები, თუმცა ამაზე ხმირად არავინ ლაპარაკობდა. სრული ეკონომიკური ინტეგრაცია ნიშნავს არაკეთილიფიციური მუშახელის ხელფასების გათანასწორებას მთელს მსოფლიოში და მიუხედავად იმისა, რომ სრულ ინტეგრაციამდე ჯერ კიდევ შორს გართ ხელფასების მკვეთრი შემცირება უკვე სახეშეა“

¹³ იგვე სტიგლიცის აზრით „მართლაც მე ისე ხმამაღლა კლაპარაკობდი გლობალიზაციით გამოწვეულ პრობლემებზე, რომ ბევრმა არასწორად მიმჩნია ანტიგლობალისტად. მაგრამ მიმაჩნია რომ გლობალიზაცია უამრავ შესაძლებლობას ქმნის, თუკი სწორად მოხდება მისი მართვა“

¹⁴ Public debate “Towards an Inclusive Globalisation”, organised by Centre for Policy Dialogue at the Brac Centre Inn in Dhaka. The Daily Star (Bangladesh). December 27, 2006

¹⁵ Kenichi Ohmae *The End of the Nation State. The Rise of Regional Economies*. 1996

¹⁶ “როდესაც ახალი მონაცემები გროვდება, ხმარებაში მყოფი კონცეპტუალური კატეგორიები უკარგისია არსებული ვითარების აღსაწერად: ასე ხდება, მაგალითად, როდესაც სამხრეთ აზიის ქვეყნებში შრომითი რესურსების გამოუყენებლობის ანალიზი ეყრდნობა უმუშევრობის, ფარული უმუშევრობისა და არასრული დასაქმების დასავლურ კონცეფციებს. შედეგად მიღებული ციფრების

მთებს ან საერთოდ არ აქვთ მნიშვნელობა, ან სხვა მნიშვნელობა აქვთ და არა ის რაც მათში იგულისხმება. სწორედ ის ფაქტი, რომ მკვლევარი იყენებს ციფრებს ტენდენციების დასადგენად, ასაბუთებს მისეულ სუბიექტურ მიდგომას.... მონაცემთა შეგროვების მიკრძოებული მნიშვნელობებით გაგრძელება მზოლოდ გვაშორებს იმ დღეს, როცა რეალობა შეძლებს ეფექტურად დაუპირისპირდეს მექანიზმებით მიღებულ ცრურწმენებს“.

Gunnar Myrdal. *Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations*. Pergamon Books, 1968

¹⁷ “2005 წლის ბოლოს საქართველოს საგარეო გაცვლების მოლიანგა დავალიანებამ შშპ-ის 60 პროცენტი შეადგინა, რომლის ნახევარი სახელმწიფოს საგარეო დავალიანებაა. საქართველოს ეროვნული ბანკი და საბანკო სისტემა შშპ-ის 7 და 15 პროცენტის შესაბამის უცხოური გალუტის აქტივებს ფლობებს.“ Andreas Billmeier & Johan Mathisen. *Analyzing Balance-Sheet Vulnerabilities in a Dollarized Economy: The Case of Georgia*. IMF, WP/06/173. 2006.

¹⁸ Paul Hirst. *Can the European Welfare State Survive Globalization?* University of Wisconsin-Madison, 1998

¹⁹ არის რა მაღალი სისტემური რისკის ფაქტორის მქონე ქვეყანა, რაც პირველ რიგში კორუფციის მაღალი დონითა გამოწვეული, საქართველოს საინვესტიციო მიშნიდველობა დაბალია. მიუხდაგად ამისა ბაქო-თბილისი-ჯეოპანისაფონდის პროექტისა და მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება ინვესტიციათა ენერგიის სექტორის მიღმა გავრცელებისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ამ მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. ქვეყანამ, რომელმაც პოსტურულური ცვილებებისას დემოკრატიული დირებულებები ოფიციალურად გამოაცხადა პრიორიტეტულად, მეტი ნდობა მოიპოვა. Vladimer Papava. *Comparative Advantages of the Central Caucasian Countries: Potential, Realized, and Missed Opportunities. Central Asia and the Caucasus*. Lulea., Sweden. Vol. 1 (1) 2006.

²⁰ ჯონ გრეი ათი წლის წინ წერდა საკოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გაქრობაზე, როგორც გლობალიზაციის პირდაპირ ეფექტზე. „რომ წარმოვიდგინოთ, რომ წარსულში სოციალური საბაზრო ეკონომიკები ხელშეუხებლად შეძლებენ თვითგანახლებას და ჰარმონიზაციას, ყველაზე საშიში იღუზიაა გლობალურ ბაზართან დაკავშირებულ იღუზიებს შორის. ამის ნაცვლად, სოციალური საბაზრო სისტემები პროგრესულად არიან იძულებულნა მოახდინონ თავიანთი თავის დაშლა, ისე, რომ მათ უფრო თანაბრად შეძლოთ კონკურენციის გაწევა ისეთი ეკონომიკებისათვის, რომლებშიც გარემოსდაცვითი, სოციალური და შშრომელთა დანახარჯები

უდაბლესია. J. Gray. *False Dawn - The Delusions of Global Capitalism*, Granta Books: London 1998

²¹ მრავალი ექსპერტი ამტკიცებს, რომ პატარა, ძალიან დია ქვეყანას შეუძლია კორპორატივისტული ეკონომიკური პოლიტიკა შეუხამოს სოლიდარულობის ტრადიციას და გამონახოს კონსენსუსი ორგანიზებულ საზოგადოებრივ ინტერსებსა და კეთილდრეობის მაღალ დონეებს შორის, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის დაცულობა გარედან მომავალი რისკებისაგან. See e.g. Peter Katzenstein. *Small States in World Markets: Industrial Policy in Europe*. Ithaca: Cornell University Press, 1985

მემარცხენები, გლობალიზაცია და გამოწვევები

გია არგშიძე

მემარცხენობა დასაკლეთის პოლიტიკურ დისკურსში დაკავშირდებულია ან მიგვითოთებს პოლიტიკური სპექტრის ნაწილზე, რომელიც ასოცირდება მემარცხენე რადიკალიზმის სხვადასხვა ხარისხის გამოვლინებებთან:

სოციალ - ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი, მარქიზმი¹, მწვანები, ანარქიზმი, სოციალური დემოკრატია, ლიბერალობა და ლიბერალები (ამერიკა), გალიტარიანიზმი, პოსტმოდერნიზმი, ინტელექტუალიზმი, უემინიზმი, ანტისექსიზმი, პაციფიზმი, ღიაობაიზმი, პროგრესივიზმი, რელატივიზმი, ისტორიიზმი, სოციალურ მეცნიერებები და ანტიგლობალიზმი.

ეს განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთ გამომრიცხავი შეხედულებები ცხადია, რაიმე ერთგვაროვან სისტემას არ წარმოადგენ. ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარია, რა უნდა აერთიანებდეს მათ მემარცხენებასთან ან ერთმანეთთან, მაგ.: მარქისიზმს, სადაც პოლიტიკა ემირჩილება სოციალურ - ეკონომიური ხასიათის ე.წ. ობიექტურ, ისტორიულ კანონებს, რელატივიზმთან ან ისტორიიციზმთან, რომელებიც მის ჭყშმარიტებას ან მარადიულობას უარყოფენ? ნიცშეს, რომლის არაეგალიტარულ სწავლებაზე უკიდურესი მემარჯვენები საკუთარ პოლიტიკურ დოქტრინას აფუძნებდნენ? პაიდეგერს, რომელიც ნაცისტი იყო?

ეს გარემოება, მოდერნული და პოსტმოდერნული აზროვნების წინააღმდეგობრივი ნაყოფია. მისი ახსნის მცდელობა რომოდენიმე გვერდზე გამორიცხულია და ამდენად ამოცანას არ წარმოადგენს. ორიოდე სიტყვით, იდეების გამემარცხენება ხდება მათი ეგალიტარიანული ტრანსფორმაციით ან წინასწარი დესტრუქციით, შემდგომი რეკონსტრუქციისათვის მარცხენა მხრიდან.

მოკლედ თუ ვიტყვით, მემარცხენების და უკლებლივ ქველა ამ იდეის საერთო მახასიათებელი, მათი გამაერთიანებელი ბურჟუა - მოძულეობაა². ტერმინი მგონი რუსომ გამოიგონა და ლიბერალურ - კონსტიტუციური, მოდერნული³ რეჟიმის (ლოკა) “ახალ ადამიანს” ევროპაში ბურჟუა დაარქეს. ევროპული ნიკილიზმი იქიდან მომდინარეობს, რომ ცხოვრებაც აღარა ღირს, რადგან დაამარცხა რა ალტერნატივები - იდეალიზმი, რომანტიზმი, ისტორიიციზმი და მარქსიზმი - ბურჟუაშ გაიმარჯვა და მომავალი მას ეკუთვნის. იგი ინარჩუნებს ხევატიურ აზრს, რომელსაც ყველაზე მეტი სახელი მემარცხენებმა, მარქსმა და მარქსისტებმა მოუხვეჭს. არავის არ უნდა ბურჟუას გავდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი დღეს ნაკლებადაა ხმარებაში. რუსთა ამ ფენომენით მოდერნული აღამიანის კონდიციას იყვლებს და მისი აჯად ყოფნის დიაგნოზს ადგენს. მისთვის ბურჟუა ორ საპატიოცემულო ექსტრემუმს, ბურგებრივ ადამიანს და მორალურ მოქალაქეს შორისა გამოკვებული. ეს ცნება საქართვისი აღმოჩნდა მემარცხენე და მემარჯვენე თვალსაზრისის გაჩენისა და ორივე მხრიდან რეეოლუციის ლეგიტიმაციისათვის. ლიბერალური დემოკრატიის ფარგლებში, თითქმის ყველა სახეობის რეფორმის მიზანი, ძირითადად მისი მოტივაციების კორექტირება და კონტრბალანსირება.

ბურჟუა - მოძულეობა არამარტო ბურჟუების, არამედ უკვე ორას წელზე მეტია ამერიკის იძულვილს განაპირობებს. ეს უფრო მკეთრად კულტურული მოვლენა (ევროპული), ვიდრე ამერიკული⁴, რადგან თუ ამერიკა ლოკის მოდერნიზმზეა დაფუძნებული, ევროპა კულტურულ - ისტორიული ხედვითაა გამსჭვალული, რომელთა პიონერები არაინ რუსთა და კანტი.

ესაა საფუძველი, როცა მემარცხენე - ინტელექტუალი, მაგ. პაბერმასის ან უმბერტო ეკოს მაგვარი ან ამ საკითხში მათ საერთო ჭყუაზე მყოფი მავნი აცხადებს, რომ ევროპის პოლიტიკური კულტურა ამერიკისას აღემატება, ან ამერიკულები ისტორიის გრძნობის ნაკლებობით გამოირჩევიან. სხვა სიტყვებით, იმას გვეუბნება, რომ ამერიკელი ბურჟუაა უფრო დახვეწილ, ამაღლებულ - გლამურულ ევროპელთან შედარებით. ხშირად ვერ ამჩნევთ ამერიკული პოლიტიკის უაირატესობებს, ევროპული პოლიტიკის სისუსტეს ამერიკულთან შედარებით

და ზოგჯერ მის სრულ არააღეგგატურობას. მიაჩნიათ, რომ ვეროპული პოლიტიკა აღემატება ამერიკულს, ვინაიდან მათი აზრით, ვეროპა აღემატება ახალგაზრდა ამერიკას თავისი მდიდარი კულტურითა და ისტორიით, პრინციპით “ყველა ერს ის მთავრობა ყავს რასაც იმსახურებს”, “რაც კულტურაა, ის პოლიტიკაა” ან “რაც ისტორიაა, ის პოლიტიკაა”. ამგვარი ხალხის კულტურულ “მსოფლმხედველობაში” შეღწევის “ხარისხის”, ან პირიქით ამ იდეის მათ გონიერაში შემოღწევის საილუსტრაციოდ შესაძლოა შემდგენ ამბავი გამოდგეს: ერთხელ, როცა საუბარში განვაცხადე, რომ ამერიკული პოლიტიკური რეჟიმი ვეროპულებზე უკეთესია, რადგან უფრო სამართლიანია, ქართველი ინტელექტუალისგან პასუხად მოიღე: მაშინ დღევანდელი ვეროპული ლიტერატურა რატომაა უკეთესი ამერიკულზე? ასეთი მსჯელობით კულტურა და ისტორია აღემატება პოლიტიკას. შესაძლოა გაცნობიერების გარეშეც, მიაჩნიათ, რომ პოლიტიკა არც ავტონომიურია და არც დამოუკიდებელი, არამედ კულტურაზე, ისტორიაზე ან სოციუმზეა დამოკიდებული და მათი ერთ-ერთი უბრალო ნაწილია. პოლიტიკის განმეორებავი, საერთოდ ყოვლისმომცველი “კულტურის” და ბურუუა – მოძულეობის წინა ისტორია მაშინ დაიწყო, როცა მაკაველმა იერიში მიიტანა და უარყო ტრადიციული მიდგომები. ითვლებოდა, რომ ადამიანი სიკეთისაკენ, მაშასადამე საერთო სიკეთისაკენაც ბუნებრივად მიისწრავის, ხოლო ბოროტებას გაურბის. ასეთ შემთხვევაში, მორალი ბუნებრივად თანდაყოლილია, იგი სულის დამახასიათებელი სუბსტანციური ძალაა, რომელიც ასეთია იმის მიუხედავად, თუ რამდენად ეფექტურია ის როლი, რომელსაც იგი პოლიტიკურ - საზოგადოებრივ საქმიანობაში ასრულებს. მაგალითი პოლიტიკური ამოცანის გადასაჭრელად, კარგი ცხოვრებისა და სამართლიანობის იოლად დამკვიდრების მიზნით ამას შემდგენ არგუმენტებით უარყოფს: სათხო ცხოვრება, მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რადგან სათხოება ადამიანში ადამიანებმა უნდა აღზარდონ. ადამიანები სათხოებას კანონმა, განათლებამ და ა.შ. უნდა მიაჩიოს, ე.ო. აღზარდოს. მაგრამ აღმზრდელებიც ხომ აღსაზრდელია? და თავდაპირველი ამზრდელებიც ხომ დამფუძნებელი ხომ აღზრდილი ვერ

იქნებოდა? რომის დამფუძნებელი ძმის მკვლელი იყო. დასკვნა: მორალი შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ კონტექსტში, რომელიც მისი შექმნილი არაა, რადგან მორალი თვითომარი (თავის თავის მიზეზი) და თვითშემოქმედი არაა. კონტექსტი, რომელშიაც მორალი იმყოფება, ამორალური წარმოშობისაა. მორალი ეფუძნება ამორალურს, სამართლიანობა უსამართლობას, ხოლო მთელი კანონიერება, ეფუძნება რევოლუციურ საწყისს. ადამიანი თუ სიკეთისა და სათხოებისაკენ მიისწრავის, ეს არაა ბუნების დამასახურება. ასე, რომ იყოს, სინდისის ქეჯნა უდიდესი უბედურება იქნებოდა, როცა ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ თურმე იმედგაცრუება ქეჯნაზე არაა კლები განსაცდელია. ამდენად, შეუძლებელია საზოგადოებრივი სიკეთის, კეთილდღეობის სათხოების ტერმინებში გამოხატვა. პირიქით, სათხოება უნდა გამოიხატოს კეთილდღეობის ტერმინებში. ამით მთლიანად წყდება კავშირი პოლიტიკასა და ბუნებით კანონს ან ბუნებით სამართლს, ანუ იმ სამართლიანობას შორის, რომელიც ადამიანური თვითონებობის გარეშე მოიაზრებოდა. მაკიაველურმა რევოლუციამ თავისი სრული ძალა მხოლოდ მაშინ შეიძინა, როცა ეს კავშირი აღდგა და ორივე, სამართლიანობა და ბუნებითი კანონი ისევ მაკიაველური სულისკეთებით იქნენ გაგებული. მოდერნული პოლიტიკის ყველაზე წარმატებული ვარიანტის ავტორები (პობსი, ლოკი) შეეცადნენ კლასიკური ფილოსოფიის მიერ ჩაყრილ საფუძველზე, მაგრამ მის მიერ აღმართული სტრუქტურის საწინააღმდეგოდ, აეშენებინათ ისეთი საზოგადოება, რომელიც ჰქონდა აღმართებითა და სამართლიანობით იმ საზოგადოებაზე აღმატებული იქნებოდა, რომლისკენაც კლასიკური ავტორები მიისწრავიდენ. ახალი პოლიტიკის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ იმუამინდელი და საერთოდ ადამიანური სიტუაცია, რომელიც არასამართლიანად მიაჩნდათ და, რომლის გამოსწორებასაც ცდილობდნენ, არსებითი მიზეზებიდან - ადამიანის ბუნების და საგანთა ჰქონდარიტი არსიდან - კი არ გამოდინარებდა, არამედ შემთხვევის, კერძოთ პოლიტიკური სისტემის არასწორება აგების შედეგი იყო. ეს პოლიტიკური პოლიტიკი მიზნად ისახავდა საკუთარი ბუნებისგან და სხვა მჩაგვრულებისაგან ადამიანის განთავისუფლებას. ავტორები, სხვა დანარჩენ “განმანათლებლებთან“ ერთად მოელოდნენ, რომ პოლიტი-

ტის განხორციელებისა და საზოგადოების განათლების პროგრესის შედეგად, შემთხვევის მართვა და სიტყვის სრული თავისუფლება შესაძლებელი გახდებოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ჭეშმარიტებას ყველა ისე გაიგებდა, რომ ეს მათ სიკეთეს მოუტანდა და არა ბოროტებას.

თუ კი პობსამდე ბუნებითი კანონი ესმოდათ ადამიანური მიზნების იერარქიის თვალსაზრისით, სადაც თვითგადარჩენას უმდაბლესი ადგილი ეკავა, პობსი ბუნებით კანონს შხოლოდ თვითგადარჩენის ტერმინოლოგიით მოიაზრებს. ამასთან დაკავშირებით, დაიწყო ბუნებითი კანონის თვითგადარჩენის ისეთ უფლებად მოაზრება, რომელიც განსხვავდება ნებისმიერი გალდებულებისა და მოვალეობისაგან. როცა ადამიანის უფლებებით ბუნებითი კანონი ჩანაცვლა, ამ თეორიამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია (ბუნება ადამიანმა შეცვალა, კანონი უფლებებმა). უკვე თვით პობსთან, თვითგადარჩენის ბუნებითი უფლება მოიცავს “სხეულებრივი თავისუფლების” უფლებას და არსებობის ისეთ პირობებს, რომ ადამიანი ცხოვრუბისაგან არ დაიღალოს. ეს ძალიან გახს ლოკის სწავლების ძირითად ღერძს – წყნარი თვითგადარჩენის უფლებას: თვითგადარჩენისათვის საჭიროა არა იმდენად თოფი და ტყვია - წამალი, არამედ საკუთხი, ანდა საერთოდ საკუთრება. ამდენად თვითგადარჩენის სურვილი გადაიქცა საკუთრების განუსაზღვრელი მოპოვების უფლებად. ასე, მივიღნენ აზრობან, რომ სრული თავისუფლების აუცილებელი და საკმარისი პირობები საყოველთაო მშვიდობა და სიუხვეა. შედეგად, ეკონომიკის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. საბოლოოდ, პროექტში გამოიკვეთა აზრი, რომ საყოველთაო სიუხვე და მშვიდობა სამართლიანობის აუცილებელი და საკმარისი პირობებია. ეს აზრები დიდი წარმატებით გაფრცელდა ანგლო – საქსონურ სამყაროში და დაედო საფუძვლად ამერიკის პოლიტიკურ რეჟიმს. მაკიაველის გამოგონებამ, რომ აუცილებელია მორალის ამორალური შემცვლელი, ლოკის მოძღვრებაში მოიპოვა ფუნდამენტური ადგილი მომხვეჭულობა - ანგარების სახით. ანგარება, მართალია უაღრესად კონსტური ვწება, მაგრამ მისი დაკმაყოფილება საყოველთაო გაუმჯობესებას იწვევს და სისხლისდვრას არ მოითხოვს. პოლიტიკური ამოცანა ლაშათიანადაა ამოხსნილი ეკონომიკური

ხერხებით. მონტესკიეს განცხადებით, ინგლისელებმა ძველი და მკაცრი რესპუბლიკური სათხოებების შესანიშნავი შემცვლელები გამონახეს ვაჭრობისა და ფინანსების სახით.

პოლიტიკის გაუჩინარება მოდერნული და განსაკუთრებით დღვეუბნებით არეული აზროვნების ერთ – ერთი ყველაზე უფრო ჩუმად მიფუჩჩებული ასპექტია. პოლიტიკა ან სუბ - პოლიტიკურში (ეკონომიკაში) შთანთქმება ან კულტურაში, რომელსაც სუპრა - პოლიტიკურობის პრეტენზია გააჩნია. “კარგ საზოგადოებაში“ პოლიტიკაზე საუბრისათვის თავგამოდება ხომ “not bon tone” - ად ჩაითვლება, მაშინ როცა ვერობული, ან თუნდაც, ჯანი გაყარდეს, ამერიკული კულტურის დაფასება დაფასდება. ეს იმის გამოძახილია, რომ იმის თაობაზე, თუ რა არის ადამიანებისათვის უმთავრესი, არსებობს ორი, ორვე მოდერნული, მაგრამ ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულება⁵. ერთის მიხედვით, უმათავრესი ის არის, რაც ყველასათვის საერთოა; მეორეს მიხედვით, ყველასათვის საერთო ადამიანებს კი არ აღამაღლებთ, არამედ ამდაბლებს და ის აღამაღლებთ, რასაც სხვა კულტურებისაგან განსხვავებული საკუთარი კულტურიდან მიიღებენ.

კულტურის ძველი იდეა სრულიად ახლებურად იმიტომ გადაიაზრეს, რათა კომერციული საზოგადოების (ლოკები) და მისი “ატომის” – ბურჟუას აღზევებისათვის პასუხი გაეცათ, ადამიანის ღირსებისათვის ახალი ადგილი გამოენახათ და მოდერნული მეცნიერების კონტექსტში დაეფუძნებინათ (რუსო, კანტი)⁶. ამიტომ ღლეს ყველას უნდა ღირსებასაც პატივი სცეს და მცნიერულიც იყოს.

კულტურამ აღადგინა ანტიკური პოლისისათვის დამახასიათებელი “სიცოცხლისა და ხელოვნების ერთიანობა“⁷. მაგრამ, ამ ახალი გზით მიღებული პოლისი ანტიკური პოლიტეკნიკური გამოვიდა, რაღაც პოლისის ერთადერთი ელემენტი, რომელიც ღირსებისა და ამაღლებულის აღდგენისა მა პროცესში დაიკარგა და მის აღდგენაზე არავინ იზრუნა პოლიტიკაა. ანტიკური მოქალაქისათვის ქალაქის სული მისი რეჟიმი, მმართველობის წეს-წყობილება და მასში მონაწილეობის წესი იყო, საერთო სიკეთესა და სამართლიანობაზე ფიქრი და განსჯა, კანონშემოქმედება და ის უმთავრესი არჩევანი, რომელიც ომსა და

შვიდობას შორის კეთდებოდა. იმავე დროს, თანამოქალაქე სახელმწიფო მოღვაწეთა რაციონალური არჩევანი საერთო ცხოვრების ცენტრს ქმნიდა, ყველაფერი დანარჩენი მიზეზად ითვლებოდა. პოლისი პოლიტიკური რეჟიმით განისაზღვრებოდა. ამის მსგავსი რამ კულტურაში არ არის და თუ რა განსაზღვრავს კულტურას ურთულესი გასარკვევია. იგი ხელოვნებას ან რაიმე “სულიერს“, “პიროვნულს“, “ინდივიდს“, “შემოქმედებით უნარს“ და ა.შ. გვახსენებს. მათ გასაზღვრებას წიგნების თაროები არ ეყოფა და მათ შესახებ ყველას თავისი აზრი აქვს, თუკი აზრი საერთოდ გააჩნია. პოლიტიკა კი, უკვე თავიდანვე ჰობსმა და ლოკმა დაკარგეს, მასთან ერთად ლირსებაც, როცა გადაწყვიტეს, რომ ადამიანი არც ამამაღლებელი ბუნების მქონე პოლიტიკური ქმნილება, და არც უფლის ქმნილება არ არის, არამედ მხეცური ბუნების ველური ქმნილებაა, ანუ აწია შესაქმნელი და რომ იგი სამოქალაქო შეთანხმებამ, ანუ შვიდობამ (ჰობსი) ან მის საფუძველზე განვითარებულმა გაჭრობა - ეკონომიკამ (ლიკი, სმიტი) უნდა ჩამოაყალიბოს. რუსოსათვის ინდივიდუალური თვით - ინტერესი არასაკმარისია საჯარო - საყოველთაო სიკეთის დასაფუძნებლად, ხოლო მის გარეშე, ადამიანის მორალი და პოლიტიკური ცხოვრება შეუძლებელია⁸. რუსოს მიხედვით, რადგან საქმე ქხება სოციალურ კონტრაქტს და ვთ. ამტრიკის დამფუძნებლები აცხადებენ: “ჩვენ შეერთებული შტატების ხალხი“, მაშინ სიტყვები “ჩვენ“ და “ხალხი“ პრობლემატურია. როგორ უნდა მივიღოთ ხალხი, მოქალაქეთა ისეთი საზოგადოება, რომელ-შიაც ინდივიდუალური თავის კერძო ინტერესებს საზოგადოების საერთო ინტერესს – საერთო სიკეთეს დაუმორჩილებს, იმ პიროვნებებიდან, რომლებიც მხოლოდ თავის პირად და კონკრეტულ კეთილდღეობაზე ზრუნავენ? “ძლიერთა და მდიდართა ამა ქვენისამ“, ე.ი. უმცირესობამ, შესაძლოა კონტრაქტის დადების დროს, მიზნად დაისახოს საკუთარი სარგებელი და “ჩვენი“ გამოიყენოს უმრავლესობის იძულებისა და მოტყუებისათვის. მაშინ, უმრავლესობის თანხმობას აზრი ეკარგება, ტყუილი თანხმობა იქნება, რადგან მოტყუებით იქნება მიღწეული⁹. ან პირიქით, საკუთარ სარგებელს გამოიდევნებული უმრავლესობა შესაძლოა ან ვერ აცნობიერებდეს რა მსხვერპლის გაღება მოუ-

წევს ასეთი კონტრაქტით, ან შეგნებულად თანახმაა, მაგრამ მოგების მოღოღინით აღტკინებული რისკს ჯეროვნად ვერ აფასებს. რუსოს მიხედვით, მისი წინამორბედი “განმანათლებლები“, კონკრეტულად პობსი და ლოკი, ვერ აცნობიერებდნენ, რამდენად როულია ბუნებრივად თავისუფალი და თანასწორი ადამიანების ისეთ მოქალაქეებად გარდაქმნა, რომლებიც სოციალური შეთანხმებიდან გამომდინარე კანონის მმართველობას დაემორჩილებიან¹⁰.

განმანათლებლობის პოლიტიკური სწავლების გასაუმჯობესებლად რუსოს ანტიკურ პოლის მიუბრუნდა, თანაც იმათვან განსახვებით, ვინც მისი ეს, შემდგომში კულტურად წოდებული გზა გააგრძელა, მას ცენტრალურად პოლიტიკოსის საქმიანობა მიაჩნდა. მისი აზრით, პოლიტიკური რეჟიმის დასაფუძნებლად პოლიტიკამ, რეჟიმის დამფუძნებელმა კანონმდებელმა ჯერ თვით ის ხალხი უნდა შექმნას, ვისი საკუთრებაც მომავალი რეჟიმი გახდება და ამისათვის თითოეულის ბუნება უნდა გარდაქმნას. დამფუძნებელის მიერ შექმნილი კომპლექსური სისტემა, რომელიც განმანათლებლობის მიერ პოპულარიზებულ, ასტრაქტულ ინდივიდულის დაძლევს და კორპორატიული ხასიათის საზოგადოებას შექმნის, სადაც საერთო ნება თითოეულის ნებას გარდაქმნის, განუყოფელად შეიცავს პოლიტიკას და იმას, რასაც შემდგომში კულტურა წროდა. აქ, კულტურა კანონმდებლობის (სისტემის) ეფექტად გვევლინება, კანონმდებლების პოლიტიკური განზრახულობის გარეშე. ხალხის შექმნისა და ადამიანის ბუნების გარდაქმნის დაშეება რეუოლუციის დაფუძნება და ლეგალიზაციაა¹¹. მაგრამ იგი მხეცურ, ტირანულ საქმედ წარმოჩნდა რობესპიერის პრატტიკული მცდელობების შემდეგ. ამან კანტი და მომავლში ის სხვა გერმანელი მოაზროვნები განიზიდა, რომელთაც მოსწონდათ და სურდათ საერთო ნების ბაზონობით კორპორატიული, არაინდივიდუალისტური საზოგადოების შექმნა, ოდონდ ადამიანის ბუნების ამგვარი გარდაქმნის გარეშე. ამიტომ, მათ ადამიანის ბუნების არსებობის უარყოფა დაიწყებს. ბუნების გარდაქმნის საჭიროების მაგიერ, ადამიანი კულტურაში იზრდება, როგორც პროდუქტი ადამიანი კულტურული ქმნილებაა. ის რაც ადამიანს აქამდე ბუნებისგან ქონდა თანდაყოლილი,

არაფერია იმასთან შედარებით რაც მან კულტურიდან უნდა მიიღოს¹². ბუნება თანამიმდევრულად განიღვნა აზროვნებიდან და გამოკვლევებიდან. ბუნებითი მდგომარეობა თურმე მითი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ცნება ბუნებითი მდგომარეობის წინასწარი დამუშავებითა და გადააზრებით მიიღეს. რახან ერთხელ კლასიკოსების მიერ “მითად“ ქცეული ბუნების უარყოფით კულტურა მიიღეს და მითების გაკულტურების გზა გაიკვლეს, შემდგომში უკვე სხვა “მითების“ (ბიბლიური და პროტესტანტული რელიგიების) მსგავსი გადამუშავება - უარყოფით (გაკულტურებით - სეკულარიზაცია, რუტინიზაცია) ახალ - ახალი კულტურები მიიღეს. ცხოვრებაში შეძენილის წინ დაეყენება ბუნებრივად თანდაყოლილთან შედარებით კულტურის იდეის საფუძველია. კანტის მიხედვით, რუსეთი აღმოაჩინა ადამიანის არასრულფასონებისა და უბედურების ნამდვილი მიზეზი: ბუნებასა და ცივილიზაციას შორის არსებული წინააღმდეგობა¹³. ე.ი. ცხოველური საჭიროების დაკმაყოფილებასა და მეორეს მხრივ სოციალურ კალდებულებებს, ისტორიულ პროცესში შეძენილ ხელოვნება - მეცნიერებებს შორის არსებული დაძაბულობა. მაგრამ, თურმე მანვე იპოვა ერთი მხრივ ბუნებრივი მოთხოვნილებებისა და მეორეს მხრივ, მორალის და ხელოვნების ამაღლებულ პასუხისმგებლობათა პარმონიულად გაერთიანების გზა. სწორედ ბუნებასა და ცივილიზაციას შორის პარმონიას უწოდა კანტმა “კულტურა“ და მისი სისტემატიზირების მცდელობას სამი წიგნი (სამი კრიტიკა) მიუძღვნა. თუ ცივილიზაცია ისტორიულ პროცესში აღმოჩენილი იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც საჭიროებებს და სურვილებს აკმაყოფილებენ, მაშინ სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნება და მეცნიერებისა და ხელოვნების აღმოჩენა პროგრესია, რომელიც ადამიანის მთლიანობას აღადგენს, თუ პროგრესი რეალური ბედნიერებაა, და არა მხოლოდ ბედნიერების მიღწევის საშუალებათა შექმნა. ეს ცივილიზაციის უპირატესობებში გარკვეულ დაეჭვებას იწვევს. ამიტომაც, დღეს “კულტურა“ ბევრად უფრო “თბილად“, ხშირად კი აღტაცებით აღიქმება, ვიღრე ზედაპირული, კოსმოპოლიტური “ცივილიზაცია“¹⁴. აქამდე, ადამიანის მთლიანობა - ბედნიერების საკითხი პოლიტიკურ პროექტად მოიაზრებოდა. მოდერნული კულ-

ტურის გამოგონებიდან, პოლიტიკის მნიშვნელობა ვიწროვდება სახელმწიფო საქმეებამდე. ბედნიერება მას არ ქება. ძლიერდება პოლიტიკის და სახელმწიფოს უბრალო ეკონომიკად ჩამოდგენერატების ტენდენციები, რადგან მათ საქმე აქვთ მხოლოდ სხეულებრივ საჭიროებებთან. მოგვაინებით კულტურის და პოლიტიკის სრული განცალევება ხდება. პოლიტიკა ჰელის ჯადოსნურ - იდუმალი ისტორიული პროცესის განვითარების შედეგია თურმე, როგორც შემოქმედებითი, კონსტრუქციული ნების ერთი წარმო. როგორც ერთობლივი არსებობის ფორმა, კულტურა ეგოს (თვით, ego, self) სამყოფელია და იმავდროულად პროდუქტიც. კულტურაში წარმოქმნება ურთიერთობები, რომელთა მეშვეობით ეგო საკუთარ მრავალფეროვნებას პოულობს და თვითგამოხატვას ეუფლება. სოციოლოგიისათვის პოლიტიკა სოციალურ ურთიერთობათა ნაწილია. პოლიტიკური საზოგადოება მთლიანი სოციუმის ერთი უბრალო და დამოკიდებული ქვესაზოგადოებაა. ხოლო სახელმწიფო, მარტო სოციოლოგმა კი არა, დღეს ბავშვაც კი იცის თუ რა არის სახელმწიფო. რასაკირგელია, ვებერის განმარტების შეძენა, რომელიც მოდერნულ სახელმწიფოს ისეთი ყოვლისმომცველი მეცნიერობით განმარტავს საერთოდ სახელმწიფოს სახელით, თითქოს მანამდე ამგარი რამ არ არსებულა. რაც ერთი მხრივ სწორია, მანამდე ხომ კულტურაც არ არსებობდა. ის გამოგონებიდან დაიწყო, როგორც საქართველოს ისტორია დაიწყო “ვარდების რევოლუციით“. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მოდერნული ლირებულებების დანერგვის საქმეში დიდი პროგრესია, რადგან დღევანდელ რეალობაში ის, რასაც კლასიკური აზრით კულტურას ეძახდენ თითქმის განვითარების განვითარების გამჭრალია.

ასე და ამგარად, თუ ამერიკელმა დამფუძნებლებმა ამოცანა პოლიტიკური გზით, ნატურალური არისტოკრატიის მმართველობით გადაჭრეს, რუსეთ და კანტმა დირსების გარეშე დარჩენილი, ეგოსტი ვაჭარ - ბურჟუას აღამიანურობის ასამაღლებლად კულტურა გამოიგონეს. პირველად მოიძებნა ადამიანისთვის და ადამიანში ბუნებაზე უფრო ამაღლებული რამ (კულტურა), რომელიც კანტის კოსმიკოლიტური, ერთი კულტურიდან ცხადია, უცბად და გარდაუვლად გადაიქ-

ცა მრავალ კულტურად (გერმანული, რუსული, ქართული და ა.შ.) და გაჩნდა ადამიანისათვის უმთავრესის შესახებ მეორე შეხედულება. ამ ორივე შეხედულების მიხედვით სიცოცხლე-საკუ, თავისუფლებისა და საკუთრებისაკენ სწრაფვა, ე.ი. ჯან-მრთელობისა და გადარჩენის ინტერესი ყველა ადამიანისათვის საერთოა. ამ ორ შეხედულებას ის განასხვავებს, რომ ისინი განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ განასხვაბას, რაც ქართველს განასხვავებს ფრანგისაგან, ფრანგს ჩინელისგან, ჩინელს ამ ორივესან და კიდევ სხვა დანარჩენებისაგან და ა.შ.. პირველი კოსმოპოლიტურია, მეორე პარტიკულარისტული. ადამიანის უფლებები პირველს უკუშირდება, კულტურები-სათვის პატივის მიგება მეორეს.

ამ დროიდან, პირველის, ლიბერალური კონსტიტუციონა-ლიზმის უნივერსალიზმსა და მეორე შეხედულების კულტურულ პარტიკულარიზმს შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გაჩადებული, რაც ერთი მხრივ კულტურული შეხედულების ფარგლებში განვითარებული სხვადასხვა პარტიკულარისტული თეორიის შექმნით გამოიხატა, რომლებიც “განმანათლებლობას” აკრი-ტიკებენ და მეორეს მხრივ რეალურ მსოფლიო ომშიც გადა-იშარდა.

ფრანგული “განმანათლებლობა” (ბერძნული ფილოსოფია) ყველა დროისა და განუჩრჩვლად ყველა ერის ან რაის ადამი-ანისთვისაა ჩაფიქრებული (ფაქტობრივადაც), ე.ი. უნივერსალ-ისტურია და ამ თვალსაზრისით მათ ფრანგულობას ან ბერძნუ-ლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბერძნული “ბერძნუ-ლი ფილოსოფიისათვის” და ფრანგული “განმანათლებლი-სათვის” იგივეა, რაც ქართული ან გერმანული, როცა ვამ-ბობთ “ქართულ მათემატიკას” ან “გერმანულ ფიზიკას” და სხვ. იტალიური რენესანსი და სხვათაშორის ქართული “რენე-სანსუკაც” (თუკი მასზე საერთოდ შეიძლება საუბარი) ასაბუთებენ იმას, რომ ერთს ხასიათი შემთხვევითია და აგრეთვე, ბერძნებ მოფიქრალთა უნივერსალობას, რომლებსაც კარგი ცხოვრება და სამართლიანი პოლიტიკური რეჟიმი სულაც არ ქონდათ გააზრებული, როგორც მხოლოდ ბერძნების ან რომელიმე გამორჩეული ერის, რაის, კლიმატის ან რელიგიის ხვედრი¹⁵. ამერიკელიც, როცა პოლიტიკაზე სერიოზულად საუბრობს,

გულისხმობს, რომ თავისუფლებისა და თანასწორობის რაციო-ნალური პრინციპები და მათზე დაფუძნებული უფლებები ყვე-ლა ნაირსახეობის ადამიანზე ვრცელდება. ადამიანის უბრალ-ოდ ადამიანად, უნივერსალურად აღქმა ფილოსოფიის დედააზრია.

ჰეგელის ისტორიციზმის გაჩენის დღიდან გერმანული ფილოსოფიის ფილოსოფიურობა ამ თვალსაზრისით ეჭვს იწვევს, რადგან აშკარად შეინიშნება გარკეული კავშირი გერ-მანულ აზროვნებასა და გერმანულ პოლიტიკას შორის. ის-ტორიციზმის მიხედვით ცნობიერება უშუალოდ და არსებითად არის დაკავშირებული ისტორიასთან და კულტურასთან, ე.ი. ფიქრი დროისა და “ადგილის” ფუნქცია. მომდევნო გერმანუ-ლი ფილოსოფოსების აზრით, მათი გერმანელობა და “გერმან-ულობა“ მათივე ნააზრევისათვის არ სებითია. აქამდე ფილოსოფიის ანბანად ითვლებოდა, რომ ადამიანურობის სრულქმა, სრულყოფილებისაკენ სწრაფვის დაკმაყოფილე-ბა შეუძლებელია მხოლოდ იმით, რასაც საკუთარი კულტურა იძლევა. კულტურა პლატონის გამოქვაბულია (იხ. რესპუ-ბლიკა), რომელშიაც ადამიანები ბორკილებ გაყრილ ტუსაღე-ბად გართ წარმოდგენილი. ცხადია, რომ ჩენი ქვაბულის შეზღუდულობისა და მისი ატმოსფეროს დახშულობის დასად-გენად, სხვა გამოქვაბულების შესწავლა, მით უმეტეს ბორკილ დადებულ მდგომარეობაში საუკეთესო აზრი ვერ იქნება. ხოლო თუ ვინმე აიშვებს (სავარაუდოდ, საკუთარი ბუნების ხარჯზე), მაშინ გამოქვაბულის სილრმებში, უკუნეთში, უბნელეს კუთხე – კუნჭულებში შეღრმავებაც ვერანაირად უნდა იყოს გარეთ გამოსვლაზე უფრო მიმზიდველი. მით უფრო თუ, ზევიდან, ნაპრალიდან ჩენიამდე აღწევს შჩის სუსტი სხივი. ქვაბულის დახშულობას ყველაზე უფრო მეტად ის გააცნობიერებს ვინც ჯაჭვებისაგან და გამოქვაბულისაგან თავს გაინთავისუფლებს, შჩის სინათლეზე, ბუნებაში ამოგა და პლატონიც ამას გვირჩევს “ვაიმარული“ ნააზრევისგან განსხვავებით. ბუნება სა-მართლიანობაა, უნივერსალური და აპსოლუტური სტანდარ-ტი. მისი დახმარებით უნდა განვსაჯოთ, როგორც ჩვენი და ჩე-ნი ხალხის, ასევე სხვა ხალხთა ცხოვრება. ამ თვლასაზრისით შესაძლოა მნიშვნელოვანი რამ შეამჩნია კონსტრანტინე გამ-

სახურდიამ, რომელიც გიორგი I მეშვეობით დანაწევით მოიხსენიებს, რომ ქართველები “მუდამ ჩვენ სიძირეს მივტირით”, კარგს და საუკეთესოს “საუცხოოს” ვეძახით და კარგი თუ გამოგვერია “დავკორტნით”. რათქმაუნდა, დიდოსტატმა იცის, რომ სიძირეს თუ მივტირით ეს თავისთვის ცუდი არაა, საქმე “საუცხოოშია” და იმაში, რომ “დავკორტნით”. მაგრამ ეს უკანასკნელი ქართული კულტურის თავისებურება სულაც არაა, არამედ “დაკორტვნის” კულტურულ თავისებურებად დანახვა იქნება კულტურული მსოფლმხედველობის პრმად დაჯერების, ან ვაიმარის ინტელექტუალური ატმოსფეროს კვალდაკვალ, ფიქრის და ღირებულებების სპეციფიურ ისტორიასა და კულტურასთან მიბმის თავისებურება. კულტურის იდეას განვითარების პროცესში ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგო, ხალხის საზოგადოებად (სამოქალაქო), ანუ ხალხის ადამიანების ჯოგად გარდაქმნისა და ჯოგად წარმოდგენის ის მნიშვნელობა გაუღრმავდა, რაც ამ მოდერნული ტერმინის გამოგონებას დაედო საფუძვლად¹⁶. ლიბერალიზმის პოლიტიკური პროექტის დანერგვამდე და დანერგვის პროცესში, ევროპაში, როგორც კარგებს ისე ცუდებს სულ მინიჭუმ ჩვენზე არანაკლებად “კორტნიდნენ” და ჟუჟავდენ, და კოცონებზეც კარგა გვარიანად ხრუკავდნენ, მაგრამ ეს პოლიტიკური და პოლიტიკის პრობლემა იყო და არა კულტურის. კულტურას ვერც ვერავინ დააბრალებდა, რადგან მაშინ კულტურა ჯერ გამოგონებული არ იყო. თუ დღეს აღარ “კორტნიან”, უპირველეს კოვლისა პოლიტიკური პროექტის დანერგვის შედეგია და არა კულტურულის ან კულტურის. ეს თითქმის აღარავის ახსოვს. ერთი სიტყვისათვის გაზვადებული მნიშვნელობის მინიჭება არ ივარებს, მაგრამ თუ მაინცადამაინც, ის, რომ ქართველები მარტო საუკეთესო ქართულ თხილს კი არა, საუკეთესო ადამიანსაც “საუცხოოს” ვეძახით და არა “საჩვენჯურლმულოს”, იმაზე მეტყველებს თუ არა, რომ გვესმოდა და გვესმის, რომ “ჩვენია” ავტომატურად “კარგს” და მით უმეტეს “საუკეთესოს” არ ნიშნავს და თუ რაიმე ან ვინმე ჩვენია და თან ძალიან კარგია, მაშინ ის მარტო ჩვენთვის კი არაა ასეთი, არამედ უცხოებისათვისაც ასეთად მიგვაჩნია და არის თუ არა ეს ქართული ეთნოცენტრიზმის, ე.ი. ქართულში უნივერსალური

ეთნოცენტრიზმის გამოვლინება, ამაზე, იმედია მექოზველს საკუთარი ახრი ექნება. კულტურული ფორმალიზმი და სოციალური მეცნიერება ისევე განუზღვრელს ხდის პოლიტიკას, მის მიზეზ - შედეგობრივ კავშირებში გარევებას, როგორც თვით ტერმინი კულტურაა განუზღვრელი. მაგალითად: ქართველი ინტელექტუალებს უყვართ “კულტურული” განცხადებები, რომ ოპოზიცია სუსტია, რადგან ქართული კულტურა ვერ უზრუნველყოფს პლურალიზმს, ერთზე მეტი ელიტისა და პარტიის არსებობას და ამიტომ გარდაუვალია მთავრობასთან შეზრდილი, დომინანტი პარტიის არსებობა¹⁷. კულტურული ფორმალიზმის ფორმალური ლოგიკით კველავერი სწორია. სოციოლოგიურად ეს მდგომარეობის აღწერაა, კითხვის “რატომ” დასმის გარეშე. ფაშისტურ გერმანიასა და იტალიაში არა თუ სუსტი ოპოზიცია იყო, არამედ იგი საერთოდ არ არსებოდდა. კულტურული ფორმალიზმით გამოდის, რომ მანამდე უმდიდრესი გერმანული და იტალიური კულტურები, ერთბაშათ სადღაც გამჭრალ - გაფრინილან ამ ქვეყნებიდან (ე.ი. კულტურებიდან) ლუკრატიუმის ბუზებით, ვინაიდან უსუსტესი პლურალიზმიც ვერ უზრუნველყვეს ფაშისტურ პერიოდში და წლების შემდეგ, ასევე უცბად დაბრუნებულან საკუთარ კულტურებში (ე.ი. ქვეყანებში). საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში (რახან ამ ტერმინს არ იშლიან) არაფერია ისეთი, რაც გამორიცხავს ძლიერი ოპოზიციის არსებობას. იგი თუ სუსტია, არა იმიტომ, რომ განსხვავებულ პოლიტიკურ მსოფლებელობათა შხარდამჭერი რესურსის უქმარისობაა შოსახლეობაში¹⁸, არამედ იმიტომ, რომ ეს, სხვათა შორის, ზოგიერთი იმ ინტელექტუალის “დამსახურებაცაა”, რომლებიც დღეს მის სისუსტეს უჩივიან. ოპოზიცია იმდენად ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რომ 2003 წლის არჩევნების გაყალბებული შედეგებითაც კი პარლამენტში ქვეყნის წამყვან ოთხ ოპოზიციურ პარტიას უმრავლესობა უნდა შეედგინა. თუ, ჩვენი ინტელექტუალები ვერ ისვენებენ და ასე ძალიან უნდათ “კულტურული” საუბარი, ალბათ მათთვისვე აჯობებს განაცხადონ, რომ ქართველი ხალხის, რევოლუციამდელი მთავრობის და რევოლუციური ოპოზიციის პოლიტიკური კულტურა იძღნად მაღალი იყო, რომ “ვარდების რევოლუცია” უსისხლოდ

განხორციელდა. ოპოზიციის სისუსტე საჩოგადოდ, კულტურის კი არა, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური რეჟიმის “დამსახურებაა”, როცა კონკრეტული კონსტიტუცია, კანონმდებლობა და მისი აღსრულება, ე.ი. ხელისუფლების სტრუქტურა (მთავრობის ფორმა) და მისი განხორციელების პრაქტიკა ოპოზიციას (ხალხსაც) აიძულებს არსებობისათვის იბრძოლოს და არა განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, რომ ოპოზიცია (ხალხიც) სრულად არ იყენებდეს რეჟიმში არსებულ თუნდაც მწირ შესაძლებლობებს. ეს ყველაფერი (რეჟიმებიც) უმთავრესად კონკრეტული პოლიტიკოსების ბუნების თავისებურებიდან, მათი ხასიათიდან გამომდინარეობს. რაოქმაუნდა, სხვა ფაქტორებსაც შეაქვთ წვლილი, მათ შორის ზოგისეთ რამეს, და არა ყველაფერს, რაც კულტურად იწოდება. კულტურული მსოფლედებლობიდან კი პოლიტიკოსების მაკიაველიზმის ლეგიტიმაცია - მიზანი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას, აგრეთვე ის ქმედებები გამომდინარეობს, რომლთა მიზანია “ჩამორჩნილი საზოგადოების” ან მისი ნაწილის (“კლასის”) გარდაქმნა – გაკულტურება - “ჩარეცხვა” (რობესპინი, ლენინი, პიტლერი, სტალინი და ა.შ.).

გერმანულ ფილოსოფიას თუ მიუბრუნდებით, გაიმარის კულტურისათვის, ე.ი. ნიცშესა და მისი გავლენის ქვეშ მყოფთათვის (სხვა თითქმის აღარავინაა), დირებულებები ხალხური გონის ქმნილებებია. ამიტომ, ვისიც არის მხოლოდ იმ ხალხის ცნობიერებისთვისაა მნიშვნელოვანი. პაიდეგერი იმდენად რადიკალური ისტორიისტია, რომ თარგმანის შესაძლებლობას საერთოდ თუ არ გამორიცხავს, ძალიან დიდი ეჭვით უყურებს, რადგან სხვა კულტურის, სხვა დროისა და სხვა “ადგილის” ნაფიქრალის გაგება თითქმის საერთოდ შეუძლებლად მიაჩნია. მისი აზრით ბერძნულ ტექსტთა ლათინურითარგმანები ზედაპირულებია და დედანთა არსეს ვერ გადმოცემენ. გერმანულ აზროვნებაში აშეარაა არა კულტურისაგან თავის დაღწევის ტენდენცია, არამედ ფილოსოფიური და პოლიტიკური კოსმოპოლიტიზმით შერყეული საკუთარი კულტურული ფესვების აღორძინების ტენდენცია. ხალხისათვის და “ხალხური” დირებულებებისათვის ამგვარი გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება, რაც მრავლად გაჩნილი სხვადასხვა ტიპის ისტორ-

იცისტული თეორიების საფუძველია, “გერმანულის” “უნივერსალურთან” აპირისპირებს. თუ ვთ ციცერონისათვის სოკრატე (პლატონი) მეგობარი და თანამედროვეა, ნიცშესათვის სრულიად საწინააღმდეგოა, ამიტომ იგი ძევლი მოაზროვნების მტრად გვევლინება. ცხადია, მისთვის და პაიდეგერისათვის “განმანათლებლობის” ექსტრემალური უნივერსალიზმი (ლიბერალური დემოკრატია), რომლის ხორცებსმა ამერიკაა, სხვა კულტურას წარმოადგენს და უაღრესად არასასურველი და მიუღებელია. ევროპელ მემარცხენებს ლიბერალურ – დემოკრატიის გაგონებაც არ უნდათ, რადგან ლიბერალურზე გულფრა ემართებათ¹⁹ და მხოლოდ დემოკრატიას (თანასწორობას და სიტყვის წრეგადასულ თავისუფლებას) აღიარებენ. მემარცხენები კი არა, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, რეალურად დიდ მოაზროვნეთაგან, მხოლოდ კანტი გახლდათ ლიბერალური დემოკრატიის მეგობარი. ისე, დიდი მოაზროვნე, რაც არ უნდა ეგალიტარიანობდეს, მარტო თვისი არსებობის ფაქტით ხაზს უსვავს და ასაბუთებს ადამიანთა ბუნების უთანასწორობას.

გასაცავარია, რომ თუ კი ვინმეა დღეს დასავლეთის, დემოკრატიის, პროგრესის, ღიაობის და ღია საზოგადოების გამორჩეული ხმაურიანობით დამცველი, ვინც ამ უკანასკენელთა სახელით უმთავრესის თაობაზე პირველი შეხედულების (განმანათლებლური უნივერსალიზმის) გამოვლინებებს უტევს, ეს მეორე, პარტიკულარისტულ – ღამბშობი, კულტურული შეხედულების მიღებინიშებული, გამემარცხენებული ვერსიები და მათი მიმდევრებია. ეს ის შემთხვევებია, როცა დახშულობას, ღია საზოგადოების მოწინააღმდეგობას სხვებს პარტიკულარისტები აბრალებენ. საქართველოში უკლებლივ ყველა ინტელექტუალი, ვინც და როცა ქართველ ეთნოცენტრიზმს, “ისტორიის დინებას ჩამორჩნილ ჩვენ ხალხს, ქართველ კულტურას და მენტალიტეტს” უტევს ღია საზოგადოებისა და ღიაობის სახელით, ამ მეორე შეხედულების მიმდევარია და კულტურულ ფორმალიზმს იყენებს²⁰. ვითომ ღიაობის, სანამდვილეში კი დახშულობის ამ ქართველ წარმომადგენლებს, ისევე როგორც მათ უცხოელ კოლეგებს, ეტყობა ვერ არ გაუცნობიერებიათ²¹, რომ რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვთ, მათვე ენით,

ლოგიკითა და ფორმალიზმით არის ერთი კონკრეტული, გერმანული კულტურის ფარგლებში, ამ კულტურის სახელით, მნიშვნელოვანწილად ამ კულტურის შეველისა და მიხმარების მიზნით²² და ამ კულტურის წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებათა გლობალიზაციით²³ გამოწვეული, უნივერსალური ეთნოცენტრიზმის და სხვა კულტურების სერიოზული გამოწვევა. ამ კულტურის თუნდაც გენიალური პროდუქტები, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არაა ისეთი უნივერსალური მოხმარებისათვის განკუთვნილი, გინდაც მარქსიზმივით იძრალებდეს ამას, როგორც ვთ. ბერძნული, ან განმანათლებლური პროექტი²⁴. ამიტომ მისი უნივერსალური იმპლემენტირება დღეს შესაძლოა ისეთივე ფუნდამენტური და რეალური საფრთხეა ტირანისათვის ნიადაგის მომზადების თვალსაზრისით²⁵, როგორიც იგი “გუშინ” იყო, როცა გერმანული კულტურის ორმა პირმშომ, ფაშიზმა და კომუნიზმა²⁶ სამკვდრო – სასიცოცხლო საფრთხე შეუქმნეს საკუთარ, დანარჩენ თუ უნივერსალურ კულტურებს²⁷.

სამწუხარო იქნება, თუ ვიმე ისე გამიგებს, რომ ყოველი ბუჩქის უკან, სადაც ჩვენი პრეზიდენტისა და ჩვენი ინტელექტუალების საყვარელი სააკადემიის მოწოდებით, “პატრიოტი” გოგო – ბიჭები უნდა ცუგრუმელობდნენ, მე თითქოს “შმაისერ” მომარჯვებულ, ჩაჩანიან და კბილებლრჭიალა გერმანელს ვეძებდე. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსის გარდა, დიდ გერმანელ მოაზროვნეთაგან არცერთი საკუთარ სწავლებას პოლიტიკური დოქტრინის სახეს არ აძლევდა. უბრალოდ, განმანათლებლობის და მეცნიერული მეთოდების აღიარებული პროგრესის მიუხედავად, სიტყვის უსაზღვრო თავისუფლება ჩვენ დღოშიც ისევე იწვევს, და ნებისმიერ დროში ისევე გამოიწვევს ბოროტებას, როგორც ადრე, როცა იცოდნენ, რომ ჰქონდარიტება იზოთერიულად უნდა გაერცელდეს, მხოლოდ რჩეულთათვის. ისე, ჩვენში დარჩეს და სოციალურ მეცნიერებას (ეგბერს ეფუძნება, ვებერი კი პეგელს, მარქსს, ნიცშეს და სხვ. ეფუძნება) არა აქვს პოლიტიკური დოქტრინის სახე, პირიქით პოლიტიკური “ნეიტრალობით” თავს იწონებს და გარკვეული სარგებლისანობა გააჩნია, მაგრამ პოლიტიკური ზიანის თვალსაზრისითა და ერთი

კარგი კაცის სიტყვებით მას “ეშმაკს ვერ შევადარებთ, რადგან ეშმაკი რაც არ უნდა იყოს, ყოფილი ანგელოზია“.

მოკლედ, გერმანული ნააზრევი და მისი წარმოებულები (დასაწყისში მოყვანილი მემარცხენეობის გამოვლინებები) კარგი აზურ ღვინოსავით, ან ვისაც წყენს იმას კახეთშიც არ ესმება ან უველაზე უწყინარ შემთხვევაში, ტრანსპორტირებას ვერ უძლებს და გზაში თვისებებს კარგავს.

ამიტომ და ზემოთ აღწერილ მიზეზთა გამო, არაა გასაკვირი, რომ რამოდენიმე წლის წინ დახშულობის ქართველმა ინტელექტუალ - გულშემატკიცრებმა, ყველაფერი იღონეს, უცხოელი კოლეგებიც კა დაიხმარეს, რათა კარგა გვარიანად გაღებული ქართული საზოგადოება ჩაეკეტ - ჩატმოთ და საკუთარი აბსოლუტიზმისათვის და ელიტარიზმისათვის ხორცი შეესხათ. მათი მცდელობა - მონაწილეობით, დღეს უკვე მაღალი ხარისხით ჩაეტენილი ქართული საზოგადოება და საქართველოს განვითარების პერსპექტივა უბრალო გამოწვევის კა არა, დიდი საშიშროების წინაშეა. ამ ინტელექტუალებზე ორიოდ სიტყვის თქმა კიდევ მანდოდა, მაგრამ ლიბერალური კრედოს სრულ ხორცშესხმამდე თავს შევიკავებ. ჰქონდარიტებაა, რომ თუ საკუთარი თავის შესახებ ამ აბსოლუტურ ჰქონდარიტებას შეიტყობენ, ეს სიკეთეს არ გამოიწვევს, პროგრესის, ინტელექტუალების მიერ ჰქონდარიტების უარყოფის და მათი ცნობილი ლიბერალობის მიუხედავად.

მემარცხენეს ან მემარცხენე ინტელექტუალის აზროვნებაზე გარკეული წარმოდგენა შეიქმნება, თუ ერთი ხუმრობის მიხედვით შემდგენაირად ვიმსჯელებთ:

ზოგჯერ, განსაკუთრებით ვეროპელები, ამერიკას, რომელიც პირველი შეხედულების ხორცშესხმაა, აკრიტიკებენ ადამიანის უფლებათა გავრცელებისა და მათი გლობალური მასშტაბით დაცვის საქმეში არასაკმარისი თვეგამოდებისათვის. ზოგჯერ კი “ამერიკული ცხოვრების წესის“ გავრცელებისა და გლობალიზაციისათვის, რაც კრიტიკოსთა აზრით სხვა კულტურათა ინტერესების საწინააღმდევოდ ან მათი უგულვებელყოფით ხდება. ეს უკანასკნელი ამერიკულ ეთნოცენტრიზმად, სხვა დანარჩენ კულტურათა გამოწვევად, კონფლიქტების და ომების გამომწვევად მიაჩნიათ. მაგრამ, ამერიკა საკუთარი ცხოვრების

წესს “ყველასათვის თვალსაჩინო ჭეშმარიტების” სახელით აფრცელებს²⁸. ამ დროს, ამერიკის კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ასეთი ჭეშმარიტება არ არსებობს და ის ამერიკული კულტურის ცრუნწმენაა, ე.ი. მითია. ემიგრაციაში მცხოვრებ აია-თოლა პომეინის, როგორც ირანული, ან გნებავთ ისლამური კულტურის ჭეშმარიტ წარმომადგენელს, პატივსცემას არ აკლებდნენ. ხოლო მას შემდგე, რაც რევოლუციისა და ირანის ლიდერი გახდა, პომეინის ძალადობისა და ადამიანის უფლებების შედარენის გამო აკრიტიკებდნენ. პომეინი ყველაფერს ისლამის სახელით აკეთებდა. ასეთ კრიტიკოსთა ლოგიკით ისლამის უფლებები შეზღუდულია ადამიანის უფლებების პრინციპით. მაშინ გამოდის, რომ ის უნივერსალურია და მუსულმანებზეც ისვევ ვრცელდება, როგორც დასავლეთულებზე. როცა პიროვნება, ვინც ამერიკას კულტურის სახელით გააკრიტიკებს, იგვე პიროვნება, ვინც აიათოლას ადამიანის უფლებების სახელით აკრიტიკებს, ეს კი, თითქმის ყოველთვის ასეა, მაშინ წყალი არ გაუვა იმას, რომ იგი ან მემარცხენეა ან ინტელექტუალი ან ორიგი ერთადა და გერმანული ფილოსოფიის პოპულარიზირებულ - ვულგარიზებული ვარიანტებით, დოგმებით, კლიშეებით და სოციალური მეცნიერებათა “მიღწევებითა“ გაჯდენილ - გაჯდებული.

მემარცხენება უმთავრესად ეგალიტარიანიზმის, სოციალური სამართლიანობისა და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულებისათვის²⁹ ბრძოლაა. ამ სამიდან, მემარცხენე იდენტურობისათვის ცენტრალურია ეგალიტარიანიზმი ანუ თავისუფლებასთან დაპირისპირი ეგალიტარიანიზმი ანუ პრინციპის რადიკალიზაცია³⁰ და მისი წარმოებულები - ანტი-აბოლუტიზმი, ანტიელიტარიზმი, ანტიეთნოცენტრიზმი, რელატივიზმი, ღიაობა და სოც. მეცნიერებები. რომლებიც დოგმებად ქცეულნი, იმდენად არიან გაერცელებული, რომ მასების დონეზეც კი დომინირებენ, მათ შორის კონსერვატულად განწყობილ ადამიანებშიც. ეს, განსაკუთრებით XX საუკ. 50-იანი წლების შემდეგ მეცნიერებასა და განათლებაში მათი გაძლიერუბული დანერგვის შედეგია. მათი გლობალიზაცია სახეზეა.

მართლაც, ჩვენ დროში, იშვიათ გამონაკლისთა გარდა ყველა, განათლებას მეტ - ნაკლებად შეხებული, განსაკუთრებით

ინტელექტუალი, მით უფრო თუ ქართველი ინტელექტუალია, ადამიანთან დაკავშირებულ უუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, ასე თუ ისე დარწმუნებულია, იცის, რომ³¹:

- ადამიანი უცელელ შინაგან ბუნებაზე დამოკიდებული, პოლიტიკური ქმნილება არ არის და ბუნებრივი მიზნებიდან გამომდინარე, ადმიანები არათანსწორნი არ არიან. რადგან პოლიტიკური არაა, არც პოლიტიკა მისთვის მთავარი, როგორც ეს წინათ, ნაკლებად პროგრესულ დროში ეგონათ³²;
- ადამიანი ღმერთის არ შეუქმნია და საცხოვრებლად ედემის ბაღში არ მოუთავსება;
- ადამიანი დასაბამიდან უზრუნველყოფილი არ ყოფილა. მისი ასეთი მდგომარეობა ჩადენილი ცოდვით კი არა ბუნების სიძუნწითა გამოწვეული;
- ბუნება სამართლიანობისადმი ნეიტრალურ – ინდეფერენტულია. ღმერთი აღარ არის. ეს ორი რამ დიდი დანაკლისია – კარგ ადამიანს იმედი უქრება, რომ ბუნება ან ღმერთი ბოროტებას გატანჯავს, სამაგიეროს მიუზღავს და საფასურს გადახდევინებს;
- ეს პოზიტიურია. რადგან თუ აქამდე არსებული იმედები დაიმსხვრა, სამაგიეროდ გარეშე ჩაგვრა და შინაგანი მონობა უნდა გაქრეს. ეს უდიდესი მონაბოვარია – თავისუფლებაა. ეს ყველაფერი უფლის ზედამხედველობის, მეფეების, თავად – აზნაურთა, მღვდელმსახურთა, ცოდვისა და სინდისისაგან განთავისუფლებას იწვევს;
- ღმერთისა და შინაგანი ბუნებისაგან დამოკიდებული, თავისუფალი ადამიანი, არც ბუნებით და არც საღმოთ სჯულის კანონს აღარ უნდა აღიარებდეს. უზნაესი კანონი ადამიანის შექმნილი პოზიტიური კანონია. ეს შეთანხმებით კანონის მმართველობას (Rule of Law), ანუ რასაც საქართველოში კანონის უზნაესობას ეძახიან, იმას იწვევს;
- ამ ცვლილებებით ბუნება როგორც უზენაესი სტანდარტი და “ღმერთი მკვდარია“ (ნიცშე)³³. არაბუნებრივი ქმნილებების, კუდიანების დარიგებით ადამიანის ბუნების წინაღმდეგ მოქმედი მაკბეტის არ იყოს, მკვლელებს ეტყობა ვერ

- წარმოუდგენიათ, რომ კოსმოსმა შეიძლება “ხელი შემოგვიბრუნოს“ და “საქმეთა ჩვენთა“ პასუხი მოგვთხოვთ;
- ბუნებასთან და ბუნებაში ადამიანი თვითგადარჩენისათვის და კომფორტისათვის იძრძვის;
 - უმთავრესი თვითგადარჩენის ინსტიქტია. ეს ბუნებასთან ომის გარდა, “ყველას ყველასთან“ ომს, შემდგომ სამოქალაქო შეთანხმებას და თვითგადარჩენის ინსტინქტიდან ნაწარმოებ ადამიანის უფლებებს იწვევს;
 - ადამიანს აღარ აქვს ბუნება, რომელიც მის ვალდებულებებს იწვევდა, სამაგიეროდ და ამიტომ აქვს ბუნებრივი თვისუფლება და უფლებები; სამოქალაქო საზოგადოებაში ადამიანებმა სამოქალაქო კონტრაქტიდან გამომდინარე ვალდებულებები უნდა მიიღონ, ოღონდ იგივე თავისუფლება და თანსწორობა უნდა შეინარჩუნონ და რაც ველურ მდგმარეობაში გააჩნდათ, ე.ი. თავისუფალი და თანასწორნი არიან, ამიტომ კონტრაქტი უნდა ბატონობდეს და არა ბატონი; ამით ადამიანის ჩაგვრა – მონობა, რომელიც აქამდე უკანონო იყო, კანონიერი მონობით იცვლება. ამ ყველაფერს მოდერნიზმი იწვევს;
 - რადგან ადამიანის ბუნება უცვლელი არ არის, მისი და “ხალხის შენტალიტეტის“ გადაკეთება შეიძლება და აუცილებელიცაა. ეს პოზიტიურ მოვლენებს, რევოლუციებს, სისხლის დვრას, პოსტრევოლუციურ ტერორსა და ძალადობას იწვევს;
 - არსებობს პროგრესი; იგი მეცნიერების, ტექნიკის, საზოგადოების (ზნეობრივ, სოცილურ და პოლიტიკურ) მუდმივ წინსვლას იწვევს (მათ შორის, მაგ. ფაშიზმს, კომუნიზმს, რადიკალურ ისლამიზმს, ტერორიზმს, ატომურ ბომბს, ბაქტეროლოგიურ იარაღს და ა.შ.);
 - ეს ზოგისთვის პოზიტიურია და პირიქით. თუ დეპუმანიზაციის თვალსაზრისით მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიც კი პირობითია, ხოლო ზნეობრივი, ინტელექტუალური (ფილოსოფიის) და პოლიტიკური უკანსვლაა (პროგრესულად ეფექტურ ღუმელში ან ერთი ბომბით, არასდროს იმდენი ხალხი არ მოჰკლავთ რაც XX საუკუ-

- ნეში), მაშინ ვინც ვებერიანულ – სოციოლოგიური, ლირუბულებით, ე.ი. კულტურული ფორმალიზმით პროგრესს ჩამორჩა, ის ადამიანურობაში, ე.ი. კულტურულ პროგრესში წინ ყოფილა;
- ბუნება სამოქალაქო საზოგადოების მტერია; ამიტომ კულტურამ და პროგრესმა ბუნება უკვე დაისაკუთრა, დაიპყრო და გლობალურად დაათბო;
 - კულტურა სწორედ აზროვნება კი არაა, არამედ ადამიანის ბუნებას პლუს ყველაფერი, რაც მან შექმნა (მათ შორის რელიგია, რომელიც ჯერ – ჯერობით მხოლოდ დასავლეთში მოახერხა და გააკულტურა), რაც მას დასჭირდა ველური ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო საზოგადოების შექმნამდე აღმასვლის პროცესში, ისტორიულ გზაზე; აქედან გამომდინარე –
 - არსებობს ერთი, უნივერსალური კულტურა და ერთი ციფილიზაცია. ეს კოსმოპოლიტიზმს იწვევს;
 - არსებობს მრავალი კულტურა და მრავალი ციფილიზაცია (მაგ. ფრანგული, ინდური, დასავლური და სხვ.). რაც კულტუროლოგიას იწვევს;
 - არსებობს კულტურა, რომელიც კულტურული მარცხია, ე.ი. არსებობს უსასრულო რაოდენობის კულტურა (სოციალური ჯგუფების). მაგ. გარეუბნების, ქუჩის ბანდების, ნარკომანების, ინტელექტუალების, ფემინიზმის, ემანსიპაციის, სექსისტების და ა.შ.. კულტურული მარცხი პოზიტიურია, რადგან კულტურის და კულტუროლოგიის უსასრულო გაფართოებას იწვევს;
 - არსებობს უკულტურო კულტურა – რელიგია;
 - არსებობს კულტურული კულტურა – არარელიგური რელიგია, რელიგიის ანუ უკულტურო კულტურის გაკულტურების შედეგი;
 - უკულტურო კულტურა ანუ რელიგიური რელიგია ნეგატიურია, გამოწვევებს, კონფლიქტებს და ომებს იწვევს;
 - არსებობს რელიგიის სეკულარიზაცია და ქარიზმის რუტინიზაცია, რელიგიის არარელიგიად, ანუ კულტუ-

- რულ რელიგიად გარდაქმნის, ე.ი. გაკულტურუბის, მაშას-ადამე გაპოზიტიურუბის ჯადოსნური მექანიზმები³⁴;
- არსებობს ამ გზით მიღებული არაერთი კულტურა. ქარიზმის რუტინიზაციით მიღებული კულტურული რელიგიები კაპიტალიზმი და ფაშიზმია³⁵. ქრისტიანობის სეკულარიზაციით მიღებული კულტურული რელიგიებია: დემოკრატია, მარქსიზმი, უტოპიზმი და ადამიანის უფლებები³⁶;
 - განსხვავებული კულტურები ურთიერთ შეჯახებაში იმყოფებიან. მაგ. რელიგიური რელიგიები (ე.ი. რელიგიები), ცივილიზაციები, კულტურული რელიგიები (ფაშიზმი, კომუნიზმი და დემოკრატია), საგიუვთის ბინადართა და საგიუვთს გარეთ მყოფ კულტუროლოგთა კულტურები ერთმანეთს უჯახებიან. ეს გამოწვევებს, კონფლიქტებს, ომებს, ხოლო ზოგჯერ მსოფლიო ომებს იწვევს;
 - ადამიანი კულტურაშ შექმნა, იგი კულტურული ქმნილებაა. “ყველა ერს (ე.ი. კულტურას) ის მთავრობა ყვეს, რასაც იმსახურებს”; მთავარი კულტურაა, პოლიტიკა კულტურითაა განპირობებული;
 - ადამიანი ეკონომიკაშ შექმნა, იგი ეკონომიკური ქმნილებაა. მთავარი ფულია და ეკონომიკური ინტერესი, პოლიტიკა ეკონომიკითაა განპირობებული;
 - ადამიანი სოციუმშა შექმნა, იგი სოციალური ქმნილებაა. მთავარი სოციალური კაპიტალია, პოლიტიკა სოციუმითაა განპირობებული;
 - ადამიანი ისტორიაშ შექმნა, ის ისტორიული ქმნილებაა. ისტორია მოედინება და ვითარდება, არსებობს ისტორიული გარდაუეალობა. უმთავარესი ისტორიაა, პოლიტიკა ისტორიითაა განპირობებული;
 - ადამიანი სექსუალურმა ინსტიქტმა შექმნა. მთავარი სექსია და არა გადარჩენა. მეტ - ნაკლებად ყველა დაკომპლექსებულია. პოლიტიკა ფსიქოთ, არაცნობიერითაა განპირობებული. ეს ფსიქონალიტიკოსების მეცნიერულ და ინტელექტუალების უდიდეს დაინტერესებას და სიმპათიებს იწვევს³⁷, მაგრამ მთლად პოზიტური ვერაა,

- რაციონალურობის, ე.ი. დემოკრატიის და მეცნიერების გამოწვევას იწვევს;
- ადამიანი ეგოა. ეგო ეგოისტი უნდა იყოს. ეგო კულტურაშია. კულტურაში ეგოს ზრდა - განვითარება პოზიტიურია. ე.ი. ის ადამიანია პოზიტიური, ვინც ეგოისტია, ვინც არ არის ან სხვებზე ზრუნვა ქერძება ის ნაკლებად პოზიტიურია, შესაძლოა ნეგატიურიც;
 - შემარჯვენე, რეფორმებისადმი, ე.ი. პროგრესისადმი კრიტიკულ - სკეპტიკურია, ანუ თუ მთლად რეაქციონერი არაა, წაურეაციონერებს, რაც ნეგატიურია, მაშასადამე სხვებზე მზრუნველია;
 - მემარცხენე რეფორმისტი – პროგრესისტია, მით უმეტეს თუ ინტელექტუალია, ეს კი პოზიტიურია, მაშასადამე მემარცხენე ეგოისტია;
 - მემარცხენეებისათვის ტოტალიტარიზმი ნეგატიურია – მაგ. ფაშიზმი;
 - მემარცხენეების ნაწილი ტოტალიტარისტებია (კომუნისტები), მათთვის ტოტალიტარიზმი არამცო პოზიტიურია, არამედ კაცობრიობის ნათელი მომავალია. კომუნიზმი და განსაკუთრებით კი “რბილი კომუნიზმი” - სოციალიზმი დანარჩენია (არაკომუნისტი) მემარცხენეების სულ მინიმუმ სიმპათიას იწვევს;
 - ინტელექტუალი, განსაკუთრებით თუ მემარცხენეცა (ეს კი ყოველთვის ასეა), პროგრესისტია, მისთვის რელიგია და მთები ნეგატიურია, “ოპიუმია ხალხისათვის”, რადგან პროგრესისადმი დაბშულობას (ლიაობის დაბშობას), გამოწვევებს და ომებს იწვევს. სოროსის (პოპერის) ლიასაზოგადოებას არ იწვევს;
 - ყველფერი რაც დირებულებითთანაა კავშირში (მოდერნიზმი, კაპიტალიზმი, დემოკრატია, კომუნიზმი და სხვ.) უნდა რელიგიიდან გამომდინარეობდეს. ამას სეკულარიზაცია და რუტინიზაცია იწვევს;
 - ქრისტიანობა დასაკულური ისტორიის აუცილებელი და საქმარისი პირობაა; სხვა რამის კვლევას აზრი არა აქვს; დასავლეთის გაჩენას სეკულარიზაცია იწვევს;

- ლოგიკი და სმიტი არასწორად ითვლებიან კაპიტალიზმის დამფუძნებლებად, მისი დამფუძნებელი პროტესტანტული ეთიკაა. საერთოდ პობსი და ლოკი დასაცლური ისტორიის მიხევი ვერ იქნებიან, ისინი გაუცნობიერებლად პროტესტანტული ეთიკის ღირებულებებს ტრანსმიტიონებენ. რადგან ზედაპირული რაციონალური აზროვნება ღირებულებებს ვერ შეიქმნა;
- გონებას (რაც. აზროვნება) შხვლოდ ტრანსმიტიონება, რუტინიზირება და ნორმალიზება შეუძლია; ღირებულებათა შექმნას ვერ იწვევს;
- ფაქტები განსხვავდებან ღირებულებებისაგან, რომლებიც სიკეთისა და ბოროტების ადგილს იკავებენ, რომლებიც კონფლიქტებს, ომებს იწვევენ. თუმცა, ღირებულებებიც გამოწვევებს, კონფლიქტებს, ზოგჯერ ომებს იწვევენ³⁸;
- ზოგიერთი, “ქარიზმატულ” ღირებულებათა შემოქმედია (მოსე, ბუდა, ნაპოლეონი, ჩე გეარა, ვირი³⁹ და სხვ);
- ღირებულებათშორისი კონფლიქტის მოგვარუბა ბევრად ითლია (თუ ვირებთშორის ღირებულებებს არ უკავშირდება), ვიდრე მითიურ “სიკეთესა და ბოროტებას” შორისი კონფლიქტის;
- ერთადერთი სწორი და მართებული განსჯა რაციონალურია (მეცნიერული VS საღი აზრი); მთავარი პოზიტიური მეორდია, იგი მეცნიერული ენისა და სიტყვების გამოგონება - მოხმარებას იწვევს;
- კარგი და გლახა, ბოროტება და სიკეთე, მორალური და ამორალური არამეცნიერულია. თანამედროვე სოციალურ - პოლიტიკური მეცნიერებისათვის ამორალური და მორალური პოლიტიკა არ არსებობს. ორივე უბრალოდ პოლიტიკა. მისთვის რუსეთი და ამერიკა, ერთი ცუდი და მეორე კარგი კი არა, უბრალოდ, ორივე ქვეყანაა. ეს მეცნიერული, ე.ი. პოზიტიურია, ამორალური პოლიტიკისათვის ხელშეწყობას იწვევს;
- არამეცნიერული ენისა და სიტყვების გამოყენება არ შეიძლება. გამოწვევებს, კონფლიქტებს და ომებს იწვევს⁴⁰;
- სოციალური ფენომენი, მაგ. ელიტა კველგანაა, მაშასა-ადამი შეიძლება ისევე შეისწავლო, როგორც გრავიტაცია; სოციალურ მეცნიერებათა მიერ დადგენილი კანონზომიერება ფიზიკის კანონზომიერების ნაირია და მომავალ, ახალ კანონთა აღმოჩენას იწვევს;
- პოლიტიკური მეცნიერება სოციალური მეცნიერების ნაწილია, ადამიანების ყოფა-ქცევის ზოგად კანონებს ემპირიულად იკვლევს და ადამიანის ვირთხიზაციას იწვევს⁴¹;
- კველაფერი ეს ძველი მითების უარყოფა - გაკულტურებას, მათ ადგილას ახალი “მეცნიერულ“ - კულტურული მითების დანერგვას, ცოდნისადმი დახშულობას, უმეცრებისადმი ღიაობას და უმეცრების პროგრესს იწვევს;
- ფაქტობრივი მსჯელობა ობიექტურ და მეცნიერულ პოლიტიკურ განსჯას იწვევს. ეს ნეიტრალურ მეცნიერთათვის არალირებულებითი განსჯის დიდ ღირებულებად გადაქცევას იწვევს;
- ღირებულებითი მსჯელობა არაა პოზიტიური, სუბიექტურია, მიკერძოებულია და არამეცნიერულია; ეს იმას იწვევს, რომ ღირებულებითი განსჯა არ გვიღირს;
- საერთოდ, მთავარია, რამე არ გვიღირდეს. თუ გვიღის შეიძლება დავიჯვეროთ ან ვირწუნოთ, ეს კი რელატივიზმის უარყოფას, არანეიტრალობას, არაობიექტურობას, გამოწვევებს, კონფლიქტებს და ომებს გამოიწვევს;
- თანასწორობა პოზიტიურია, კეთილდღეობას⁴², ღიაობას, ტოლერანტობას და მულტიკულტურალიზმს იწვევს, ომებს არ იწვევს;
- ღიაობა პოზიტიურია, აუცილებელია (პროგრესი შემოდის) და პროგრესს იწვევს;
- კულტურები თანასწორია; ამას მულტიკულტურალიზმი იწვევს, მას კი ეგალიტარიზმი იწვევს. სამივე ღიაობას იწვევს;
- მულტიკულტურალიზმი პოზიტიურია, ტოლერანტობას და მშვიდობას იწვევს;

- აბსოლუტიზმი, ელიტარიზმი და ეთნოცენტრიზმი ნეგატიურებია, გამოწვევებს, უთანასწორობას და ომებს იწვევს;
- ანტიეთნოცენტრიზმი, ლიაობა, კულტურათა თანასწორობა და რელატივიზმი (მათ შორის ლირებულებითი) დასავლეთში პოზიტიურ მოვლენას, სხვა თანსწორ კულტურათა შესწავლის ვალდებულებას იწვევს; ყველა სხვა, არადასავლური კულტურა ეთნოცენტრისტულია, ე.ი. მათი შესწავლა ეთნოცენტრიზმის შესწავლა – გაღრმავებას იწვევს; ე.ი. ანტიეთნოცენტრიზმი ეთნოცენტრიზმს, ლიაობა კი დახმულობას და გონების დახმობას იწვევს;
- ჭეშმარიტების არსებობა თუ ვინმერ ირწმუნა, ნებატიურია, გამოწვევებს, კონფლიქტებს და ომებს გამოიწვევს;
- აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს; ჭეშმარიტება ფარლობითია, რელატიურია;
- **2 + 2** ოთხია და ეს არაფარდობითი, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ეს არის და ეს, სამყარო გახდა “a tale told by an idiot, full of sound and fury, signifying nothing”. ეს გამოწვევა საინტერესოა, რადგან გვიჩვენებს, რომ თუკი გლობალიზაცია საფრთხეებს გვიქმის და უმთავრესი კულტურა (ისტორიაა და ა.შ.), მაშინ გლობალური ან სხვა საფრთხეებისაგან თავდაცვა უმთავრესად ისტორიის ან სიტყვაზე, ტანგოს კულტურის საქმე ყოფილა და არა დიდი ან მცირე⁴³ პოლიტიკის. ეს დომინანტი ტენდენციები ლოგიკურ დაბოლოებამდე, რომ მივიყენოთ, გამოვა, რომ თავდასხმის შემთხვევაში, მოსისებლე მტერს ჯარი კი არა, საერთოდ არავინ არ უნდა შეებრძოლოს. პოლიტიკურად ისტორიაზე გართ მაინც დამოკიდებული და ის გასცემს ჯეროვან პასუხს. ან თუ მაინცა და მაინც, ქუჩის ბანდიტები (სექსისტები და სხვ.) შეაჯახებენ თავიანთ კულტურას. მით უმეტეს, რომ თავგანწირვას დედა კულტურა მოითხოვს, რადგან ქვეყანა და ერთ უკვე კარგახანია კულტურითა შეცლილი. ამაზე მეტი გლობალური გამოწვევა რაღაც უნდა იყოს, ეს ბირთვულ იარაღზე უფრო საშიშია. ოდესლაც გზასაცდენილი, მაგრამ სერიოზული აზროვნების ზოგიერთი ეს დოგმად ქცეული სავალალო შედგი, ჰქონადნობის ეს ჭეშმარიტი ნიმუშები, უნი-

ვერსალური ფასეულობების რანგშია აყვანილი, საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენების მსგავს აკადემიურ აღმოჩენებადაა აღიარებული; მათ და მათგან წარმოქმნილ ტენდენციათა საკვლევად უამრავი რესურსი იხარჯება (ფინანსური, ადამიან/სათი); ეს ყველაფერი მეცნიერებისა და განათლების კერძების მეშვეობით ინერგება, ხოლო ინფორმაციული გლობალიზაციის გზით, აქსელერებულად ვრცელდება.

შენიშვნები:

¹ “კულგარული” და “არაგულგარული” მარქსიზმი. დღევანდელ მარქსისტთა და დასარჩენ სხვა მემარცხენეთა ერთი ნაწილის აზრით მარქსი, ენგელი და ლენინი კულგარულია, ხოლო არაგულგარულია: ნიცშე, ვებერი, ფროიდი, ჰაიდგერი ანდა უფრო “მცირე კალიბრის” – დეტაქამი, ლუკრი, კუევი, ბენეამინი, მერლო – პონტი, სარტრი, მარკუზე, ჰაერმასი და ა.შ.

²თვაიდან ბურჟუად მიიჩნეოდა ეგოისტი, მატერიალისტი და სულის სიდიადეს მოკლებული ადამიანი. ვეროპელი მოაზროვნებასათვის (ნიცშეს შემდეგ) ბურჟუა მოდერნიზმის განსაკუთრებით შესახისლი მარცხა, რომელიც ნებისმიერი გზით უნდა იქნას დაძლეული. უკანასკნელი გამორჩეული ბურჟუამოძულები, ე.ი. ამერიკამოძულები ბრძანდებოდნენ: სარტრი, დე გოლი და ჰაიდგერი.

³ ტერმინი მოდერნული ნიშანის დასავლური აზროვნების იმ ნაირსახობას, რომელიც განსხვავდება დასავლურივე ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნებისაგან და ახასიათებს მათგან მოწყვეტა, სათნოებასა და სამართლიანობის კლასიკური და ქრისტიანული გაგების უარყოფით. მისი წარმოშობა უკავშირდება მაკიაველის და ბეკონს.

⁴ II შე. ომის შემდგომ, ამერიკისა და კოალიციის მიერ გერმანიის სამხედრო დამარცხებას, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა (რომაელები – ბერძნები, ფრანგები – გერმანელები და რუსები, და სხვ.), უფრო მდიდარი გერმანული კულტურის მაღალ - ინტელექტუალური პროდუქციის ამერიკაში იმპორტირება მოყვა (გერმანიაში ისედაც მშობლიური იყო, რუსეთში უკვე იმპორტირებული გახლდათ. ორივეს დედა ყავდა უკვე ნატირები, მათ შორის ჩვენიც) და გამრავლდენ ამერიკელი ლიბერალები და ლიბერალ – ინტელექტუალური გამოწვევების მიერ ასენებენ, მაგრამ გაჩენის დღიდან ევროპი

კოლეგისამებრ ამერიკის პოლიტიკური რეჯიმის მოძულებით არან მეტ – ნაკლებად დაკავებული. ამერიკის უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, დაიწყო მისი გლობალური რეექსპორტი, ამ ანტიუნივერსალური პროდუქციის გლობალიზაცია. პოსტ – საბჭოთა საქართველოში, დემოკრატიის დამკვიდრების ე.წ. ტრანზიციულ პროცესთან დაკავშირებით ჩამოსული უცხოელების უდიდესი უმეტესობა მემარცხენეა, ისევე როგორც აშშ სახდეპარტამენტის და USAID- ის თანამშრომლების დამთრჯუნველი უმეტესობა ლიბერალია. სხვ მიზეზებთან ერთად, მათ შორის ამიტომაც მივიღეთ ის რაც გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დრომდე (state building – ის წინ წმოწვდომებე) ე.წ. “ვაშინგტონის კინესუსხე” დაფუძნებული ტრანზიციული პარადიგმა მემარჯვენე ხასიათის იყო.

- ⁵ ეს თავიდან და ზოგადად დღესაც. უფრო დეტალურად, მეორე შეხედულებამ “პანდორას უფთი“ გააღო, და დღეს რა გინდა სულო და გულო, რომ უმთავრესია არ იყოს: ეკონომიკა, ისტორია, სოციუმი, სექსი, ეკო, თვითგამოხატვა და ა.შ.
- ⁶ პირველი შეხედულება უკვე ნახსენები “განმანათლებლური“ პროექტია. კველასთვის საერთო ბუნებაა. კლასიკური გაგებით: იგი სამართლიანობისა და სათნოების უმაღლესი სტანდარტია; ბუნებითი კანონი უზენაესია და ადამიანების კინერციურ კანონებს აღემატება; ყველა ადამიანი სიკეთეს ბუნებრივად ესწრავის და ბოროტებას გაურბის; შინაგანი, თელეოროგიური ბუნება (სული) უმაღლესი ადამიანური მიზნისაკენ - სიკეთისაკენ (სიკელის, მაღლისაკენ) სწრაფვაა, ეს ადამიანებს აღამაღლებთ, მაგრამ აქედან მათი უთანასწორობა გამომდინარეობს, რადგან ხორცი თვის მხრივ უძღაბლესისაკენ მისწრაფვის, ხოლო კველა სული (გონება) ერთნაირად ვერ აკონტროლებს კერც სათნოებებს და ვერც ხორციელ, მდაბალ მისწრაფებებს. მიზნისაკენ მისწრაფებულ ადამიანს ბუნებით თანდაყოლილ და შეძნილი, იერარქიზირებული სათნოებან ქმნარებან (გონიერება, ზომიერება, სიმამაცე და ა.შ.). შეძნილი მეორადია, მისი ფუნდამენტი თანდაყოლილია. კლასიკური თავისუფლება მხოლოდ ბუნებრივი მიზნისაკენ აღმასვლის საშუალებაა. ადამიანი სხვა ცხოველებისაგან გონებითა და ლაპარაკის უნარით განსხვავდება, ე.ი. თანდაყოლილად პოლიტიკურია და პოლიტიკურ ერთობას, თემს, პოლისს, პოლიტიკას, ქალაქს (სახელმწიფოს) ესწრავის. ქალაქის, პოლიტიკის სული, მისი მიზანი საერთო სიკეთისაკენ სწრაფვაა. მოდერნზემდე ეს ყველაფერი ამოაყირავა. ბუნება ადამიანის მტერია და მას ვერ აღამაღლებს. იგი ადამიანს ეომება და მის ომს იწვევს სხვებთან.

ადამიანმა ბუნება უნდა დაიპყროს, მისი ბატონ–პატრონი უნდა გახდეს (ბეკონი, დეკარტი). ადამიანს ვერც ყველასათვის საერთო, გადარჩენის თვითინსტიქტი და მხოლოდ მასზე აგებული პობსი – ლოკის უნივერსალური კონტრაქტი ვერ აღამაღლებთ, რომელიც არაკლასიერ, ამ ახლებურ ბუნების კნონს დაბუნებრივ უფლებებს ეფუძნება, საიდანაც ადამიანის თანასწირობა და თავისუფლება გამომდინარეობს; მოდერნული თავისუფლება, მისი შენარჩუნება, კლასიკურისგან განსხვავდით საშუალება კი არა მიზანია. ადამიანი თემს, ქალაქს ქმნის სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე, მტრული ბუნების საწინააღმდეგოლ, წენარი თვითგადარჩენის, ბუნებრივი თავისუფლების შენარჩუნების, ომის მდგომარეობიდან თავის დაღწევის, მშვიდობის და სტაბილურობის დამაყრებისათვის და არა ამაღლებისათვის;

- ⁷ მოდერნული მეცნიერება არაფილოსოფიური, მატერიალისტურ - დეტერმინისტულია, ე.ი. რედუქციონისტულია. ბევრი ფილოსოფია მეცნიერებისაგნ განსხვავდით, რომელიც ნატურფილოსოფიას შეიცავდა ორგანულად და შემდგე კი ისე, როგორც ნაწილს. კლასიკური გაგებით “კულტურა“ სწორედ აზროვნებას - გონების სწორ “კულტურიორებას“, ცოდნის დასაუფლებლად კონვენციური შეხედულებისაგნ გონების განთავისუფლებას ნიმუშადა, რადგან სიბრძნის სიყვარული შეხედულებების ცოდნით შეცვლას მოითხოდა. კულტურის ცნება ახალი მნიშვნელობით პირველად კანტმა იხმარა. იგულის სხმება მოდერნული გადააზრებით მიღებული ის მნიშვნელობა, რომელიც ხშირად გამოიყენება ცნებების “საზოგადოება“, “სახელმწიფო“, “ნაცია“, “ქვეყანა“ და “ცივილიზაცია“ ჩასანაცვლებლად. ასე გაგებული კულტურა არის ის, რაც ვითომ განპირობებულია არა ადამიანის უცვლელი ბუნებით, არამედ შეძნილია მხოლოდ ადამიანის ძალისხმევის შედეგად ველურობიდან გაადამიანურებისაკენ აღმასვლის მთელი ისტორიული პროცესის განმავლობაში. იგი ბუნების ტრანსცენდენტული კანონის (სოკრატე, პლატონი, ანსტრონტელი) საწინააღმდეგოა. კულტურა ადამიანის ველური ბუნების და ყველაფერი იმის გაერთიანება (მეცნიერება და ხელოვნება), რაც ადამიანს დაჭირდა და რაც ადამიანმა შექმნა, სანამ ისტორიული გზა გაიარა ბუნებითი მდგომარეობიდან სამოქალაქო (სოციალურ) მდგომარეობამდე. ე.ი. არა ყველას ყველასთან ომის (პობსი, ლოკი) მდგომარეობიდან, არამედ უფრო აღრეული მდგომარეობიდან, რომელიაც ადამიანი ჯერ ადამიანი არაა, რადგან არც რაციონალურია და არც სოციალური (რუსი). მან ისტორიული პროცესით ჯერ რაციონალურობა უნდა შეიძინოს. აქედან,

ადამიანის ადამიანურობა მისი ბუნების კი არა, არამედ ისტორიული პროცესის წყალობაა (რუსსო, ჰეგელი). და პლუს, შემდგომ, როცა გარაციონალურებული ადამიანი თვითგადარჩენის სოციალური აუცილებლობას გააზრებს, ბუნებითი თვითსუფლების შენარჩუნებად სამოქალაქო საზოგადოება შექმნის და იქ საკუთარი კრძო წების საერთო წებაში - როგორც იდეალში (საერთო წება იდეალია, რადგან რაციონალურია და კარგია იმიტომ, რომ საერთოა) ტრანსფორმირებით მოდერნულ მორალს - თანასწორობას, ე.ი. კანონის მმართველობას ეზიარება (რუსსო, კანტი).

⁸ ის მართლაც არ არის საკმარისი. ამიტომ ამერიკის დამფუძნებლები ბრიტანულ პოლიტიკურ სისტემას (მთავრობის ფორმას) მიუბრუნდნ: მეფის ანალოგი - საუკეთესოთა შორის არჩეული საუკეთესო - პრეზიდენტია, პრეზიდენტი - მინისტრი ანუ „ზარმაც“ მეფის „მოურავი“, ბუნებრივია საჭირო აღარაა (პლუს მონტესკიეს გაფრთხილება შტოებში ძალაუფლების გაყოფის არასასურველობაზე) კონგრესი - სუმთა პალატის ანალოგია (ფუნქცია - გადაწყვეტილებათა დონით, ხარისხით „დემოსის“ ინტელექტუალური აღარაა) საუკეთესო წარმომადგენლებისათვის პოლიტიკური საკითხების მოსაფირებელად და სამსჯელო დროის და პასუხისმგებლობის შექმნაა, ხოლო ლორდთა პალატა - სენატია („დემოსზე“ კიდევ უმეტეს ხარისხში ამაღლება, უფრო უკეთესი წარმომადგენლებისათვის არჩევის ვალის გახანგრძლივების ხარჯზე გვაროვნული არისტოკრატიის უვადობასთან მიახლოება), კეთილშობილთა ფუნქციები - ასოციაციებს ეკისრება, დამოუკიდებელი სასამართლო იგვენა და სხვ. ხელისუფლების განშტოებებმა ურთიერთ ამბიციები უნდა დააბალანსონ და ერთმნეთი აკონტროლონ. ძალაუფლების ამ, პირიზონტალურად წოდებულ სეპარაციას (checks and balances) ფედერალიზმი ანუ ძალაუფლების ვერტიკალური განწყილება დაემატა (გუბერნატორი და შტატის მთავრობა ფორმით ფედერალურის იგივურია). ამან, „შეესა“ და ხალხს შორის ძალაუფლების შუალედური (არისტოკრატიულის მსგავსი) ინსტიტუტები გააჩინა და ადამიანის უფლებები ორი სისტემით დაიცა. მათ დაცვის ხარისხი გაორმაგდა (ორმაგი სეპარაციით - ვერტ. და პირიზ.). ამერიკა მარტო საყოველთაო ბუნებით კანონსა და ბუნებრივ უფლებებზე (VS კონვენციური უფლებები), ლოკას კომიტეტული თვითგადარჩენის დოქტრინაზე კი არ დააფუძნეს, არამედ თვით - მართველობაზეც. იგი საუკეთესო (aristoi - როგორც ჯენტლმენი), ლიბერალურად განათლებულ წარმომადგნელთა არჩევას განაპირობებდა და არა რომელიმე, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქის, რომლის ამოცანა

ამომრჩეველთა უფლებების დელეგირებული ნაწილის უბრალო წარმომადგენლობა იქნებოდა. ამერიკულ პოლიტიკურ რეჟიმში გვაროვნული არისტოკრატიის ადგილს ბუნებრივი არისტოკრატია იკავებს. კონტინენტის გაკეთილშობილება თვითსუფალ ასაოცაცებში ხდება, სადაც მოქალაქები აცნობირებენ, რომ კონტური კერძო ინტერესის დაცვა საერთო ინტერესის დაცის გზით ჯობია (იხ. თოვებილის „კარგი თვითინტერესის“ დოქტრინა). ლიბერალური, დემოკრატიული და არისტოკრატიული კომპონენტების შეხამება რესპუბლიკანიზმთან ამერიკული რეჟიმის არსია. ჯეფერსონის განმარტებით ამერიკული მმართველობა ნატურალური არისტოკრატიის მმართველობაა. არისტოტელის მიხედვით და დამფუძნებულთა აზრით ამგვარად ნარვი რეჟიმი საუკეთესოა. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პოლიტიკური პროექტი თანასწორობის იდეასთან ერთად, უთანასწორობის დამატევიდობების თვითსუფლების პრინციპის ორ წარმოებულს შეიცავს (თავისუფალ ბაზარსა და განათლებას, განსაკუთრებით ლიბერალურს). ბუნებრივი, - ე.ი. პოლიტიკური, ბიზნეს და „ცოდნის“ არისტოკრატია უნდა აღიარებდეს და ემორჩილებოდეს კანონის წინაშე თანასწორობას, კანონის მმართველობას. ამერიკულ სოციოლოგიაში, ლიბერალურ და დემოკრატიულ კომპონენტთა დონეზე, არისტოკრატიულის მაგივრად საუკეთესო შემთხვევებში, იშვიათად ფიგურირებს რესპუბლიკური ელემენტი. ეს არისტოკრატიულობის და ლიბერალური განათლების მნიშვნელობის მიხედვას იწვევს, ხოლო ამ პროცესის ტენდენცია - დემოკრატიული ელემენტის რადიკალიზაცია - რეჟიმის ფუნქციონალური ასპექტით მისი რეალური, არისტოკრატულ - რესპუბლიკური არსის ჩანაცვლებას იწვევს, რაც ცუდია. სოციოლოგები, მეცნიერეული ნეიტრალობით ცნებებს „კარგი“, „ცუდი“ და „საუკეთესო“ არ ცნობენ, არ აღიარებენ, ერთი გამონაკლისის გარდა, სოციოლოგია კარგი, ზოგიერთებს კი საუკეთესო რამ გონიათ. ამერიკა რესპუბლიკა, ამიტომ ეს ელემენტი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ კულტუროლოგიური ღირებულებების (დაობა, რელატივიზმი, ანტიენთიციურიზმი) დანერგვის ტენდენციების გაღრმავებით, სამოქალაქო პათოსი წელ-წელა ფერმერთალდება სამოქალაქო განათლებაში და ცნობიერებაში, თემცა რეალობაში ჯერ იმდენად არა. სოციოლოგია და ინფორმაციის ელემენტონული საშუალებები, პოლიტიკური აზრის ქვევით „დემოსისაკნ“, ე.წ. „საზოგადოებრივი აზრისაკნ“ დაქაჩივი, პრობლემების მოფირებისა და განსჯის დროის შემზღვდაში და პოლიტიკური უპასუხისმგებლობის ხელშემწყობი

გარემოს განვითარებით ეხმარება არისტოკრატიული და რესუბლიკური მდგრელების რეალურ დასუსატებას. რასაც აკადემიური წრები აღიარებენ, ადრე თუ მაღლ ხალხის აკლადიდება ხდება, მაგ. თუ I მსოფ. ომის დროს ამერიკელების ჯარში გამწვევი “ძია სემის” პლაკტის ლოზუნგი იყო – “I want you” დღეს იგი “Be all that you can be in the army”-ით არის შეცელილი. ერთი საუკუნის განმავლობაში თვით – გამოხატვის ცდუნებამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა გარკვეული თვალსაზრისით დაძლია.

⁹ “კეთილშობილი სიცრუით” მიღწეულ თანხმობას, ე.ი. ყველას ყველაფერი არ ეთქმება, ანუ სიტყვის თავის სუფლება შეზღუდულია, კლასიკისები აღიარებდნენ და მათი აღმოჩნდილია (პლატონი). რუსო, რაღა თქმა უნდა მათ უპირის სპირდება.

¹⁰ სინამდვილეში, პოლბლება სოციალური კონტრაქტიდან, სახემწიფოს და საზოგადოების მოდერნული სეპარაციიდან წარმოიქმნება. ამგვარი გაყოფის ფარგლებში, ადამიანების “გარდაქმნა” - “გარდონექმნისგან” დამოუკიდებლად, ორი სახის, საჯარო (public) და საზოგადოებრივი (common) სიკეთე მიიღება. დეტალური ანალიზით შეიძლება ჩვენება, რომ ეს ორი ერთმანეთითან და მოქალაქის “სიკეთესან” წინააღმდეგობაში მოდის ანდა ორთვე უნდა “გაქრეს”, ე.ი. შეერთდეს და მოქალაქის კრძო და კონკრეტულ “სიკეთეს” უნდა მოემსახუროს. სეპარაციის ფარგლებში, სახემწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთდროული არსებობისას ეს გადაუდასვევი წინააღმდეგობაა. ამიტომ, XX საუკუნეში განვითარდა თეორია, რომელიც წინააღმდეგობის დაძლევას იოლი გზით, საერთო სიკეთის არსებობის სრული უარყოფით ცდილობს. ანტიკურ პოლისმი (“სახემწიფოში”), ამგვარი გაყოფა არ არსებობს, ადამიანი პოლიტიკურია და მათი ერთოანობა დწერილ და დაუწერულ კანონმდებლობასთან პოლიტიკურ რეჟიმს (პოლიტეას) წარმოადგენს, რომელიც მაშინ არის სამართლიანი თუ მისი და თითოეული მოქალაქის “სიკეთე” ერთიდაიგივეა, რაც არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნის და ადამიანის ბეჭების არანაირ გარდაქმნას არ მოითხოვს, რადგან ადამიანის და სამართლიანი პოლიტიკური რეჟიმის ბუნებრივი მიზნები ისედაც ერთი უნდა იყოს - სიკეთისკინ სწრაფვა. ასეთი რამ, კლასიკისთა აზრით მხოლოდ შემთხვევით თუ განხორციელდება. მოდერნისტების მიზანი შემთხვევობის განკარგვით მოლოდინის თავიდან აცილება და სამართლიანი ცხოვრების ხორცებსმაა.

¹¹ რევოლუციის ღვევალიზაცია მაკიაველიდან იწყება.

¹² ადრე პირიქით, ადამიანი პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე ესწრაფოდა და ქმნიდა საზოგადოებას. ახალი “აღმოჩნიოთ”, ბუნება

გაქრა, პოლიტიკა მიიჩქმალა. გაჩნდა კულტურა, რომელშიც ადამიანი კულტურიდება, იზრდება “მცენარესაცით”. აქედან ერთი ნაბიჯია დასკვნამდე, რომ საზოგადოება (ისტორიისა და საერთო ნების სინუზი) ქმნის აღმიანს. ეს აზრი დაედო საფუძვლად მარქიზმს და სოციალური მეცნიერების თეორიას, რომლებსაც სჯერათ, რომ მათი აღმოჩნები და რასაც ეფუძნებიან ფიზიკის აღმოჩნების ნაირია. შეიძლება ითქვას, რომ ეს იმის დაჯერებას ეფუძნება, რომ მაშინ, როცა კლასიკოსები “მითუბს” კვებოდნენ არნახულ ბუნებაზე, განმანათლებლებმა იმოგზაურეს და კოლუმბიით ახალი კონტინენტი (მოდერნული ბუნება) რეალურად აღმოაჩინეს. ხოლო რუსომ პირველადმომჩენთა კრიტიკით, აგრეთვე მომდევნო “მოგზაურებმა“ კრიტიკის გაღრმავებით, ამ მიწაზე უფრო ღრმად შეაღწიეს, რეალურია ამბავი ჩამოიტანეს და “მითუბი“ გააცამტვერეს.

¹³ ეს წინააღმდეგობა, კლასიკოსებისათვის კარგად ნაცნობი დუალიზმის - კონფლიქტი სულსა და სხეულს შორის - “მექვიდრეა“. იგი ადრე ადამიანის “შიგნით“ მოიაზრებოდა, მაგრა მოდერნული პროექტი დაეფუძნა დაშვებებს, რომელიც ერთდროულად კლასიკური და ქრისტიანული სულის (სამშვინელისაც) უარყოფა. რუსო უსულო ბურუჟას აკრიტიკებს, რომლის “სული“ ანგარებაა, ოღონდ იგივე დაშვების ფარგლებში. იგი დამტუქებელ - კანონმდებლობის სისტემით ჩამოყალიბებულ საერთო ნებასთან ზიარებით, ადამიანის გარეთ, მაკიაველური სულისკეთებით “სამოქალაქო საზოგადოებაში“, ჯერ კიდევ პოლიტიკის ხარჯზე, აფეთქებს “სულის“ - მორალის და საერთო სიკეთის - “გაჩნა - შეენისა“ და ამღლების შესაძლებლობას. შედეგად ის, რაც ადრე თანაბაყოლილი იყო ახლა შესაძენი გახდა. რაც “შიგნით“ მოიაზრებოდა გარეთ გამოტანილი აღმოჩნდა, ხოლო ამის მიზეზი “შემდგომ “აღმოაჩინეს“, ბუნებასა და ცივილიზაციას შორის კონფლიქტის სახით.

¹⁴ თუმცა, დღეს ცივილიზაციაც კულტურა ხდება. უახლესი განმარტებით (პანტინგტონი): “ცივილიზაცია, არის უზენაესი კულტურული თვითმყიდვებითა, რომელიც განასხვებს ადამიანებს სხვა ცოცხალი არსებებისაგან“. პანტინგტონი განასხვებს მხოლობით და მრავლობით ცივილიზაციებს. თუ პირველში იგი გულასხმობს განსხვებას ცივილიზებულ ხალხსა და ბარბაროსებს შორის, მეორეში, გარკვეულ გამაერთიანებელ ხარისხებს, რომლებსაც ჯგუშში გაერთიანებამდე მივყვართ.

¹⁵ ქსენოფონტეს მიხედვით სოკრატეს ნაირი კაცი სომხებსაც კი შეიძლება, რომ გაუწნდეთ.

¹⁶ “სამოქალაქო საზოგადოება“ შინაგანად წინააღმდეგობრივი ტერმინია. პირველი პოლისის გაჩნიდან ვიდრე რუსომდე, აშშ-ს

ჩათვლით, რესპუბლიკებში არსებობდენ მოქალაქეები, რომელთა ერთობლიობა ქმნიდა ხალხს (პუბლიკას). რესპუბლიკა რადგან ხალხის საქმეა, თითოეული მოქალაქისაც არის. რესსიოს თეორიული სწავლება ისეთი “სისტემის“ გამოგონებაა, რომელიც მოდერნული “ხალხის“ “გამაუმჯობესებელი მოწყობილობის“ – სისტემის (კულტურის წინამორბედი - საერთო ხედა) შექმნას ისახავდა მიზნად, რომელიც თითოეულ მოქალაქეს გარდაქმნიდა, საერთო სიკეთეზე ორიენტირებულ საზოგადოების მისაღებად. თუ აქამდე შექმნის კექტორი მოქალაქიდან ხალხისკენაა, ამ მოქმნტიდან ჩნდება აზროვნების ტენდენცია, რომლიც ვეროპაში უშვებს ღრმა ფესვებს და მისთვის კექტორი საპირისპიროდაა მიმართული (საზოგადოებიდან ადამიანისკენ), რაც მარქსიზმითა და სოცმენინებით გვირგვინდება, სადაც ადამიანი საზოგადოებრივი ურთიერთებიდან წარმოიშვება. სოცმენინების გლობალური დომინირების მიუხედავად, ამერიკელი დღესაც ჯერ კიდევ ინდივიდუალისტია, ხოლო კურიოსელი, ცხადია “კულტურულია“. ამ ტენდენციამ ხალხი წარმოიდგინა და წარმოადგინა (“გადაქცია“) სამოქალაქო საზოგადოებად, კველაფერი სხვა საქმიანობის წარმართველი პოლიტიკა ხელოვნებიდან მეცნიერებად და კულტურის უბრალო ხაწილად ჩამოალაბორანტა, ადამიანისაგან განუყოფელი ბუნებრივი უფლებები, რომელთა მხოლოდ დეკლარირება შეიძლებოდა “იქცა“ ადამიანის უფლებებად, რომელთა ახალ-ახალის შექმნა (ე.ი. გაუქმებაც) შეიძლება შეთანხმებით (უფლებათა კონვენციები), სამართლიანობა შეთანხმებით სამართლად “გადაქცა“, სამართლიანი სახელმწიფო კი სამართლებრივ სახელმწიფოდ, მოქალაქე და ქანიხდა, რადგან ის კი არ ქმნის პუბლიკას, არამედ კულტურა - საზოგადოება ქმნის მას. საერთო ხებას სხვა არასაერთო ხება ძირითადად “უქებზე კიდია“. ჯოგი როცა კისრის მოსატეხად გარბის, რომელიმე ცხოველს მობრუნება ან შეტრიალება, რომ მოუწდეს გადაქელავენ.

¹⁷ «როგორ დაამთავროთ რევოლუცია», გ. ნოდა, „24 საათი“, 18.10.04., აგრეთვე “the opposition emerges as weak, irresponsible and immature”, G.Nodia, RFE/RL Caucasus Report, Vol. 8, No. 31.

¹⁸ იხ. “კვლევის შედეგები – საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებები“ მ. მუსხელიშვილი, ლ. არუთინოვი, „საქონსტიტუციო – პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“, IDEA&CIPDD, თბილისი, 2005, გვ.127-149.

¹⁹ თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი განათლება მათი აზრით უთხასწორობის აჩენს, ვითომ მეცნიერებას ან ხელოვნებას ეგალიტარიანული ხასიათი ქონდეს.

²⁰ ეთნოცენტრიზმი თავისოთავად რაიმე ჩამორჩენას არ განაპირობებს. იაპონიაში რასზემში გარდამვალი ეთნოცენტრიზმია, სხვა ადამიანადაც არ მიაჩნიათ იაპონელები და ბევრი სხვა იპონიის წარმატებებს სწორედ ეთნოცენტრიზმს უკავშირებენ. კლასიკოსებმა (სოკრატე) სხვებზე ადრე იცოდნენ ეთნოცენტრიზმის და დიაობის პრობლემა – განსხვავება სიკეთესა და საკუთარს, ბუნებასა და კონვენციას, სამართლიანსა და კანონიერს შორის. სიკეთესადმი სხინილი (ღია) იყვნენ, რადგან სიკეთეს ადამიანის ბუნებრივი პოტენციალის სრულქმნილებასთან აკავშირებდნენ. სიკეთეს, რომელიც მათი საკუთრი (“ბერძნული“) არ იყო, საკუთარის (“ბერძნულის“) განსასჯელად იყენებდნენ. ეს არ იყო უხილუო ამბავი, შინაურებსა (თანამოქალაქეებსა) და ფილოსოფოსებს შორის დაბატულობას, ზოგჯერ სიკეთეს (სოკრატე) იწვევდა. სიკეთისადმი სწრაფეს დაპირისპირება რაიმე სხვა ერთგულებასთან ცხოვრების გადაუჭრელი პრობლემაა. სიკეთის ჟეშმარიტი შესაძლებლობის დაჯერება და მისადმი სწრაფვა, მისი დაუფლების სურვილი, ადამიანის გადამიანურება, ამაღლებისათვის ფასდაუდებელია (არაღიბულებრივად დირებულია). დღეს ითვლება, რომ ჟეშმარიტების არსებობის აღიარება - მართლმრწმუნებელისა საშინაოა. ისტორია და კულტურა გავსწავლის, რომ წინათ ხალხი ჰყუაზე ვერ იყო, რადგან თავი მართალი ეგონათ და ეს ოქებს, მონობას, ქსენოფობიას, რასიზმს და შოვინიზმს იწვევდა. კულტურულ – ღირებულებითი რელატივიზმისა და დიაობის მიხედვით, შეცდომები კი არ უნდა გამოიგასწოროთ და რეალურ სამართლიანობას (სიკეთეს) ესეწრაფოთ, არამედ უნდა ვიფიქროთ რომ მართალი არასდროს არ ვყოფილვართ, არ ვართ და ვერც ვიქებით.

²¹ ვინაიდან, მათთვის დასავლეთი კულტურაა, ისევე როგორც დასავლური სახელმწიფოები და ერგბი კულტურებია. დასავლეთი, როგორც ეს მათ ზოგიერთი წიგნიდან, ან ამ წიგნების ზოგიერთი წამითხაველისაგან შეიტყვეს, მხოლოდ და მხოლოდ ის კულტურაა, რომელიც ჩრდილო დასავლეთ ვეროპულ ქვეყნებში განვითარდა ბოლო ათასწლეულის განმავლობაში, ან მხოლოდ მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. ქართული კულტურის ჩამორჩენილობას ქართველთათვის დამახასიათებელი ღირებულებების სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე ასაბუთებენ, იმის გამორკვეთ რომ ეს ღირებულებები უმთავრესად ტრადიციულია,

ნაკლებადაა მოდერნისტული და საერთოდ არაა პოსტ-მოდერნისტული, მაშასადამე არაა დასავლური და პლუს ჩამორჩენილია. საინტერესოა, როგორ ახერხებენ იმის დავიწყებას, რომ ყველაფერი ის, სადაც მათ სათნოების შემცვლელი “ლიტებულება” ამოიკითხეს და მათი ამგვარი დაჯუფება ისწველეს, სწორედ იმას ამტკიცებს, მაგრამ არასწორად, ამასთან მათ ხომ ეს არასწორი სჯერათ, რომ დასავლური ტრადიცია უწყვეტია. ან იმის დავიწყებას, რომ როგორც ეს მათთვე ამ მასწავლებლების სწავლებით გამოდის, ასევე არასწორად, მაგრამ მათ ხომ ეს არასწორი სჯერათ, რომ რელიგიიდან გამომდინარეობს ყველაფერი ის, რაც მათ ანგარიშგასწევად მიაჩნიათ. ამიტომ გონიათ ტრადიცია უწყვეტი. გამოდის ტრადიციის უწყვეტობაზე თან ჯერათ და თან არ ჯერათ ამ წინააღმდეგობას, ისევე, როგორც უამრავ სხვას, რომელშიაც ჩაფლულები არიან, მათთვის რამებ სერიოზული მნიშვნელობა ვრცელდება. მათთვე რწმენით ჰქონდარიტება ხომ რელატიურია.

²² კანტის გამოკლებით და კანტის შემძლევა.

²³ გლობალიზაცია ხალხის, ერთა და კორპორაციათა მსოფლიო მასშტაბის აჩქარებულად მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთქმედება და ინტეგრაცია. გამოიყენება ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, კულტურულ, ინფორმაციულ და პოლიტიკურ ურთიერთქმედებათა რთული ფენომენის სახელად.

²⁴ პაიდეგერთან დაკავშირებით ამას კარაგად გრძნობდა მამარდაშვილი, როცა აცხადებდა, რომ იგი იმდენად არაა ფილოსოფოსი, რამდენადაც გერმანელი ფილოსოფოსია. იგი ვებერის მიმართებით მსგავს მინიშნებებს აკეთებდა. მით უმეტეს, რომ დეკარტე და განსაკუთრებით კანტი მისი საყვარელი ფილოსოფოსებია.

²⁵ ტირანია ისეთვე არამეცნიერულია, ე.ი. არაინტელექტუალურია, როგორც სიკეთე ან ბოროტება. მაგრამ სახელის “მეცნიერული” გადარქმევა – გადმორქმევით ბოროტება არ იცვლება. დღეს უკვე ცხადია, რომ ყველა სახის ტირანია: დესპოტიზმი, ავტორიტარიზმი და დიქტატურა იმას ცდილობს, რომ კომუნიზმივთ დემოკრატია დაირჩევას, თანაც საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაცია “არჩევნებით” მოახდინოს.

²⁶ მარქსიზმი, რომელმაც გერმანიას და მთელ კაცობრიობას ყოფა უტირა, მარქსმა იმიტომ შექმნა, რომ გერმანიას დახმარებოდა რევოლუციის მოწყობაში, რადგან იგი ინგლისს, ამერიკასა და საფრანგეთს ჩამორჩა. ითვლება, რომ კომუნიზმაც და ფაშიზმაც ჩაილურის წყალი დალია. მათ აღორძინებას ინტელექტუალები გამორიცხვენ, რადგან ისტორიული ფაქტების საწინააღმდეგოდ,

სჯერათ საზ. – პოლიტიკური და ინტელექტუალური და ისტორიის დინების თეორიების: უკან დაბრუნება, მაგ. დემოკრატიიდან ბარბაროსობაში ჩავარდნა ვერ წარმოუდგენიათ. ვისაც ეს სჯერა, ის მიაჩნია პროგრესის საბუთად, რომ იგვე, რაც გუშინ ვინგები ნიუტონმა მხოლოდ მოული ცხოვრების თავდაუზოგვი შრომის შედეგად შეიცნო, დღეს იცის მოსწავლემ. ნუთუ პროგრესიმა და ისტორიამ ცხოვრება მართლაც ასე გააიოლა? კომუნიზმიც და ფაშიზმიც დემოკრატიის ღროს გაჩნდა და განადგურდა, მაგრამ არის და იქნება (როგორც ბოროტება და არა როგორც სახელი).

²⁷ ინტელექტუალების საყვარელი არგუმენტია, რომ მარქსიზმსა და კომუნიზმის ბოროტებას, ან პეტრებას, ნიცესის, ნიცშეს, ვებერისა და პაიდეგერის შეხედულებებსა და კომუნიზმის ან ფაშიზმის ბოროტებას შორის პირდაპირი კვშირი არ არის. მაგ. მათი აზრით, პაიდეგერის ნაციისტობა მის ნააზრევა – ნაფაქტალთან პირდაპირ არაა დაკავშირულები, ამიტომ თურმე მხოლოდ აეტობიოგრაფიული დეტალია. პირდაპირი კავშირი ამ მართლაც უძიდესი მოაზროვნების მეგვიდრეობას და კომუნიზმის ან ფაშიზმის მიერ ჩადენილ ბოროტებათა შორის მართლაც არ არის. ეს ზუსტად იმგვრი კავშირია რაც რუსეთის ფიქრსა, რომ თითოეული აღმანის ბუნება უნდა გადაკეთდეს და რობესპიერის მიერ ჩადენილ ბოროტებას შორისაა.

²⁸ ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამია: “ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ჰქონდარიტებები ყველასათვის თვალსაჩინოა (თავისთვავად ნათელია), რომ ვებელა ადამიანი შექმნილია თანასწორად, რომ მათ შემოქმედის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული განუყოფელი უფლებები, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერების უფლება, რომ ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად აღმანიშები ქმნიან მთავრობას, რომლსაც სამართლიანი უფლებამოსილებები ენიჭება ხალხის თანხმობით...” თომას ვებერისნის – დეკლარაციის მთავარი აეტორის თანახმად, აღმანიშება ამ დიკანებულები ჩამოყალიბებული პრინციპები უნდა აღიაროს იმ მიზენის გამო, რომ ეს “ჰქონდარიტებაა”, “თავისთვავად ნათელია” და ეფუძნებიან “ბუნებისა და ბუნების ღმერთის” კანონებს. ასე დაფუძნებული ჰქონდარიტება არ შეიძლება თავისთავად ნათელი იყოს ერთ ადგილას (ამერიკაში) და ასეთივე არ იყოს საღმე სხვაგან, ვინაიდან ბუნება ერთია და მოდერნისტი ფილოსოფოსები სწორედ მასზე აფუძნებლნენ “დასავლურ”, ე.ი. უნივერსალურ ჰქონდარიტებებს, აგრეთვე ამერიკას და არა რომელიმე კულტურაზე, ღირებულებებზე ან შეთანხმებაზე (VS ვერო და გაერო უფლებათა კონკრეტიული).

²⁹ ხშირად მემარცხენე განიმარტება დიქტომიის ფარგლებში, როგორც მემარჯვენეს საწინააღმდეგო. მემარჯვენეობა: ლიმიტირებული მთავრობა, მაქსიმალური თავისუფლება, პირადი თავისუფლება/პასუხისმგებლობა და ადგილობრივი მთავრობა და არა თვითმართველობა (self – governance), რასაც საქართველოში შეცდომით ხმარობენ სწორედ მაშინ, როდესაც საუბრობენ ადგილობრივ მთავრობაზე და არა მართველობაზე.

³⁰ როცა, ეკონომიკური, ან ნებისმიერი სხვა თანასწორობა მოითხოვება უფლებრივი თანასწორობის მსგავსად.

³¹ ზოგ ქვევით მოყვანილ პუნქტს, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, ასეულობით მილიონი (მგონა მილიარზე მეტი) მორწმუნებული არ გაიზიარებს. ამ ჩამონათვალს შემდგომში უმთავრესის შესახებ ინტელექტუალის შეხედულებათა ჩამონათვლად, იჩ–დ მოვახსნიებთ მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა საკუთრივ, თავის თავზე შეამოწმოს დღევანდელ “უმთავრესის შესახებ ცოდნაში” კულტურული მსოფლიხედველობის და მემარცხენე იდეების შეღწევის, აგრეთვე, იჩ–ს დანერგვა - გაუცელების დონე. იჩ– ში ადაილის უქონლობის გამო დეტალება გამოტოვებულია, ამასთან კომენტარებია გაკეთებული და ზოგი რამ გაზვიადებულია, მხოლოდ ინტელექტუალის შეხედულებათა საფუძველად გამოყენებული იდეების შინაგანი ლოგიკის დასარულამდე მიყვანისა და მათი დოგმატურობის მკაფიოდ წარმოჩენისათვის. დეტალურად ეს ყველაფერი შეუდარებლად უფრო როგორად და “ჰქონის გამოიყერება.

³² მაგ. პლატონს, სოკრატეს და არისტოტელს. მათ იცოდენ, რომ ადამიანური მიზნები იერარქიზირებულია. მაგ. ზომიერება, რადგან გონიერებასთან წილნაკრია, ერთ-ერთ უმაღლეს სათნოებად, ხოლო მაგ. თვითგადარჩენა უმდაბლეს, არაქველ მიზნად ითვლებოდა.

³³ წინამორბედ მოდერნისტი ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც ან “ღმერის ჩუმად კლავენ“ ან და აოუსტები არიან, ნიცშე ამას უფრო დანაწებით აცხადებს, ვიდრე ტრიუმფით.

³⁴ მორწმუნესათვის ამის დაჯერება ჯადოქრობის, ადამიანის მიერ (უსასწაულოდ) ცეცხლის ნავთად ან პირიქით, ნავთის ცეცხლად გარდაქმნის დაჯერებას უდრის.

³⁵ ქარიზმის რუტინაციისათვის პოზიტიურობის შესანარჩუნებლად მემარცხენე – ინტელექტუალებმა (ადორნო) ფაშიზმის ტოტალიზმი დააწევეს, მაგრამ ეს ვერ ცვლის და ვერც უარყოფს იმ ფაქტს, რომ პიტლერიც და სტალინც სრულიად აკმაყოფილებენ

ვებერის განმარტებებს ქარიზმატული პიროვნების შესახებ. ბოროტების სახელის გამოცვლით ბოროტება არ იცვლება.

³⁶ სეკულარიზაცია ანუ მოდერნიზმი, გაგებული, როგორც სეკულარიზირებული ბიბლიური რწმენა (ჰეგელი) და ქარიზმის რუტინიზაცია - პროტესტანტული წარმოშობის კაპიტალიზმის სული (ვებერი). ორვე მიღებულია დაუშვებელი დაშვებების შედევრად. მაგ. ჰეგელი არ უშვებს, რომ სეკულარიზაცია, შეიძლება გაგზული იქნას არა მხოლოდ ნებატიურად (რწმენის შეგნებულად დაომობა), არამედ “ოპტიმისტურადაც“, როგორც ბიბლიური წარმოშობის ფიქრების, გრძნობებისა და ჩვეულებების შეგნებული შენარჩუნება. ხოლო ვებერი, არ უშვებს, რადგან სოციალური მეცნიერი არც უნდა უშვებდეს, კალვინისათვის სასწაულის, ანუ გამოცხადების რეალობას. ვებერი, მეცნიერული ნეიტრალობის ცნობილი აპოლოგეტი, რათქმაუნდა, არც იმას უშვებს, ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტურად, რომ კალვინი თაღლითი ან სულით სხეული იყო!?

³⁷ მეცნიერი ისტორიკოსთა ბოლო აღმოჩენების მიხედვით (2006) მეცნიერული ნეიტრალურობით ქვეცნობიერის შემსწავლელი ფრონდი ცოლთან და ცოლისდათონ ერთდროულად ცხოვრობდა.

³⁸ წინათ სიკეთე (მადლი, სიქველე, სათნოება) ლირებულების შესატყევის იყო და აზრს, რომ სიკეთე ომს იწვევს, არ გაიზიარებდენ. ამის გაზიარებას ისტორიის ჰქონილი მდინარება და პროგრესი დაჰინდა.

³⁹ ამ ქარიზმის გავლენა ძლიერია ზოგიერთ ადგილებში, სადაც მისი რუტინიზაცია გრკვეულ ეთიკას აყალიბებს. ვირი შესაბამისი დირებულების და მითის შემოქმედა.

⁴⁰ მაგ. საბჭოეთანა მებრძოლმა რეიგანმა მწვავე კონფლიქტი გამოიწვია, როდესაც სსრკ-ს არამეცნიერულად ბოროტების იმპრია უწოდა. “სწორედ მოაზროვნე და მოსაუბრე“ მემარცხენე – ინტელექტუალებმა, მძგინვარედ გაიღამეს ესოდენ არასწორი რიტორიკის წინადღევე, რასაც აქამდე აგრძელებდნ. სიტყვა “ბოროტება“ ცხოვრების სხვა, არაამერიკული წესების მიმართ არაღიარებად, კულტურულ ამპარტაგნობის გამომედავნებად (ე.ი. ვითომ მან და ამერიკამ იციან სიკეთე რა არის), აგრეთვე იმათ მიმართ სიძულვილის გამოვლინებად ჩაუთვალეს, ვინც ამჟრიკის გზას არ იზიარებს და სხვა გზა აურჩევა. იგივე ოპონენტები პროტესტის გარეშე ხვდებოდნენ მის განცხადებებს, რომ ამჟრიკას და სსრკ “განსხვავებული დირებულებები გააჩნიათ“. განსხვავებაში რეიგანი იგივე ბოროტებას გულისხმობდა. სიკეთე/ბოროტების დაპირისპირება მოლაპარაკებს თემად არ გამოდგება, რადგან ომს იწვევს. ხოლო, მემარცხენების სიმპათია სსრკ-ს თუ არ ეკუთნოდა

ცალსახად, მასთან მშვიდობიანი თანაცხოვრება ნამდვილად უნდოდათ. ეს იმის მაგალითიცაა, თუ რა შეიძლება იყოს საერთო ნიციშესა და მემარცხენებს შორის. როგორც ვხედავთ, სწორი ენა “სიკეთისა და ბოროტების მიღმაა” (ნიცშე).

⁴¹ პოლიტიკინიერება ადამიანებს ისევე უნდა დააკვირედეს, როგორც ატომებს ან ვირთებს. ატომები გადაწყვეტილებებს არ ღებულობენ. გვრჩება ვირთხები. ემპირიულად, ვირთხების გადაწყვეტილებები შეუძრებლად უფრო მარტივი მოჩანს, ვიდრე ადამიანის, მაგრამ მარტივი ხომ როგორის გასაღებია (მეცნიერებაში). ვირთხები არ საუბრობენ. შეიძლება დაუუშვათ პიპოუზა, რომ სათქმელი არ გააჩნიათ. II ვარიანტის დაშვება, რომ ვირთხები იმ მიზეზით არ საუბრობენ, რამ ადამიანისაგან განსხვავებით მათ შინაგანი ბუნება არ გააჩნიათ, გართულებულია. ეს დაშვება იჩ-ს I პუნქტთან, ე.ი. მოდერნიზმთან, კულტურა - ისტორიის კოლუციის და პროგრესის მსოფლმხედველობასთან წინააღმდეგობას იწვევს.

⁴² პოზიტიური იქნება, თუ სოციოლოგების და ეკონომისტების ძალისმევით, კეთილდღეობა პოზიტიურდღეობით შეიცვლება. იჩ - ში, “კარგი” - პოზიტიურით, “საშინელება” - ნებატიურით, ხოლო “ძველი, ბელი” - ნაკლებად პროგრესულითა შეცვლილი.

⁴³ მცირე პოლიტიკა - policy.

საზოგადოების კვლევის ცენტრი

საზოგადოების კვლევის ცენტრი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობას. ცენტრის ინტერესების ფოკუსში არის საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ასპექტები. ცენტრი პირველ რიგში მიმართულია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესების კვლევაზე და მათ მხარდაჭერაზე.

საზოგადოების კვლევის ცენტრის მიერ განვლილ წლებში განხორციელდა მრავალი პროექტი, მოშადდა და გამოიცა წიგნები, ბროშურები, ჟურნალები და ცალკეული სტატიები. ამჟამად ცენტრის თანამშრომლები (გრა ჟორნალიანი, მარინა მუსხელიშვილი, თამარ ბერუკაშვილი) კითხულობენ ლექციებს უნივერსიტეტებში და მთავარ პრიორიტეტად ახალგაზრდობის განათლებას ისახავენ.

საზოგადოების კვლევის ცენტრის მისამართი:

გ.წერულის ქ. 3.

ტელ/ფაქსი: 233875

ელ. ფოსტა: cssge@caucasus.net

უან ჟორნესის ფონდი (Fondation Jean-Jaurès)

უან ჟორნესის ფონდი ოფიციალურად დაფუძნდა 1992 წლის 21 თებერვალს პრემიერ-მინისტრის დეკრეტის საფუძველზე. ეს არის პოლიტიკური ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მუშათა მოძრაობისა და საერთაშორისო სოციალიზმის კვლევას, დემოკრატიული და პუმანური იდეების მხარდაჭერას კვლევების და დებატების მეშვეობით, პლურალიზმის, პოლიტიკური კონკურენციისა და დემოკრატიის გაურცელებას მსოფლიოში.

ვებ. საიტი: <http://www.jean-jaures.org/>